

ოპოზიციამ ბრიუს ჯორჯს ბოიკოტის მემორანდუმი გადასცა

A2



"წარმატებები" საერთაშორისო ზეწოლის ფონზე

A3



ჯაშუშობის აღიარება

A4

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 13 აპრილი, 2006 წელი. №80 (1232)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### ევროკავშირში გაფართოების საკითხზე ერთიანობა არ არის

ოფიციალური ბრიუსელი ევროკავშირში უკრაინის მიღების შესახებ მოლაპარაკებების დაწყებას არ აპირებს. ამის თაობაზე, ევროკომისიის ხელმძღვანელმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ სტრასბურგში ევროპის საბჭოს და ევროკავშირის სამიტზე განაცხადა.

A2

## სამართალი

### ოპოზიცია შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ

მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილების გამო, ოპოზიციონერი პოლიტიკოსების კრიტიკის ობიექტი ამჯერად შსს გახდა. ახალი მემარჯვენეები, ტოქსიკური და ნარკოტიკული შემოწმების მიზნით, ექსპერტიზის შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის გადაცემას აპროტესტებენ.

A4

## ეკონომიკა

### GWS-ს ქართული ღვინო თურქეთის ბაზარზე შეაქვს

GWS პირველი ქართული კომპანიაა, რომელიც მასშტაბურად ახორციელებს ქართული ღვინის თურქეთის ბაზარზე გატანას

A5

### „ბრიტანეთის ავიახაზების„ და „24 საათის„ ერთობლივი ვიქტორინა

A8

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 13/04 | 14/04 |
|---|---|---|
| თბილისი | 25 | 24 |
| ტყიბული | 22 | 21 |
| სოხუმი | 25 | 22 |
| გორი | 21 | 20 |
| ონი | 16 | 15 |
| ზუგდიდი | 26 | 23 |
| ახმეტა | 25 | 24 |
| გაგრა | 23 | 21 |
| სამტრედია | 25 | 22 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8210 |
| ევრო | 2.2122 |
| გირვანქა სტერლ. | 3.1900 |
| რუბლი | 0.0658 |

| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| რეკლამა | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |

# ამერიკული ოპტიმიზმი

დიმიტრი ავალიანი

*თბილისში ვიზიტით მყოფმა აშშ-ს სენატის დელეგაციამ საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ორი "მესიჯი" გაახმოვანა - ჩვენი ქვეყანა კვლავ რჩება ვაშინგტონის მიერ დეკლარირებული, მსოფლიოში დემოკრატიის გავრცელების პოლიტიკის სიმბოლოდ და ერთგვარ "სახედ"; გარდა ამისა, სენატორების განცხადებით, საქართველოში არსებული კონფლიქტები ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანებას ხელს არ შეუშლის.*

### "დემოკრატიის სიმბოლო"

**"საქართველო მსოფლიო მასშტაბით დემოკრატიის სიმბოლოა, სიტყვის თავისუფლებისა და არჩევნების გამჭვირვალობის თვალსაზრისით კი მსოფლიო მოდელი,"** - განაცხადა გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ნინო ბურჯანაძესთან გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე აშშ-ის სენატის უმრავლესობის ლიდერმა ბილ ფრისტმა.

გაგრძელება A3 გვერდზე



ინტერპრესნიუსი

*საქართველოს წარმატებაზე ბუშის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის წარმატებაა დამოკიდებული.*

# ვინ იყიდის "ელექტროკავშირს"?

B

ეთერ მამულაშვილი

*ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ სახელმწიფო საწარმოს "ელექტროკავშირს" ყიდის. მისი საწყისი ფასი თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე უკვე გაყიდული "აზოტის", "მადნეულის" თუ "რუსთავის მეტალურგიული ქარხნის". საპრივატიზაციო მარათონში გამარჯვებული კომპანიის ვინაობა მაისის ბოლომდე გახდება ცნობილი.*




# კიდევ ერთხელ...

ნანა ჭრელაშვილი

"მაშ, ასე - salve! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, თქვენო აღმატებულებავ, მკითხველო" - ამ ფრაზით შეეგება დათო მაღრაძე ქართველ მკითხველს ორი წლის წინ ახალი კრებულით salve. პოეტთან დაკავშირებულ სიახლეებს ქართველი მკითხველი ყოველთვის ინტერესით ელის, რადგან მასში თავმოყრილია ქართველი ადამიანის გამორჩეული ღირსება, რაც მის პოეზიაში საინტერესოდაა გადმოფენილი. მას ზუსტად ესმის თანამედროვე ცხოვრების მაჯისცემა და მღელვარება, რეალური შემფასებელია დღევანდელი ქართული ყოფისა. ამიტომ, თუ არ იცნობ დათო მაღრაძის შემოქმედებას, ძნელია ისაუბრო იმ ლიტერატურულ პროცესებზე, რომელიც ჩვენს თვალწინ ვითარდება. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ, სამწუხაროდ, ქართული პოეზია და ლიტერატურა ქართულ სივრცეში ჩაიკეტა და უცხოეთისთვის ნაკლებად პოპულარულია.

გაგრძელება A8 გვერდზე



# ტრადიციული პაექრობა საერთო თამაშის წესებით

### დსთ-დან გასვლით საქართველო არც იგებს და არც არაფერს კარგავს

*ქართველი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ამ ეტაპზე საქართველოს დსთ-დან გასვლა ნაადრევი გადაწყვეტილება იქნება, რადგან ამ ორგანიზაციიდან გასვლით საქართველო, საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში, რუსეთის ცუდად წარმოჩენის მნიშვნელოვან ბერკეტს დაკარგავს. რა დადებითი და უარყოფითი შედეგები მოჰყვება საქართველოს გადაწყვეტილებას დსთ-დან გასვლის შესახებ? - "24 საათის" კითხვას დავით აფრასიძე, დავით დარჩიაშვილი და არჩილ გეგეშიძე პასუხობენ.*

სოფო ბუკია

თუ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წესდებას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ აღნიშნული ორგანიზაციიდან თავის დაღწევაზე ელემენტარული არაფერია. ამისათვის საჭიროა, დსთ-ს წევრ ქვეყნებს ერთი წლით ადრე შეატყობინო, რომ ამ ორგანიზაციაში ყოფნა აღარ გინდა. სულ ეს არის. მიუხედავად იმისა, რომ დსთ-დან გამოსვლის თემა საქართველოში მოდიდან არასოდეს გადადის, მსგავსი შეტყობინებები ჩვენს ხელისუფლებას ჯერჯერობით არავისთვის გაუგზავნია.

დსთ-დან გასვლის მუქარები უმეტესწილად პარლამენტიდან ისმის და სხვადასხვა დროს მათი მიზეზი სხვადასხვაა: რუსული სამხედრო ბაზები, რუსეთის მიერ პანკისის ხეობაზე განხორციელებული "ანტიტერორისტული" საჰაერო დარტყმები, რუსეთის პოლიტიკა აფხაზეთში და ა.შ.

იანვარში რუსეთის მიერ საქართველოსთვის გაზის ტარიფის მომატებასთან ერთად პარლამენტმა კვლავ სადავო გახადა საქართველოს დსთ-ში ყოფნის მიზანშეწონილობა.

ცოტა ხნის წინათ დსთ-დან გამოსვლის მუქარა ისევ პარლამენტიდან გაისმა და რუსეთში ქართული ღვინის ექსპორტის აკრძალვას დაუკავშირდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# დაიცავი ღვინო!

*ყველაზე სასტიკი დამპყრობლები, ქართველთა გადაგვარებას, პირველ ყოვლისა, ვაზის აჩეხვით და ღვინის მოსპობით იწყებდნენ. ჰოდა, ახლაც ღირსებაშელახული ქართული ღვინის დაცვა თავდაცვის მინისტრს დაევალა...*

გიორგი ასანიშვილი

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, ჩინეთში ვიზიტის დროს, თავდაცვის მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს უცხოეთის ბაზრებზე ქართული ღვინის კურირება დაავალა. ქვეყნის მეთაური ამ გადაწყვეტილებას იმით ხსნის, რომ ოქრუაშვილს კარგი ბიზნესგამოცდილება გააჩნია.

**"ძნელი წარმოსადგენია, როგორ უნდა განახორციელოს ირაკლი ოქრუაშვილმა ქართული ღვინის რეკლამა. მას ტანკებზე ხომ არ განათავსებს?"** - კითხულობს "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი ირაკლი იაშვილი. ოპოზიციონერი დეპუტატი, უბრალოდ, თავს იკატუნებს როდესაც აცხადებს, რომ მისთვის აბსოლუტურად გაუგებარია, თუ რატომ ჩამოართვა საქართველოს პრეზიდენტმა ეკონომიკის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფუნქცია ღვინოსთან მიმართებაში და რატომ გადაულოცა ეს მისია ირაკლი ოქრუაშვილს. **"პრეზიდენტის ლოგიკით, თუ რუსეთში შეწყვეტილია ციტრუსის, ვაშლისა და მწვანილის საქართველოდან იმპორტი, მაშინ განათლების მინისტრი კახა ლომაია, წარმოშობით მეგრელია და მას მანდარინისა და ციტრუსის ექსპორტის კურირება უნდა დაევალოს, ლადო ჭიპაშვილს - მწვანილის ექსპორტი, გოკა გაბაშვილს კი - ვაშლის ექსპორტის კურირება,"** - ექსპორტის ახალ სქემებს წარმოადგენს ოპოზიციონერი დეპუტატი.

ხელისუფლების წარმომადგენლები, ოპოზიციისგან განსხვავებით, პრეზიდენტის გადაწყვეტილებას პოზიტიურად ხვდებიან.

**"ირაკლი ოქურაშვილის ნაცვლად, ასეთი დავალება შეიძლებოდა ნებისმიერ მინისტრს მიეღო. ამაში სენსაციას ვერ ვხედავ,"** - აღნიშნავს მთავრობის საპარლამენტო მდივანი გია ხუროშვილი.

გაგრძელება A2 გვერდზე

# გირაო - კანონის დარღვევის მარტივი საშუალება

*საქართველოს პარლამენტის მიერ რიგი არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების გაუქმების შემდეგ, ახალ კანონს არაერთი იურისტი დაუპირისპირდა. ადვოკატები კანონში შესულ ცვლილებებს გამუდმებით აკრიტიკებენ და მის არაეფექტურობაზე საუბრობენ. ჩვენი ინფორმაციით, სხვადასხვა აღმკვეთი ღონისძიების გაუქმების შემდეგ, საგრძნობლად გახშირდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შესული განცხადება-საჩივრების რიცხვიც. მომჩივანები პროკურატურის მხრიდან არასაპატიმრო სანქციის - გირაოს არასწორად გამოყენებას აპროტესტებენ.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

როგორც ირკვევა, მოქალაქეებს პრეტენზიები აქვთ პროკურატურის მიმართ, რადგანაც არ ხორციელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით მათთვის მინიჭებული უფლება - გირაოს ფულადი თანხის ნაცვლად, შეიტანონ თანხის ეკვივალენტური ქონება.

ხშირ შემთხვევებში, მას შემდეგ, რაც განისაზღვრება გირაოს თანხის ოდენობა, პროკურატურა უარს აცხადებს ქონების გირაოს სახით მიღებაზე, აქედან გამომდინარე, პროკურატურა, ფაქტობრივად, ართმევს მხარეს მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებას.

არადა, სისხლის სამართლის კოდექსის 168-ე მუხლის 1 ნაწილი განსაზღვრავს გირაოს ცნებას და ადგენს, რომ "გირაო არის ფულადი თანხა, მოძრავი ან უძრავი ქონება". ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილში ნათქვამია, რომ "ბრალდებულს, განსასჯელს ან მათი სახელით სხვა პირს, გირაოს თანხის ნაცვლად, შეუძლია შეიტანოს ფულადი თანხის ეკვივალენტური უძრავი ან მოძრავი ქონება".

გაგრძელება A4 გვერდზე

# დაიცავი ღვინო!

პირველი გვერდიდან

არც სოფლის მეურნეობის მინისტრი ჩანს მაინცდამაინც უკმაყოფილო იმით, რომ მისი გასაკეთებელი საქმე თავდაცვის მინისტრს დაევალა. **"ქართული ღვინის რეკლამირება და პოპულარიზაცია ყველას საქმეა. ყველას აქვს გამოცდილება და კონტაქტი ქვეყნების მიხედვით, ამიტომ ქართული ღვინის პოპულარიზაციას ყველა მინისტრი განახორციელებს,"** - აცხადებს მიხეილ სვიმონიშვილი.

ის, რაც მთავრობის წევრებისთვის სავსებით ბუნებრივია, ბევრისთვის ძნელი ასახსნელია. **"პროფილური მართვის სფეროდან გამომდინარე, თავდაცვის სფეროს არაფერი აქვს საერთო სავაჭრო სფეროსა და კონკრეტულად ღვინის გასაღებასთან,"** - მხრებს იჩეჩავს საჩხერის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ვალერი გელბახიანი. ამას მოსდევს მინიშნება იმაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტს ირაკლი ოქრუაშვილისადმი მაღალი ნდობა აქვს: **"შესაძლოა, პრეზიდენტმა აღნიშნული განცხადება გააკეთა იმისათვის, რომ მომზადდეს საზოგადოებრივი აზრი ირაკლი ოქრუაშვილის გაპრემიერებასთან დაკავშირებით".**

თუმცა, ვალერი გელბახიანს, როგორც ჩანს, აღარ ახსოვს, რომ პრეზიდენტის "ბრძანებით", ოქრუაშვილი თავდაცვის მინისტრის სავარძელს, მინიმუმ, იმ დრომდეა "მიჯაჭვული", ვიდრე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა არ აღდგება. ეს დრო კი ჯერ არ დამდგარა...

# ოპოზიციამ ბრიუს ჯორჯს ბოიკოტის მემორანდუმი გადასცა

გუშინ, პარლამენტარები ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის საპატიო თავმჯდომარეს ბრიუს ჯორჯს დახურულ კარს მიღმა შეხვდნენ. შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს "დემოკრატიული ფრონტის" წევრმა კახა კუკავამ განუცხადა, რომ ბრიუს ჯორჯს ბოიკოტის მემორანდუმი გააცნო და, ასევე საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა მიაწოდეს ინფორმაცია ვალერი გელაშვილის უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებით.

"ბრიუს ჯორჯი გაკვირვებული დარჩა იმ ფაქტით, რომ გელაშვილის უფლებამოსილების საკითხი პარლამენტმა ერთ დღეში გადაწყვიტა, რადგან ამ საკითხის გადაწყვეტას ორი-სამი თვე სჭირდება", - განაცხადა კუკავამ.

ბრიუს ჯორჯთან პარლამენტარებმა ისაუბრეს აგრეთვე პარლამენტარების ბიზნეს-ინტერესების გამოხატვის თაობაზე. როგორც შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილმა განუცხადა, ბიზნესისა და პარლამენტის საერთაშორისო ასოციაცია იმუშავებს პარლამენტართა საქმიანობის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით. საუბარია ბიზნეს-ინტერესების დეკლარაციებში გამოხატვაზე, რომელთაც პარლამენტარები რეგულარულად ავსებენ.

*ინტერპრესნიუსი*

# ევროკავშირში გაფართოების საკითხზე ერთიანობა არ არის

ოფიციალური ბრიუსელი ევროკავშირში უკრაინის მიღების შესახებ მოლაპარაკებების დაწყებას არ აპირებს. ამის თაობაზე, ევროკომისიის ხელმძღვანელმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ სტრასბურგში ევროპის საბჭოს და ევროკავშირის სამიტზე განაცხადა.

მისი თქმით, ევროკავშირში მისი შემდგომი გაფართოების საკითხზე ერთიანობა არ არის. თუმცა, ამავე დროს, ბაროზუმ აღნიშნა, რომ "უკრაინა ევროპის ოჯახის წევრია" და უკრაინის ევროპული არჩევანის მომავლის სჯერა.

ევროკომისიის ხელმძღვანელმა უკრაინის შესახებ კეთილმეზობლობის და პარტნიორობის პოლიტიკის ფარგლებში რაც შეიძლება მეტი უნდა ითანამშრომლოს ევროკავშირთან, რათა ეს თანამშრომლობა წარმატებული და ურთიერთხელსაყრელი იყოს.

"დარწმუნებული ვარ, უკრაინას ევროპული მომავალი აქვს, მაგრამ გულახდილი ვიყოთ: ამჟამად ევროკავშირში არ არის პირობები იმისათვის, რომ სხვა ქვეყნებს ახალი პერსპექტიული წევრობა შევთავაზოთ. ჩვენ ევროკავშირის ამჟამინდელი წევრი-ქვეყნების ერთიანობა გვჭირდება", - თქვა ბაროზუმ.

ვარაუდობენ, რომ თავის რიგებში ორი ახალი წევრის - ბულგარეთისა და რუმინეთის მიღების შემდეგ, ევროკავშირი შემდგომი გაფართოების გეგმაში ხანგრძლივ პაუზას გააკეთებს. ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ბრიუსელში გამართულ სხდომაზე გადაწყვიტეს ევროკავშირის შემდგომი გაფართოება მანამ შეაჩერონ, ვიდრე ევროკავშირის ერთიანი კონსტიტუცია, ან ისეთი დოკუმენტი არ იქნება მიღებული, რომელიც კავშირის ახლანდელი სტრუქტურის რეფორმირებას გაითვალისწინებს.

*ინტერპრესნიუსი*

# მონიტორინგი აჭარაში

იუსტიციის მინისტრი გია ქავთარაძე აჭარაში გაემგზავრა და იუსტიციის სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სამსახურების მუშაობას გაეცნო.

იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობამ რეგიონული სამსახურების მუშაობის მონიტორინგი წელს, თებერვალში დაიწყო. იუსტიციის მინისტრმა შემოწმება კახეთის რეგიონში ჩაატარა, იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გივი მიქანაძემ - მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლისა და სამეგრელო-ზემო-სვანეთის რეგიონებში, ხოლო იუსტიციის მინისტრის მოადგილემ კონსტანტინე ვარძელაშვილმა - ქვემო ქართლში. მონიტორინგის მიზანია ტერიტორიულ ოფისებში არსებული სამუშაო პირობებისა და სამსახურების მუშაობის ეფექტურობის შემოწმება.

იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაშია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სააღსრულებო დეპარტამენტის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის, სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოების, სახელმწიფო რეგისტრაციის, სახელმწიფო არქივების ტერიტორიული სამსახურები, ასევე - სასჯელაღსრულების დაწესებულებები და ნოტარიუსები.

*24 საათი*

# მიტროფანოვი ბოდიშს იხდის

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა ალექსეი მიტროფანოვმა გუშინ, მიხეილ სააკაშვილსა და იულია ტიმოშენკოს, მისი შეკვეთით შექმნილი ფილმისთვის "იულია" საჯაროდ ბოდიში მოუხადა.

რუსი დეპუტატის თქმით, თავიდან დაგეგმილი იყო იუმორისტული ფილმის გადაღება საქართველოს პრეზიდენტისა და უკრაინის პრემიერ-მინისტრის ურთიერთობაზე. იგი არ ელოდა, რომ ეს ფილმი ქვეყნებს შორის ასეთ პოლიტიკურ რეზონანს გამოიწვევდა.

"ჩვენ მიგვაჩნია, რომ პოლიტიკური შეცდომა დავუშვით. ეს გასულ წელს პარტიის ყრილობაზე ჟირინოვსკიმაც აღნიშნა, მაგრამ მაშინ რაღაც ფილმის პარტიის ყრილობაზე განხილვა უადგილოდ მომეჩვენა. ახლა კი ორივე ქვეყნის მმართველებს საჯაროდ ვუხდი ბოდიშს", - განაცხადა ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა მიტროფანოვმა.

*მედიანიუსი*

# უკრაინაში არჩევნების შედეგების გამოქვეყნება აკრძალეს

უკრაინის უმაღლესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ გუშინ, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საპარლამენტო არჩევნების შედეგების პრესაში გამოქვეყნება აუკრძალა. სასამართლომ ეს გადაწყვეტილება ნატალია ვიტრენკოს ბლოკის "სახალხო ოპოზიციის" სარჩელის განხილვის შემდეგ მიიღო. ვიტრენკოს ბლოკმა, რომელსაც უზენაეს რადაში მოსახვედრად ხმების სულ 0,07 პროცენტი დააკლდა, განაცხადა, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების შედეგების გამოცხადების "თავად პროცედურა" გაასაჩივრა.

გამოქვეყნებამდე არჩევნების შედეგები ძალაში შესულად არ ითვლება. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, უზენაესი რადას ახალ შემადგენლობაში რეგიონების პარტიას 160 მანდატი, იულია ტიმოშენკოს ბლოკს - 129, "ნაშა უკრაინას" - 81, სოციალისტურ პარტიას - 33 და კომპარტიას 21 მანდატი აქვს.

*ინტერპრესნიუსი*

# საპარლამენტო დელეგაცია აშშ-ში მიემგზავრება

ამერიკის დემოკრატიის ხელშეწყობის კომისიის მიწვევით, საპარლამენტო დელეგაცია გაცვლითი საპარლამენტო პროგრამის ფარგლებში კონგრესში შეხვედრებს გამართავს. საპარლამენტო დელეგაციას პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი უხელმძღვანელებს. დელეგაციის შემადგენლობაში კი ირინე ქურდაძე, ლევან ბეჟაშვილი, დავით ზურაბიშვილი, ნინო ნაკაშიძე და ირაკლი კოვზანაძე შედიან. ქართველი პარლამენტარები საქართველოში 29 აპრილს დაბრუნდებიან.

*ინტერპრესნიუსი*

# თავისუფალი სიტყვა



**ახალი მედიაპროექტი რადიო "უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიჰყავს ნინია კაკაბაძეს. სტუმარია პარლამენტის წევრი პავლე კუბლაშვილი**

**ნინია კაკაბაძე:** დღევანდელ გადაცემაში ვისაუბრებთ თემაზე - როგორია სახელმწიფო სტრატეგია ქურდული, კრიმინალური სამყაროს წინააღმდეგ. გადაცემის პირველი ბლოკის სტუმარი უნდა ყოფილიყო საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გიგა ბოკერია. მასთან საუბარზე ჩვენ შეთანხმებულები ვიყავით, მაგრამ ის არც მობილურ ტელეფონს პასუხობს და არც სტუდიაში გვეწვია. აქედან გამომდინარე, ჩვენ ისღა გვრჩება ვიფიქროთ, რომ ხელისუფლებას არ გააჩნია არავითარი სტრატეგია ქურდული სამყაროს წინააღმდეგ და მათი ბრძოლის ფორმები, მხოლოდ ციხეში განხორციელებული შემთხვევებით შემოიფარგლება.

სატელეფონო ხაზზე ვუკავშირდებით პავლე კუბლაშვილს და დავუსვამთ იგივე კითხვას, რითიც გვინდოდა მიგვემართა ბატონი გიგასთვის.

**პავლე კუბლაშილი:** ორგანიზებული დანაშაული არის სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი მთავარი მტერი და ნებისმიერ ქვეყანაში ამ სენის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფოს მთავარი ამოცანაა, მაგრამ იმავდროულად ჩვენ არ შეიძლება ვთქვათ, რომ ერთი რომელიმე ღონისძიება შეიძლება იყოს საკმარისი. ამ პრობლემის დაძლევისთვის სახელმწიფოს თავდაპირველი ქმედება იმაში გამოიხატება, რომ რეალურად აღმოიფხვრას ე.წ. "კრიმინალური ავტორიტეტების" გავლენა, შემდეგი ნაბიჯი კი, კანონის მიღება იყო, რომელმაც ქურდულ სამყაროსთან ბრძოლის მექანიზმი შექმნა. რა თქმა უნდა, რადიკალური ცვლილებებისთვის მარტო სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები არ შეიძლება იყოს საკმარისი. ამ ბრძოლაში უნდა ჩაერთოს ყველა ძალა.

**ნ.კ.:** რომელ ძალას გულისხმობთ?

**პ.კ.:** უნდა ჩაერთოს ზოგადად ყველა სისტემა, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს მენტალიტეტის ცვლილებებს.

**ნ.კ.:** უამრავი სატელევიზიო სარეკლამო რგოლი მზადდება იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა ან გაკეთდება სახელმწიფოს მიერ. ამ სარეკლამო რგოლებში უამრავი ფული იხარჯება. საინტერესოა, რატომ არ მზადდება სასკოლო ასაკისთვის განკუთვნილი ანტიაგიტაციური სარეკლამო რგოლები ქურდული მენტალიტეტის წინააღმდეგ?

**პ.კ.:** მინდა დაგეთანხმოთ, რომ ეს გასაკეთებელია და უახლოეს პერიოდში გაკეთდება, თუმცა ამ თემის ირგვლივ საზოგადოებრივი აზრის შექმნას ხელი უნდა შეუწყოს კონკრეტულმა ფაქტებმა.

**ნ.კ.:** რომელ კონკრეტულ ფაქტებს გულისხმობთ?

**პ.კ.:** ეს არის ის კონკრეტული ფაქტები, რომელიც გაკეთდა იგივე პენიტენციურ სისტემაში. კანონიერი ქურდების მიერ, ამ სისტემის მართვა უკვე გამორიცხულია. ქურდები აღარ იქნებიან პრივილეგირებულნი. ეს არის კონკრეტული შედეგი, რომლის შემდეგაც შეიძლება ამ საკითხში ეკლესია ჩაერთოს. მათი როლი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. იტალიაში ანალოგიურ საკითხში წამყვანი როლი სწორედ ეკლესიას ეკუთვნოდა, რამაც შესაძლებელი გახადა, რადიკალურად შეცვლილიყო საზოგადოების დამოკიდებულება ორგანიზებული დანაშაულის მიმართ.

**ნ.კ.:** როგორც მედიის წარმომადგენლებს განგვიმარტეს, რამდენიმე ხნის წინ ციხეში მომხდარი "მინი" ბუნტი იმით იყო გამოწვეული, რომ პატიმრებს ძალიან წარმატებულად ჩამოართვეს მობილური ტელეფონი, იარაღი და სხვა. თუმცა, რამდენიმე ხნის შემდეგ გაირკვა, მაგალითად ჩემს ნაცნობ პროფესორ პატიმარს, ნამდვილად ჩამოართვეს ტელეფონი, მაგრამ კანონიერ ქურდებს მობილური აპარატები ისევ აქვთ, ეს ისევ შინაგან საქმეთა სამინისტროს ტელემასალაში გამოჩნდა. მაინტერესებს, რის საფუძველზე უნდა ვირწმუნოთ, რომ სამართალდამცავების მიერ განხორციელებული ოპერაციები ამ შემთხვევაში წარმატებულია?

**პ.კ.:** ჩვენ არ ვამბობთ, რომ ერთ დღეში ამ სისტემაში გადატრიალება მოხდა და ყველაფერი გამორიცხულია. რა თქმა უნდა, ციხეზე არის მობილურები და ეს ის პრობლემაა, რომელსაც ერთად უნდა ვებრძოლოთ.

## მოკლედ

### პროდი კოალიციის ფორმირებას იწყებს

იტალიაში გამართული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მემარცხენე-ცენტრისტული კოალიციის ლიდერი რომანო პროდი აცხადებს, რომ ამ დღეებში დაიწყება მოლაპარაკება მთავრობის კაბინეტის შემადგენლობაზე. მანვე აღნიშნა, რომ პარლამენტი მალევე აირჩევს ახალ პრეზიდენტს, რომელიც ქვეყნის მართვას დაავალებს ახალ მთავრობას.

პროდი ირწმუნება, რომ არჩევნებში გაიმარჯვა მისმა კოალიციამ, მაგრამ პროდის მეტოქე, ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი უარს ამბობს დამარცხების აღიარებაზე.

*რადიო თავისუფლება*

### ბზას საფრთხე ემუქრება

"გადავარჩინოთ ბზა!" - ასეთი მოწოდებით მიმართავენ საქართველოს მწვანეთა მოძრაობის წევრები საზოგადოებას. მათი ორგანიზებით გუშინ გამართულ შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფასეულობას - მის უნიკალურ ბუნებას უკონტროლობისა და ჭარბი ექსპლუატაციის გამო საფრთხე დაემუქრა. რელიგიური დღესასწაულისთვის მოსახლეობა განუსაზღვრელი რაოდენობით უკანონოდ მოიპოვებს ბზას, რაც საფრთხეს უქმნის საქართველოში ამ რელიქტური მცენარის არსებობას; არასწორი ექსპლუატაციის გამო საქართველოში ბზის კორომები თითქმის განადგურებულია.

საქართველოს მწვანეები მოუწოდებენ მოსახლეობას, ბზობის დღესასწაულისთვის პლანტაციური მეთოდით გამოყვანილი, ქოთნებში მოთავსებული ან საკუთარ ეზოში მოშენებული ბზა გამოიყენონ. **მედიანიუსი**

### სასკოლო პარტნიორობის საგრანტო კონკურსში 15-მა პროექტმა გაიმარჯვა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ "სასკოლო პარტნიორობის" საგრანტო კონკურსში გამარჯვებულები დაასახელა. მიმდინარე წლის 3 მარტს გამოცხადებულ კონკურსში განაცხადი 130-მა სკოლამ შეიტანა. საკონკურსო კომისიამ უპირატესობა 15 პროექტს მიანიჭა. "უკვე მესამე წელია განათლების სამინისტრო ამ პროექტს ახორციელებს, მაგრამ ის გამოხმაურება, რაც "სასკოლო პარტნიორობის" კონკურსმა წელს ჰპოვა, ჩვენთვის ძალიან სასიხარულოა. პროექტის ბიუჯეტი 100 000 ლარს შეადგენს. ეს თანხა გადანაწილდება იმ გამარჯვებულ პროექტებზე, რომლის ფარგლებშიც ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სკოლები მეგობრობისა და პარტნიორობის ყველაზე საინტერესო და შემოქმედებით გეგმებს დასახავენ", - აღნიშნა განათლების მინისტრის მოადგილემ ბელა წიფურიამ საგრანტო კონკურსში გამარჯვებულთა დასახელებისას ცერემონიაზე.

საკონკურსო კომისია, რომელიც პროექტებს განიხილავდა, განათლების სამინისტროს, საქართველოს აზერბაიჯანელთა კავშირის და საქართველოს სომეხთა გაერთიანების წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული. კონკურსი საქართველოს მასშტაბით ჩატარდა. თითოეული პროექტი რამდენიმე სკოლამ ერთობლივად შეიმუშავა.

კონკურსის ფარგლებში წალკის, თერჯოლის, ჩხოროწყუს, ახალციხის, ლაგოდეხის, მარნეულისა და სხვა რაიონებისა და თბილისის სკოლები დაფინანსდნენ. **მედიანიუსი**



# შპს "საქართველოს რკინიგზა" 2006 წლის 11 აპრილიდან აცხადებს ტენდერს სპეცტანსაცმლისა და სპეცფეხსაცმლის შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N 15) აცხადებს ტენდერს ცხრა ლოტად სპეცტანსაცმლის შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის N3407003205, და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მომართვასთან ერთად შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი :

3.

| ლოტი | საქონლის დასახელება | მიწოდების ვადა | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| № 1 | კირზის ჩექმა | II კვარტ | 706 |
| | | III კვარტ | 391 |
| | | IV კვარტ | 200 |
| | რეზინის ჩექმა | II კვარტ | 278 |
| | | III კვარტ | 308 |
| | | IV კვარტ | 191 |
| | ტყავის ბათინკი | III კვარტ | 650 წყ |
| | ბათინკები | II კვარტ | 839 |
| | | III კვარტ | 102 |
| | | IV კვარტ | 1245 |
| № 2 | საწვიმარი ლაბადა (ბრეზ) | II კვარტ | 418 |
| | | III კვარტ | 401 |
| | | IV კვარტ | 77 |
| | ბრეზენტის ქსოვილის ნახევარლაბადა | IV კვარტ | 800 |
| | ბრეზენტის წინსაფარი | II კვარტ | 4 |
| № 3 | ბამბის ქსოვილის კოსტუმი ხ/ზ გოსტი 5394-74 5375-70 | II კვარტ | 2334 |
| | | III კვარტ | 2064 |
| | | IV კვარტ | 902 |
| | ბამბის ქსოვილის კოსტუმი | III კვარტ | 500 |
| | | IV კვარტ | 500 |
| | დაბამბული კოსტუმი (ტელეგრეიკა) | II კვარტ | 400 |
| | | IV კვარტ | 400 |
| | (დაბამბული) ბამბის ქურთუკი | III კვარტ | 308 |
| | | II კვარტ | 329 |
| | დაბამბული ჩასაცმელი | II კვარტ | 1000 |
| | ბამბის ქურთუკი და შარვალი თბილის სარჩულით | III კვარტ | 150 წყ |
| | თბილი ნახევარქურქი | II კვარტ | 80 |
| № 4 | ჟილეტი ნარინჯისფერი (სასიგნალო) | II კვარტ | 1625 |
| | | III კვარტ | 1400 |
| | | IV კვარტ | 1501 |
| № 5 | ხალათი | II კვარტ | 182 |
| | | III კვარტ | 146 |
| | | IV კვარტ | 62 |
| № 6 | ჩაფხუტი | II კვარტ | 24 |
| | | III კვარტ | 120 |
| № 7 | დიელექტრიკული ხელთათმანები ტუ-38-105504-72 | III კვარტ | 300 |
| | ხელთათმანი ლიანდაგის მომსახურე პერსონალისთვის | II კვარტ | 12750 |
| | | III კვარტ | 8230 |
| | | IV კვარტ | 8321 |
| | ბრეზენტის ხელთათმანი გოსტი 19361-74 12548-76 | II კვარტ | 5360 |
| | | III კვარტ | 4931 |
| | | IV კვარტ | 2000 |
| | ხელთათმანი კომბინირებული | II კვარტ | 400 |
| | | III კვარტ | 200 |
| | | IV კვარტ | 200 |
| № 8 | რესპერატორი | II კვარტ | 4 |
| № 9 | წითელი ქუდი | II კვარტ | 520 |

4. მიწოდების ადგილი - შპს "საქართველოს რკინიგზის" მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ცენტრალური ბაზა, ქ. თბილისი, მერაბ ქავთარაძის 11ა.

5. მიწოდების ფორმა: მხარეთა შეთანხმებით.

6. მიწოდების სასურველი ვადები: ზემოაღნიშნული ცხრილის შესაბამისად.

7. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **4 და 5** მაისს 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

8. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის :**

ა) სარეგისტრაციო დოკუმენტები და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა შესაბამისი ორგანოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, ასევე არ ხდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

გ) ინფორმაცია მასალის შესახებ, რომლისგანაც შეკერილი იქნება პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული პროდუქცია;

დ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

**ფიზიკური პირებისათვის :**

ა) ცნობა შესაბამისი ორგანოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

ბ) ინფორმაცია მასალის შესახებ, რომლისგანაც შეკერილი იქნება პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული პროდუქცია;

გ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

9. სატენდერო წინადადებების განხილვის დროს პრეტენდენტები ვალდებული იქნებიან წარმოადგინონ შემოთავაზებული პროდუქციის ნიმუში.

**პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.**

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ: 56 51 85.

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.



მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# ამერიკული ოპტიმიზმი

პირველი გვერდიდან

მან ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს მოსახლეობამ დემოკრატიის განვითარების საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანა. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ კი ქვეყანამ უზარმაზარ წარმატებებს მიაღწია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ზურაბ ნოღაიდელთან გამართული შეხვედრის შემდეგ კი ფრისტმა განაცხადა, რომ ვაშინგტონი მხარს უჭერს საქართველოს გაწევრიანებას ნატო-სა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში. ამისათვის საჭიროა, საქართველომ ყურადღება მიაქციოს ქვეყანაში რეფორმების გატარებას, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ტემპებს, სასამართლო ხელისუფლების გაძლიერებას. ხოლო რაც შეეხება მოუგვარებელ კონფლიქტებს, **"არ მგონია, კონფლიქტების მოუგვარებლობის საკითხი საქართველოს ნატოში გაწევრიანების დაბრკოლება გახდეს"**, - აღნიშნა ბილ ფრისტმა.

აშშ-ის კონგრესის დელეგაცია, სენატის უმრავლესობის ლიდერის ბილ ფრისტის ხელმძღვანელობით საქართველოში 11 აპრილს ჩამოვიდა. მის შემადგენლობაში შედიან სენატორები - ჯად გრეგი, რიჩარდ ბერი და სენატის მდივანი ემილ რეონოლდსი.

გუშინ ნინო ბურჯანაძემ ამერიკელ სტუმრებს მადლობა გადაუხადა იმ თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის, რომელიც, მისი თქმით, ორ ქვეყანას შორის სხვადასხვა მიმართულებით არსებობს. პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია აშშ-ის მხარდაჭერა ქართული დემოკრატიის განვითარებისა და კონფლიქტების დარეგულიერების საქმეში.

**"აშშ საქართველოს მეგობარი და მოკავშირეა და ვაშინგტონი საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს მხარდაჭერას მომავალშიც გააგრძელებს,"** - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ ბილ ფრისტმა. შეხვედრაზე მხარეთა წარმომადგენლებმა პოლიტიკური, ეკონომიკური და



*ამერიკელ სენატორები სახელმწიფო კანცელარიაში.*

უსაფრთხოების საკითხები განიხილეს.

ფრისტის თქმით, აშშ გააგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას სამხედრო რეფორმების გატარებაში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, სენატორები აქტიურად განიხილავენ აშშ-ის მონაწილეობის საკითხს სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარებაში. კონგრესმენები მიესალმებიან სამშვიდობო მისიების ინტერნაციონალიზაციას.

ბილ ფრისტი გამოეხმაურა რუსეთში საქართველოს ღვინოზე ემბარგოს დაწესების თემას. მისი თქმით, ეს ორ ქვეყანას შორის მოსაგვარებელი საკითხია. უნდა დადგინდეს საქართველოდან რუსეთში ღვინის ექსპორტის შეჩერების ჭეშმარიტი მიზეზები და **"იმ შემთხვევაში, თუ ქართულ ღვინოზე ემბარგო პოლიტიკურ ხასიათს ატარებს, ჩვენ მას ვგმობთ"**, - დასძინა ბილ ფრისტმა. მისივე შეფასებით, ღვინის ექსპორტის საკითხი მეცნიერულ დონეზე უნდა გადაწყდეს.. ხოლო, რაც შეეხება ემბარგოს საკითხს, **"იგი არ უნდა იყოს გამოყენებული, როგორც პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტი"**.

### ერთგული რეჟიმი თუ ეფექტური სახელმწიფო?

"დემოკრატიის შუქურის" როლი საქართველოს ჯერ კიდევ მაისში თბილისში ჩამოსულმა აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა დააკისრა. თანაც "შუქურის" არა მარტო პოსტსაბჭოთა სივრცის, არამედ ფართო ახლო აღმოსავლეთის მასშტაბითაც. ჯორჯ ბუშის "საავტორო ბრენდი" მსოფლიოში დემოკრატილული ფასეულობების გავრცელებას ითვალისწინებს, და მის პოლიტიკას ამ მხრივ წარმატებული საქმიანობის თვალსაჩინო მაგალითი ესაჭიროება.

აშშ-ს პრეზიდენტის, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლების და ამჯერად სენატორების განცხადებებიდან გამომდინარე, ასეთი მისიის შესრულება სწორედ საქართველოს ერგო. საქართველოში დემოკრატიის განვითარება აშშ-ს პოლიტიკის წარმატებაა. აქედან გამომდინარე, აშშ ყურადღებით ადევნებს თვალყურს საქართველოში ამ მხრივ არსებულ ვითარებას. მართალია, აშშ ყველანაირად ცდილობს და მომავალშიც ეცდება საქართველოში მიმდინარე მოვლენები საერთაშორისო ასპარეზზე რაც შეიძლება დადებითად წარმოაჩინოს, მაგრამ ამის შესაძლებლობა, ობიექტურად, განუსაზღვრელი არ არის. საქართველოს ხელისუფლების ნებისმიერ გადახვევას დემოკრატიული განვითარების გზიდან აშშ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეგუება, თუ ეს ჩვენი ქვეყნის საგარეო იმიჯზე არ იმოქმედებს. თუმცა, რეალური ვითარების უსასრულოდ დამალვა მთელი მსოფლიოსაგან, დღევანდელ ვითარებაში, უბრალოდ შეუძლებელია.

ამიტომაც, ქებისა და ოპტიმისტური განცხადებების მიუხედავად, ვაშინგტონიდან არსებულ ნაკლოვანებებზე მინიშნებებიც ისმის. ამის მაგალითი აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის წლევანდელი ანგარიშია სხვადასხვა ქვეყნებში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ. საქართველოს მიღწევები ამ მიმართულებით დადებითადაა შეფასებული, თუმცა კორექტული, მაგრამ ზუსტი მინიშნებები არსებულ ნაკლოვანებებზე ცხადყოფს, რომ აშშ-ში ჩვენს ქვეყანას ძალზე ყურადღებით აკვირდებიან. კერძოდ, ხსენებულ ანგარიშში შენიშვნები სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის პრობლემებს, ძალოვან სტრუქტურებში დაუსჯელობის სინდრომს, მსჯავრდებულებთან არაჰუმანურ მოპყრობას და საარჩევნო სისტემაში არსებულ პრობლემებს ეხება. **"ამერიკელებს ესმით, რომ ასეთ რთულ სფეროებში უცებ სასწაულები არ ხდება. ეს არის გარკვეული წახალისება. საქართველოს დღეს ასეთი შეფასებები სჭირდება, რომ ქვეყანა წინ წავიდეს"**, - აცხადებს ამ დოკუმენტის კომენტირებისას ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორი დავით დარჩიაშვილი.

საქართველოს მიმართ ამერიკული ოპტიმიზმის მიუხედავად, ვაშინგტონი თბილისს აგრძნობინებს, რომ საქართველოში მომხდარი არაფერი "ეპარება". აშშ-ს საქართველოში არა ერთგული რეჟიმი, არამედ ეფექტური, დემოკრატიის გზაზე საიმედოდ მდგარი, ინსტიტუციურად მდგრადი სახელმწიფო სჭირდება. საქართველოს წარმატება ამ მხრივ აშშ-ს ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის წარმატება იქნება. ქართული დემოკრატია მსოფლიოსათვის წარსადგენი თვალსაჩინო მაგალითი უნდა გახდეს. სანაცვლოდ კი, საქართველო მნიშვნელოვან პოლიტიკურ დივიდენდებს მიიღებს, თუნდაც ნატო-ში გაწევრიანების საკითხში ვაშინგტონის მხარდაჭერის სახით. ხოლო საქართველოს წარუმატებლობა ამ საქმეში აშშ-ს პოლიტიკის მარცხიც იქნება.

# ტრადიციული პაექრობა საერთო თამაშის წესებით

პირველი გვერდიდან

ასეთი შინაარსის საპარლამენტო ინიციატივებს ყოველთვის მოჰყვება აღმასრულებელი ხელისუფლების ცალსახა პასუხი: **"დსთ-დან გასვლა საქართველოს საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში არ დგას"**. ამჯერადაც ასე მოხდა. პრემიერმა ზურაბ ნოღაიდელმა არ დაიზარა და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საქართველო დსთ-ს დატოვებას არ გეგმავს.

აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ეს "ტრადიციული პაექრობა", ქართველი ექსპერტების აზრით, "საერთო თამაშის წესებით" არის განპირობებული. ქართველ ექსპერტთა ის ნაწილი, რომელსაც "24 საათი" დაუკავშირდა, მიიჩნევს, რომ საქართველო ჯერ მზად არ არის დატოვოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, რომლის შემადგენლობაშიც ჩვენი ქვეყანა 1994 წელს, ყველაზე ბოლოს შევიდა.

"24 საათმა" ქართველ ექსპერტებს ერთადერთი კითხვით მიმართა: რა დადებითი და უარყოფითი შედეგები მოჰყვება საქართველოს გადაწყვეტილებას დსთ-დან გასვლის შესახებ?

თსუ-ს პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, საერთაშორისო ურთიერთობათა ექსპერტი დავით აფრასიძე მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე საქართველო დსთ-დან გასვლით ვერც იხეირებს და ბევრს არაფერს დაკარგავს.

**"ჩემი აზრით, დსთ-დან გასვლას რეალურად არავითარი დადებითი შედეგი არ მოჰყვება. ანუ რეალურად არაფერი შეიცვლება. დღეს დსთ-ს წევრობა საქართველოს ნატო-სთან ურთიერთობაში ხელს არ უშლის, რადგან ნატო-ში ჩვენი გაწევრიანება ჯერ კარზე მომდგარი ფაქტი არ არის.**

**რაც შეეხება უარყოფით მომენტებს: მართალია, საქართველოს დსთ-ში ყოფნით არც რუსეთთან სავიზო რეჟიმის საკითხი გადაწყვეტილა და არც ეკონომიკური საკითხები გვარდება, მაგრამ დსთ-დან გასვლის შემთხვევაში ჩვენ რუსეთს აბსოლუტურ კარტ-ბლანშს ვაძლევთ. თუ დღეს რუსეთის მიერ დსთ-ს წევრ საქართველოსთან მიმართებაში გადადგმული ნაბიჯები საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მაინცდამაინც კარგად არ აღიქმება, ჩვენი დსთ-დან გასვლის შემთხვევაში რუსეთის მოქმედებები უკვე ყველანაირად "ლეგიტიმური" იქნება. ანუ რუსეთის ცუდად წარმოჩენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტს ვკარგავთ.**

**მეორე უარყოფითი მომენტი არის ის, რომ დავკარგავთ "სავაჭრო თემას". დსთ-დან გასვლა-არგასვლის საკითხი ხომ ჩვენთვის კარგი "სავაჭრო თემაა". ამ ეტაპზე, ჩემი აზრით, უფრო კარგი იქნება თუ ამ თემით ვაჭრობას გავაგრძელებთ, რასაც ვაკეთებთ კიდეც... ანუ დსთ-დან გამოსვლით არც ვიგებთ რამეს და არც არაფერს ვკარგავთ, მაგრამ რუსეთს იმის "ლეგიტიმიზაციის" საშუალებას არ ვაძლევთ, რაც უკვე დაკარგული გვაქვს,"** - აცხადებს აფრასიძე.

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"-ს აღმასრულებელ დირექტორს დავით დარჩიაშვილს მიაჩნია, რომ **"დსთ-ს წევრობა საქართველოსთვის ვერავითარ დადებით შედეგს ვეღარ მოიტანს"**. თუმცა, მისი აზრით, რუსეთთან დაძაბული ურთიერთობის ფონზე "ცეცხლზე ნავთის დასხმისა" და "კარის მიჯახუნების დრო" არ არის.

**"არის არც თუ ლოგიკას მოკლებული არგუმენტები, რომ დსთ არის ტრიბუნა, ამ ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნების ხელმძღვანელებთან დამატებითი ურთიერთობის საშუალება და ა.შ. მაგრამ განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ ამ ორგანიზაციის წევრობით საქართველომ ვერ მოახერხა უმთავრესი პრობლემის - რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება. ეს ორგანიზაცია სრულიად უუნარო გახდა.**

**თუმცა, არსებობს ერთი მაგრამ. დღეს საქართველო-რუსეთის ურთიერთობა იმდენად დაძაბულია, რომ შექმნილი სიტუაცია სერიოზულ რისკებს შეიცავს. ეს ემოციური ფონი რაღაც დონემდე აუცილებლად უნდა ჩაცხრეს. ცხადია, ეს პრინციპულ საკითხებში დათმობის ხარჯზე არ უნდა მოხდეს, მაგალითად, იქნება ეს მაგისტრალური გაზსადენი, ბაზები თუ კონფლიქტები. თუმცა, რაღაც კომპრომისები აუცილებლად უნდა გამოიძებნოს. ხოლო, თუ ჩვენ ნატო-სკენ ახალ ნაბიჯს გადავდგამთ და ალიანსთან ურთიერთობის სხვა ეტაპზე გადავალთ, დსთ-დან გასვლის საკითხი ბუნებრივად დადგება,"** - აღნიშნავს დარჩიაშვილი.

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის ექსპერტის არჩილ გეგეშიძის აზრით, საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას კარგად ესმის, რომ დსთ-დან გამოსვლის შემთხვევაში საქართველო ბევრ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემას წააწყდება.

**"პოლიტიკური თვალსაზრისით, ჰაერში გამოეკიდება და გაურკვეველი იქნება აფხაზეთთან მიმართებაში იგივე დსთ-ს ეგიდით მიღებული სანქციების საკითხი, რომელიც თავის დროზე დსთ-ს ქვეყნების პრეზიდენტების სამიტზე იქნა მიღებული. ასევე, დსთ-ს ეგიდით მიმდინარეობს სამშვიდობო ოპერაცია, რომლის ჩანაცვლებისთვის, როგორც ჩანს, დასავლეთი ჯერჯერობით მზად არ არის. დასავლეთი მზად არ არის ეუთო-ს ან გაერო-ს ეგიდით მხარი დაუჭიროს სამშვიდობო ოპერაციის განხორციელებას აფხაზეთის რეგიონში.**

**ეკონომიკური თვალსაზრისით, პრობლემები თავზე საყრელი იქნება - გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე დღეს არის. საქართველოს პროდუქცია საბოლოოდ დაკარგავს რუსეთის ბაზარს. ღვინო რუსეთში განხორციელებული ქართული პროდუქციის ექსპორტის 40-45 პროცენტს შეადგენს... დაიკარგება ისეთი პროდუქციების ბაზარიც, როგორიცაა ფეროშენადნობები, ბორჯომი, თხილი და ა.შ.,"** - აცხადებს გეგეშიძე.

მისი თქმით, დსთ-დან გასვლის შემთხვევაში საქართველო საბოლოოდ ჩამოშორდება რუსეთის მიერ დომინირებულ სივრცეს და საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში აღარ იქნება აღქმული და დაკავშირებული რუსეთთან.

**"ეს იქნება მთავარი პოლიტიკური შედეგი საქართველოს დსთ-დან გასვლის შემთხვევაში... საქართველოს სამომავლო გეგმებიდან გამომდინარე, რაც დასავლურ ინსტიტუტებთან დაახლოებას უკავშირდება, ჩვენმა ქვეყანამ ადრე თუ გვიან აუცილებლად უნდა გააკეთოს არჩევანი ორ სივრცეს შორის - რუსეთი თუ დასავლეთი,"** - აღნიშნავს გეგეშიძე.

# "წარმატებები" საერთაშორისო ზეწოლის ფონზე

## რა უღირს თეირანს ბირთვული კლუბის წევრობა?

თეა მაისურაძე

ირანი ბირთვულ კლუბში გაწევრიანებას კვლავ ჯიუტად ცდილობს. ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა გუშინ განაცხადა, რომ თეირანი ურანის გამდიდრებას შეუდგა: **"ბირთვული ექსპერიმენტების განახლება ირანელი ხალხის დამსახურებაა, რომელმაც საერთაშორისო ზეწოლას გაუძლო და ატომური პროგრამის შეჩერებაზე უარი თქვა,** - განაცხადა აჰმედინეჯადმა, - **უფლის მფარველობით და ირანელი ერის მცდელობით ჩვენმა ქვეყანამ მეტად მნიშვნელოვან რამეს მიაღწია. დღევანდელი დღე ირანის ისტორიაში შევა"**.

აღსანიშნავია, რომ კალათში გამართული ყრილობა, რომელსაც მეცნიერები და სამხედროები ესწრებოდნენ, ირანის სახელმწიფო ტელევიზიის პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა და ყველას შეეძლო ედევნებინა თვალი თუ რა ოვაციები გამოიწვია აჰმადინეჯადის სიტყვებმა.

ოფიციალური ვაშინგტონი ირანის განცხადებას საერთაშორისო საზოგადოების ხელახალ გამოწვევად მიიჩნევს, თუმცა აშშ ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ ომის უახლოეს მომავალში დაწყებას გამორიცხავს. აშშ-ს თავდაცვის მდივანმა დონალდ რამსფელდმა უარყო გავრცელებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც აშშ ირანის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებს დაიწყებს იმ შემთხვევაში, თუ დიპლომატია შედეგს არ გამოიღებს. რამსფელდმა ამ ინფორმაციას "ფანტაზიის ნაყოფი" უწოდა.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის შონ მაკკორმაკის განცხადებით, გაერო-ს უშიშროების საბჭომ ირანის ამგვარი ნაბიჯით მიიღო სწრაფი და აქტიურ რეაგირებისათვის საჭირო მიზეზი. ირანმა ურანი 3,5 პროცენტამდე გაამდიდრა, რაც ატომური იარაღის შესაქმნელად საკმარისი არ არის, თუმცა ცხადია, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ მცდარი გზა აირჩია. თეთრი სახლის წარმომადგენელი სკოტ მაკკლელანი აცხადებს: **"ირანის**



*"ჩვენი ძვირფასი ირანი მსოფლიოს ბირთვულ სახელმწიფოებს შეუერთდა"*

**განცხადებები და ქმედებები თეირანის რეჟიმის დანარჩენი მსოფლიოსაგან იზოლაციის ხარისხის გაზრდას იწვევს"**.

ოფიციალური მოსკოვი ირანის ბირთვულ პოლიტიკას სახიფათოდ მიიჩნევს და გუშინდელი განცხადებების შემდეგ ირანის მთავრობას ურჩევს მაქსიმალურად გაითვალისწინოს საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულება. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი აჰმადინეჯადის მთავრობას მოუწოდებს ბოლომდე დაემორჩილოს მაგატე-ს გადაწყვეტილებას და ამ ორგანიზაციასთან აქტიური მუშაობა განაგრძოს.

რუსეთის კრიტიკის საპასუხოდ ოფიციალური თეირანი აცხადებს, რომ ბირთვული პროგრამის შეჩერება არ მოხდება. **"რუსეთი საკითხის მოგვარების დიპლომატიურ გზებზე აკეთებს აქცენტს და მიიჩნევს, რომ პრობლემის გადაჭრა არ უნდა მოხდეს ძალისმიერი გზებით,"** - აცხადებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი.

საკითხის უკეთ გარკვევის მიზნით საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტოს გენერალური დირექტორი მუჰამედ ელ-ბარადეი ირანში ჩავიდა. საგულისხმოა, რომ ბარადეის ვიზიტთან დაკავშირებით მაჰმუდ აჰმადინეჯადის მიერ გაკეთებული კომენტარი, უჩვეულოდ "რბილი" და ნაკლებად კონფრონტაციული იყო. პრეზიდენტი იმედოვნებს, რომ ბარადეის ვიზიტი უშედეგოდ არ დასრულდება: **"ჩვენი ყველა ქმედება მაგატეს ზედამხედველობით ხორციელდება და ჩვენთვის კარგია, თუ ეს ასე გაგრძელდება,"** - მორჩილად ამბობდა ირანის რადიკალი პრეზიდენტი.

ერთ-ერთი ევროპელი დიპლომატის განცხადებით, ირანი ელ-ბარადეისაგან ისეთ ნაბიჯს მოელის, რაც შექმნილი სტატუს კვოს აღიარებას გულისხმობს. ხოლო მას შემდეგ რაც ოფიციალური თეირანი დღეს არსებულ მდგომარეობას შეინარჩუნებს (ანუ ირანის ბირთვული პროგრამის გაგრძელებას მიაღწევს), ის ახალ ნაბიჯებს გადადგამს თავისი გეგმის სისრულეში მოსაყვანად.

მაგატეს-ს ხელმძღვანელმა აპრილის ბოლოს მოხსენება უნდა წარუდგინოს გაერო-ს უშიშროების საბჭოს, რომელმაც თავის მხრივ უნდა გადაწყვიტოს, თუ რა ნაბიჯები იქნება გადადგმული კრიზისის დასაძლევად ან რა სახის ზომები უნდა იქნას მიღებული ირანის შესაჩერებლად.

წინასწარ არის ცნობილი, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოს ორი წევრი, რუსეთი და ჩინეთი, რომელთაც ირანთან მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები აქვთ, კვლავ არ დაეთანხმებიან ევროკავშირისა და აშშ-ს მოთხოვნას, ირანის წინააღმდეგ პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციების დაწესების შესახებ.

გუშინ ამერიკის შერთებული შტატების პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა: **"ჩვენს ინტერესებში არ შედის, რომ ირანი ფლობდეს ბირთვულ იარაღს, თუნდაც შესაძლებლობას ამგვარი იარაღის ქონის ან მისი შექმნისათვის საჭირო ტექნოლოგიის ცოდნას"**.

მართალია, გამდიდრებული ურანის გამოყენება ელექტროენერგიის მისაღებადაც შეიძლება. მაგრამ იგი ბირთვული იარაღის მთავარ კომპონენტსაც წარმოადგენს. ორივე შემთხვევაში საჭიროა ათასობით ცენტრიფუგის არსებობა, რაც დღევანდელ ვითარებაში ირანის ტერიტორიაზე გამორიცხულია. ასე რომ, მიუხედავად აჰმადინეჯადის "ოპტიმისტური" განცხადებებისა, თეირანს ბირთვული იარაღის დამოუკიდებლად შექმნა არ შეუძლია.

უნდა ითქვას, რომ ისლამური რესპუბლიკის ლიდერის გუშინდელი განცხადება არ ნიშნავს იმას, რომ თეირანი დაუყოვნებლივ დაიწყებს ბირთვული იარაღის წარმოებას. ექსპერტთა მტკიცებით, ირანი ჯერ კიდევ ძალიან შორს არის ბირთვული იარაღის შექმნისაგან, რადგან მას მხოლოდ 164 ცენტრიფუგა აქვს შექმნილი, ხოლო ბირთვული პროგრამის რეალიზაციისათვის კი საჭიროა ათასობით ცენტრიფუგის შექმნა. ოფიციალური თეირანი აცხადებს, რომ წლის ბოლოსთვის პროგრამის ფარგლებში 3 000-მდე ცენტრიფუგა შეიქმნება, ხოლო მომავალში მათ რაოდენობას ირანი 54 000-მდე გაზრდის, თუმცა ოფიციალური თეირანი ვადას უკვე აღარ აფიქსირებს.

ზოგიერთი ირანელი დიპლომატი და ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ირანი დასავლეთთან მოლაპარაკებებს გააგრძელებს: **"ირანის მიზანი არის ის, რომ დიდ გამარჯვებას, მიღწევას გაუსვას ხაზი,** - აცხადებს ერთ-ერთი ირანელი ანალიტიკოსი საედ ლეილაზმა, - **თეირანმა მიაღწია მიზანს და დააკმაყოფილა ირანელი ხალხის მოთხოვნა, ამის შემდეგ ის გაერო-ს უშიშროების საბჭოსთან და აშშ-სთან კომპრომისზე წავა"**.

ირანის ყოფილი პრეზიდენტის, ამჟამადაც მეტად გავლენიანი პოლიტიკოსის ალი აკბარ ჰაშემი რაფსანჯანის განცხადებით, ირანზე ზეწოლა არ გამოიწვევს კარგ შედეგებს. თუ დასავლეთი ირანთან კონფრონტაციას არ შეწყვეტს, მაშინ სიტუაცია ყველასათვის გართულდება. ოფიციალური თეირანი მის წინააღმდეგ სანქციების მიღების შემთხვევაში ნავთობის ფასის გაზრდით იმუქრება.

### მოკლედ

### "გაზის გარიგება" არ შეიცვლება

უკრაინის პრეზიდენტმა დაადასტურა რუსეთთან გაზის საკითხზე გაფორმებული შეთანხმების მხარდაჭერა. ამ შეთანხმების შესაბამისად, უკრაინა 95 დოლარს გადაიხდის 1000 კუბურ მეტრ გაზში მომავალი 5 წლის განმავლობაში - თითქმის ორჯერ მეტს, ვიდრე იხდიდა.

"ვერ ვხედავ ამ დოკუმენტის გადასინჯვის საჭიროებას და ავხსნი, რატომ. მოლაპარაკების რთული პროცესის მსვლელობაში მივაღწიეთ იმას, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენი სტრატეგიული ეროვნული ინტერესებისთვის. რუსული გაზის ფასი უკრაინის საზღვარზე არის 95 დოლარი - რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნებიდან ყველაზე იაფი," - განუცხადა გუშინ კიევში პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ ჟურნალისტებს.

უკრაინის პრეზიდენტის მიერ ნახსენებ შეთანხმებას წელს, 4 იანვარს მიაღწიეს. უკრაინაში ბევრი აკრიტიკებს ამ დოკუმენტს, როგორც წამგებიანს უკრაინის ეკონომიკისთვის. შეგახსენებთ, იულია ტიმოშენკომ უმაღლეს რადაში ამ საკითხთან დაკვშირებით მთავრობის ნდობის ვოტუმის ინიცირებაც მოახდინა და, რაც მთავარია, წარმატებით, თუმცა, პრეზიდენტმა მაშინ არ ცნო უმაღლესი რადას გადაწყვეტილება. **24 საათი**

### ერაყში ძალადობა გრძელდება

გუშინ ძალადობამ ერაყის რამდენიმე რეგიონში, სულ ცოტა, 12 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. 8 კაცი, მათ შორის ოთხი პოლიციელი დაიღუპა გზის პირას ჩადებული ბომბების აფეთქების შედეგად ბაღდადში, ტალაფარსა და კირკუკში.

ბაღდადშივე ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს ერთი პოლიციელი. ქალაქის მისასვლელებთან კი გზის პირას ჩადებული ბომბის აფეთქებამ ორი ამერიკელი ჯარისკაცის სიცოცხლე იმსხვერპლა. კიდევ სამი ადამიანი დაიღუპა დანაღმული ავტომანქანის აფეთქების შედეგად ქალაქ ჰალისში.

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

## საქართველოს ბანკის აქციონერთა საყურადღებოდ

**სს "საქართველოს ბანკის" აქციონერთა მორიგი კრების ჩატარება განსაზღვრულია 2006 წლის 3 მაისს 18:30 საათზე. აქციონერთა მორიგი კრების დღის წესრიგი მოიცავს შემდეგ საკითხებს:**

1. ბანკის 2005 წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშების დამტკიცება;
2. 2005 წლის საქმიანობის შესახებ ბანკის დირექტორატის ანგარიშის დამტკიცება;
3. დივიდენდების განაწილება;
4. ცვლილებები ბანკის სამეთვალყურეო საბჭოში:

4.1. ბატონების ქესთუთის სასნაუსკასის, იური მოსტოვოისა და ენდრიუ ოსტაშევსკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების თანამდებობიდან გადადგომა;

4.2. ბატონების ვლადიმერ გურგენიძის, ჯირკი თალვითიესა და მარტინ მასარის ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად არჩევა.

5. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ანაზღაურების შესახებ;
6. წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
7. სხვა საკითხები

სს "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი 2006 წლის 3 მაისის მორიგი აქციონერთა კრების დღის წესრიგთან დაკავშირებით აქციონერებს წარუდგენენ შემდეგი სახის რეკომენდაციებს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით:

1. დამტკიცდეს შ.პ.ს. "ერნსტ & იანგ"-ის მიერ აუდიტირებული ბანკის 2005 წლის ფინანსური შედეგები;

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით:

1. დამტკიცდეს დირექტორატის ანგარიში ბანკის 2005 წლის საქმიანობის შესახებ

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით:

1. დამტკიცდეს ბანკის დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს ერთობლივი წინადადება მოგების განაწილების შესახებ;
2. დამტკიცდეს ბანკის 2005 წლის მოგებიდან დივიდენდის სახით 0.05 ლარის განაწილება ბანკის თითოეულ გამოშვებულ აქციაზე (2006 წლის 31 მაისის მდგომარეობით);
3. დამტკიცდეს 2006 წლის 31 მაისი დივიდენდების სააღრიცხვო თარიღად (წესდების 5.2.1 პუნქტის თანახმად);
4. დამტკიცდეს 2006 წლის 5 ივნისი დივიდენდების გაცემის დაწყების თარიღად (წესდების 5.2.2 პუნქტის თანახმად)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით:

1. დამტკიცდეს ბატონების ქესთუთის სასნაუსკასის და იური მოსტოვოისა ენდრიუ ოსტაშევსკის გადაგომა სს "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრების თანამდებობიდან. იმ პირობით თუ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი 2006 წლის 3 მაისამდე მოახდენს საქართველოს ბანკში მისი კუთვნილი აქციების გაყიდვას, მაშინ დამტკიცდეს ენდრიუ ოსტაშევსკის გადადგომა სს საქართველოს ბანკის სამეთვალქურეო საბჭოდან;
2. დამტკიცდეს ბატონი ვლადიმერ გურგენიძის სს "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოში არჩევა იმ მიზნით, რომ იგი შემდეგ არჩეული იქნება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ;
3. დამტკიცდეს ბატონი მარტინ მასარის სს "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩევა;
4. დამტკიცდეს ბატონი ჯირკი თალვითიეს სს "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩევა.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით:

1. დამტკიცდეს ბატონი ვლადიმერ გურგენიძის ანაზღაურება იმ ოდენობითა და პირობებით (იმ უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, რასაც შეიმუშავებს სამეთვალყურეო საბჭო), რომელიც განსაზღვრულია 2004 წლის 20 აგვისტოს "სასამსახურო ხელშეკრულებაში";
2. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრს (ბატონი ვლადიმერ გურგენიძის გარდა) და ახლადდანიშნულ გენერალური დირექტორს, მიენიჭოს უფლებამოსილება ხელი მოაწერონ მავალდებულებელი ძალის მქონე ცვლილებას 2004 წლის 20 აგვისტოს "სასამსახურო ხელშეკრულებში", რათა აისახოს ბატონი ვლადიმერ გურგენიძის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნა.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით:

1. იმ პირობით თუ ევროპის რეკონსტრუქსიისა და განვითარების ბანკი 2006 წლის 3 მაისამდე მოახდენს საქართველოს ბანკში მისი კუთვნილი აქციების გაყიდვას, მაშინ გაუქმდეს საქართველოს ბანკის წესდების პუნქტი 8.18 და მითითება 8.18 პუნქტზე რომელიც მოცემულია წესდების 8.10 პუნქტში;
2. წესდების პუნქტი 7.1.7 ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

*"7.1.7. კრების ოქმს შეადგენს და დაამოწმებს ნოტარიუსი. ოქმი ხელმისაწვდომი იქნება ყველა აქციონერისთვის, სამთვალყურეო საბჭოს წევრისთვის და მათი წარმომადგენლებისთვის".*

**აქციონერთა მორიგი კრება გაიმართება სს "საქართველოს ბანკის" სათავო ოფისში, პუშკინის ქუჩა N3, თბილისი, საქართველო.**

**აქციონერთა რეგისტრაცია დაიწყება 2006 წლის 3 მაისს, 17:45 საათზე.**

**აქციონერთა კრების სააღრიცხვო დღედ დადგენილია 2006 წლის 3 აპრილი, 17:00 საათი.**

**აქციონერთა კრებაში მონაწილეობის უფლება შეიძლება გადამოწმებულ იქნას 2006 წლის 23 აპრილიდან სს "საქართველოს ბანკის" აქციების რეგისტრატორთან - სს "კავკასრეესტრი" შემდეგ მისამართზე: ჭავჭავაძის გამზირი N74ა, თბილისი, საქართველო.**

# გირაო - კანონის დარღვევის მარტივი საშუალება

პირველი გვერდიდან

**"ცალკეული პროკურორების მხრიდან აღკვეთის ღონისძიების - გირაოს - არასწორი გამოყენება არღვევს სისხლის სამართლის კოდექსის მოთხოვნებს და ადამიანის უფლებებს",** - აცხადებს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი.

სხვათა შორის, ჩვენი ინფორმაციით, ცოტა ხნის წინ ომბუდსმენმა რეკომენდაციით მიმართა გენერალური პროკურატურის პროკურორს გოგიბერიძეს. ომბუდსმენმა პროკურორს გირაოსთან დაკავშირებით კანონის მოთხოვნების დაცვა მოსთხოვა. საქმე ისაა, რომ პროკურორი კატეგორიულ უარს აცხადებდა, ბრალდებულ ქართლოს სხირტლაძის დაცვის მხარისაგან, ფულადი თანხის ნაცვლად, გირაოს სახით, მიეღო უძრავი ქონება, რითაც კანონი ირღვეოდა. ამ გარემოებამ გამოიწვია მხარის მიერ გირაოს დეპოზიტზე შეტანისთვის განსაზღვრული ვადის ამოწურვა, რის შემდეგაც პროკურატურამ სასამართლოსგან მოითხოვა გირაოს შეცვლა საპატიმრო ღონისძიებით. სასამართლომ არ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და მხარეს გაუგრძელა ვადა, რაც პროკურატურამ კვლავ გაასაჩივრა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. პროკურორს მიეცა რეკომენდაცია, უარი ეთქვა შუამდგომლობაზე. თუმცა, პროკურორმა პოზიცია მაინც არ შეცვალა და განაცხადა, რომ, გირაოს ფულადი თანხის ნაცვლად, უძრავი ქონების შეტანა ვერ მოხერხდებოდა, ვინაიდან სასამართლოს ბრძანებაში მითითებული არ იყო ქონების დაყადაღება.

**"ჩემი აზრით, პროკურორი არღვევს კანონს და მხარის უფლებას, ვინაიდან, სისხლის სამართლის კოდექსის 193-ე მუხლის თანახმად, ქონებაზე ყადაღის დადების შესაბამისი მოთხოვნით, თვითონვე უნდა მიემართა სასამართლოსთვის",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ომბუდსმენმა.

სოზარ სუბარმა, "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონის" 21-ე მუხლის "ბ" და "დ" პუნქტების შესაბამისად, რეკომენდაციით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს - გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, პროკურატურის მიერ გირაოს გამოყენებისას კანონის მოთხოვნების ზუსტი დაცვისთვის. გარდა ამისა, სახალხო დამცველი მიზანშეწონილად მიიჩნევს პროკურორ გოგიბერიძის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაყენებას.

*24 საათი*

# ჯაშუშობის აღიარება

*შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილს მტკიცებით, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი თანამშრომელი, რამდენიმე კვირის წინ ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული და ამჟამად წინასწარ ორთვიან პატიმრობაში მყოფი სიმონ კილაძე გამოძიებასთან უკვე აქტიურად თანამშრომლობს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბრალდებულის აღიარებითი ჩვენების დამადასტურებელი ვიდეომასალაც გაავრცელა.*


*სიმონ კილაძე პრეზიდენტს შეწყალებას სთხოვს.*

გავრცელებული ოპერატიული მასალის თანახმად, კილაძე აცხადებს, რომ ის 2004 წლის დასაწყისიდან მუშაობდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის საინფორმაციო განყოფილების წამყვან სპეციალისტად და მის მოვალეობაში შედიოდა დაიჯესტების მომზადება, ქართული და უცხოური პრესის მონიტირინგის განხორციელება და მასალების თარგმნაც.

როგორც კილაძე განმარტავს, 2004 წლის მაისში მის ელექტრონულ მისამართზე მოდიოდა კონკრეტული პირისგან წერილი და იგი, გარკვეული ინფორმაციის სანაცვლოდ, ფინანსურ ანაზღაურებას ჰპირდებოდა.

**"იმის გათვალისწინებით, რომ ჩემი ოჯახი იმყოფებოდა მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში, მე დავთანხმდი წინადადებას. მოგვიანებით მოსული კითხვების შესაბამისად, არაერთხელ მოვამზადე ინფორმაციები ქვეყანაში არსებული ვითარების, ვიზიტების, პრობლემების, პრეზიდენტის და მისი გარემოცვის, უმაღლესი თანამდებობის, ასევე, პოლიტიური თანამდებობის პირების დელეგაციების ვიზიტების შესახებ და მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე. აღნიშნული ინფორმაციები ცნობილი ხდებოდა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროსაც და პირადი კონტაქტებითაც",** - აცხადებს აღიარებით ჩვენებაში სიმონ კილაძე.

როგორც ბრალდებული განმარტავს, მოგვიანებით მისთვის გამოგზავნილმა შეკითხვებმა დააეჭვა - იყო თუ არა დამკვეთი ის პიროვნება, როგორც თავი გააცნო. აქედან გამომდინარე, როგორც კილაძე აცხადებს, მან დამკვეთთან ურთიერთობის შეწყვეტა სცადა, იმ მოტივით, რომ ინტერნეტურთიერთობის შესახებ ცნობილი გახდებოდა მისი ხელმძღვანელობისთვის, რაც მას მოგვიანებით პრობლემებს შეუქმნიდა.

**"იყო შემოთავაზება, რომ, განსაკუთრებით ფასეული ინფორმაციის მოპოვების შემთხვევაში, ჩავსულიყავი კონკრეტულ ადგილას და მიმეწოდებინა ინფორმაცია მეკავშირის საშუალებით. 2005-2006 წლებში ორჯერ გავემგზავრე დანიშნულ ადგილზე",** - აცხადებს კილაძე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ მასალაში არ ისმის კილაძის ხმა, სადაც იგი დამკვეთის ვინაობასა და იმ ადგილებზე მიუთითებს, სადაც დავალების შესასრულებლად გაემგზავრა.

**"ვინანიებ ყოველივეს და მზად ვარ, ვითანამშრომლო გამოძიებასთან. საქართველოს პრეზიდენტს ვთხოვ, ჩემს მიმართ გატარდეს კანონით გათვალისწინებული შეღავათები, რათა მე გამოვისყიდო ჩემი დანაშაული",** - ასე დაასრულა ჯაშუშობაში ბრალდებულმა აღიარებითი ჩვენება, რომელიც შს სამინისტრომ გაავრცელა.

*24 საათი*

# ოპოზიცია შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ

მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილების გამო ოპოზიციონერი პოლიტიკოსების კრიტიკის ობიექტი ამჯერად შსს გახდა. ახალი მემარჯვენეები, ტოქსიკური და ნარკოტიკული შემოწმების მიზნით ექსპერტიზის შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის გადაცემას აპროტესტებენ.

"ნარკოტიკული საშუალებების ფსიქოტროპული ნივთიერებების რეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ კანონში" ცვლილებებით, ტოქსიკური, შესაბამისად, სიმთვრალეზე ან ნარკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების უფლება შსს-ს მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირთან ან ორგანიზაციაში უნდა მოხდეს. მიუხედავად იმისა, რომ საგანელიძის განცხადებით, შსს-ს მიერ მომზადებულ კანონპორექტს არ გააჩნია ჯანდაცვისა და იუსტიციის შესაბამისი დასკვნები, აღნიშნული ცვლილება პარლამენტში უკვე უპრობლემოდ მიიღეს პირველივე მოსმენით.

**"ასეთი დამატებითი უფლებამოსილების სამინისტროსთვის გადაცემა უწყების მონსტრად გადაქცევას გამოიწვევს. მისი კონტროლი კი მომავალში პრტეზიდენტსაც გაუჭირდება",** - აღნიშნა საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე დავით საგანელიძემ.

მემარჯვენე ოპოზიციის წევრის თქმით, ნარკოტიკზე ან სიმთვრალაზე პირველად შემოწმებას საპატრულო პოლიცია ახდენს, დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში კი, დაკავებასაც ეს უწყება ახორციელებს. იმ შემთხვევაში, თუ პირველად დიაგნოზზე პიროვნება პროტესტს განაცხადებს, ექსპერტიზასაც შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურა ჩაატარებს.

**"თუ შინაგან საქმეთა მინისტრს ან უწყების მაღალჩინოსნებს გაუჩნდებათ სურვილი, ზეწოლა მოახდინონ ამა თუ იმ პირთა ჯგუფზე, მათ უფლება ექნებათ, დააკავონ პიროვნება, აღმოუჩინონ მას სიმთვრალე და ექსპერტიზაც პოლიციელებისთვის სასურველმა სტრუქტურამ ჩაატაროს. კანონის ამ ფორმის მიხედვით, მოქალაქეს აღარ რჩება საკუთარი უფლებების დაცვის საშუალება. ამით კი შეიქმნება ჩაკეტილი წრე",** - ამბობს მემარჯვენეების ფრაქციის წევრი და კოლეგა და კანონმდებლებს "ჩაკეტილი წრიდან" გამოსავალსაც სთავაზობს.

**"დიაგნოსტიკა და შემოწმება სერტიფიცირებულმა, არასახელმწიფო სტრუქტურამ, დამოუკიდებელმა ექსპერტებმა უნდა განახორციელონ, რათა მათზე სახელმწიფო უწყებების ზეწოლას არ ჰქონდეს ადგილი",** - აღნიშნავს საგანელიძე.

მემარჯვენე ოპოზიციის გუშინდელი განცხადება იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ მოგვიანებით მას სახელმწიფოს ყველა იმ სტრუქტურის წარმომადგენელი გამოეხმაურა, ვისთანაც აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება პირდაპირ თუ ირიბად არის დაკავშირებული.

პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის ლევან ბეჟაშვილის განცხადებით, აღნიშნულ ექსპერტიზაზე შინაგან საქმეთა და ჯანდაცვის სამინისტროები ერთობლივად იმუშავებენ. იუსტიციის მინისტრის გია ქავთარაძის მტკიცებით, მისი უწყებისთვის ექსპერტიზის ჩატარების ფუნქცია არავის ჩამოურთმევია. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ეკა ტყეშელაშვილი კი ირწმუნება, რომ აღნიშნული ცვლილება მხოლოდ და მხოლოდ პირის დაკავების მომენტში დანაშაულის დაფიქსირების გაადვილებას ემსახურება.

**"აღნიშნული ცვლილებით პირს დამოუკიდებელი, ალტერნატიული ექსპერტიზის მოთხოვნის და ჩატარების უფლება არ ეზღუდება; პირიქით, ეს სასამართლო პროცესის დროს შეჯიბრებითობის საშუალებას იძლევა",** - განმარტავს შს მინისტრის მოადგილე.

კანონმდებლობით, მოსამართლემ საკუთარ შინაგან რწმენაზე დაყრდნობით უნდა განსაზღვროს, ორი ქსპერტიზიდან რომელს მიანიჭოს უპირატესობა - შინაგან საქმეთა სამინისტროს თუ ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნას.

*24 საათი*

# მერაბიშვილის მარტივი გაანგარიშება

შსს-ს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში შესული ინფორმაციის საფუძველზე, ბათუმი-თბილისის რეისით მოძრავი სამარშუტო ტაქსიდან, რომელიც ბათუმიდან ავტოსადგურის ტერიტორიაზე დადიანის ქუჩის მხრიდან შევიდა, ამოიღეს 1 620 აბი ნარკოტიკული საშუალება "სუბუტექსი". დაკავებულია სამარშუტო ტაქსის მძღოლი, 46 წლის მურად ქორიძე.

**"ევროპაში ერთი აბი "სუბუტექსი" 1 ევრო ღირს, შავ ბაზარზე კი მისი ღირებულება, მაქსიმუმ, 2 ევროა. ერთი აბი "სუბუტექსი" არის რვა ადამიანის დოზა. საქართველოში "სუბუტექსის" ღირებულება მერყეობს 120-დან 140 აშშ დოლარამდე. მარტივი გათვლები გვიჩვენებს, რომ მხოლოდ ამ პარტიიდან ამ ადამიანს სუფთა მოგება დარჩებოდა, სულ ცოტა, 200 ათასი აშშ დოლარი. ეს არის ერთი კარგი სკოლის ან ერთი კარგი საავადმყოფოს ასაშენებელი თანხა. მაგრამ, უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ამ ოპერაციის შედეგად 12 ათასამდე ადამიანისა თუ ოჯახის უბედურება ავიცილეთ თავიდან",** - აცხადებს შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი.

*24 საათი*

**შპს "საქართველოს რკინიგზა" 2006 წლის 13 აპრილიდან აცხადება ტენდერს რკინიგზის მფლობელობაში არსებული მიწის გასხვისების ზოლის საზღვრებდატანილი ელ. მასალის პალანშეტებად დაჭრა და ტოპო-გეოდეზიური პალნშტების ამობეჭვდის თაობაზე**

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N15) აცხადებს ტენდერს ერთ ლოტად რკინიგზის მფლობელობაში არსებული მიწის გასხვისების ზოლის საზღვრებდატანილი ელ. მასალის პალანშეტებად დაჭრა და ტოპო-გეოდეზიური პალნშტების ArcView და Macrostation პროგრამიდან ამობეჭვდის მომსახურეობის შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე : ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის N3407003205, და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი, სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

**2. შესყიდვის ობიექტი :**

**ლოტი N1** რკინიგზის მფლობელობაში არსებული მიწის გასხვისების ზოლის საზღვრებდატანილი ელ. მასალის პალანშეტებად დაჭრა და ტოპო-გეოდეზიური პალნშტების ArcView და Macrostation პროგრამიდან ამობეჭვდის მომსახურეობა. A1 ფორმატი.

1. მოწოდება ადგილზე.
1.1 მიწოდების ადგილი - შპს "საქართველოს რკინიგზა"-ს მოთხოვნის შესაბამისად.
2. მიწოდების სასურველი ვადები: მოთხოვნიდან 48 საათის განმავლობაში.
3. რაოდენობა - 28 000 ცალი;
4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 4 და 5 მაისს 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.
5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის :**

a) სარეგისტრაციო დოკუმენტები და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან

b) ცნობა შესაბამისი ორგანოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, ასევე არ ხდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

გ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა. (რომლის ვადა 1 თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას)

**ფიზიკური პირებისათვის :**

ა) ცნობა შესაბამისი ორგანოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

ბ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა. (რომლის ვადა 1 თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას)

**პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.**

**დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქარტველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში , ტელ 56 46 96;**

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

# არც ერთი ბავშვი ოჯახის გარეშე!

**სახელმწიფო და მთელი საზოგადოება ვალდებულია ხელი შეუწყოს ბავშვთა სახლიდან ბავშვის საკუთარ ოჯახში დაბრუნებას. ერთად ვიზრუნოთ პატარების კეთილდღეობაზე და ნუ დავტოვებთ მათ ბავშვთა სახლების იმედად.**



ამჟამად საქართველოში 5000-ზე მეტი ბავშვი იმყოფება სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ. მიტოვებული ჩვილები და ბავშვთა სახლებში მცხოვრები ბავშვები ჩვენს ქვეყანაში წარმოადგენენ სოციალურად ყველაზე დაუცველ ჯგუფს. ეს მტკივნეული პრობლემა მნიშვნელოვანწილად უკავშირდება ქვეყანაში არსებულ სიღარიბესა და მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს. ეკონომიკურ კრიზისს ემატება გარკვეული სტერეოტიპების არსებობა ჩვენს საზოგადოებაში, რაც აგრეთვე განაპირობებს მარტოხელა დედების მიერ თავიანთი შვილების მიტოვებას.

1999 წლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად საქართველოში დაიწყო ბავშვთა დეინსტიტუციონალიზაციის საცდელი პროცესი, რომელიც, ერთი მხრივ, გულისხმობს ბავშვთა შედინების პრევენციას ინსტიტუციებში, ხოლო მეორე მხრივ, იქ მყოფი ბავშვების გამოყვანას და განთავსებას ბიოლოგიურ ან მიმღებ ოჯახებში.

**თუ ახდენს ბავშვთა სახლი უარყოფით გავლენას ბავშვის განვითარებაზე?**

ხშირია შემთხვევები, როდესაც ბავშვი არასასურველი ხდება დედისათვის (ოჯახისთვის). განსაკუთრებით არასასიამოვნოა, თუკი ბავშვი ჯერ კიდევ დედის მუცლად ყოფნისას აღმოჩნდება არასასურველი.

დედის (ოჯახის) დეფიციტის პირობებში გაზრდილი ბავშვები უფრო აგრესიულები არიან, ახასიათებთ იმპულსური ქცევა, აღგზნებადობა, გამოირჩევიან დაბალი მოსწრებით, მეტყველებისა და ფიზიკური განვითარებით ჩამორჩებიან თავიაანთ თანატოლებს. ისინი უფრო გვიან იწყებენ ჯდომას, ფეხზე დგომას და დამოუკიდებელ სიარულს. თუ ბავშვი ინსტიტუციურ დაწესებულებაში რჩება, უკვე სკოლამდელ თუ სასკოლო პერიოდში, ინტელექტუალური ჩამორჩენის გარდა, თვალშისაცემი ხდება ბავშვის ქცევის თავისებურებები: მათთვის დამახასიათებელია მომეტებული შფოთვა, აგრესიულობა, ან, პირიქით, გულგრილობა, ინდიფერენტიზმი გარე სამყაროს მიმართ. ასეთ ბავშვებს უჭირთ საზოგადოებასთან ურთიერთობა.

**რა არის რეინტეგრაცია?**

***რეინტეგრაცია*** *არის ბავშვთა სახლიდან ბავშვის დაბრუნება საკუთარ, ბიოლოგიურ ოჯახში.*

**რა არის პრევენცია?**

***პრევენცია*** *გულისხმობს ოჯახის დახმარებას და ამ გზით ინსტიტუციებში (ბავშვთა სახლებში) ბავშვების მოხვედრის რისკის აცილებას.*

***დედათა და ჩვილ ბავშვთა თავშესაფარი***, რომელიც ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩის 3 ნომერში, მდებარეობს,



პროექტის "ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენცია და დეინსტიტუციონლიზაცია" ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია. პროექტს ახორციელებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საერთაშორისო ორგანიზაციების World Vision- საქართველოს, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) და EveryChild-ის დახმარებით.

დედათა და ჩვილ ბავშვთა თავშესაფარი არის ერთადერთი დაწესებულება საქართველოში, რომელშიც მიმდინარეობს ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენციის ღონისძიებები სოციალურად დაუცველი მარტოხელა დედების სოციალური, მატერიალური და ფსიქოლოგიური დახმარების გზით. თავშესაფარში ხვდებიან სხვადასხვა კატეგორიის დედები. მათი შერჩევის ძირითადი კრიტერიუმია რისკის ფაქტორი: დედას უნდა ემუქრებოდეს ბავშვის მიტოვების საშიშროება დროებით ან სამუდამოდ.

პროექტის სოციალური მუშაკები თანამშრომლობენ სხვადასხვა სამშობიარო სახლებსა და საკონსულტაციო ცენტრებთან, რომლებშიც მიმდინარეობს ბავშვის მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი დედების გამოვლენა. მძიმე პოსტნატალურ დეპრესიაში მყოფ დედებს თავშესაფარი უქმნის უსაფრთხო, მშვიდ გარემოს, საკუთარი პრობლემების გასააზრებლად და ამ პრობლემების მოსაგვარებლად სთავაზობს კვალიფიციური პერსონალის დახმარებას. დედათა და ჩვილ ბავშვთა თავშესაფარში სოციალური მუშაკები გულისყურით სწავლობენ განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი დედების პრობლემებს, სთავაზობენ მათი მოგვარების გზებს და უწევენ მრავალმხრივ პროფესიონალურ დახმარებას.

დედა, რომელიც 3 თვის განმავლობაში იქნება ბავშვთან სიახლოვეს და, თუნდაც, ძუძუთი გამოკვებავს მას (3 თვე არის ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დედას საშუალება აქვს თავის ჩვილთან ერთად იცხოვროს თავშესაფარში), უფრო ძნელად მიიღებს ბავშვის მიტოვების გადაწყვეტილებას. თავშესაფარში ყოფნის პერიოდში დედის ოჯახთან და ახლობლებთან მიმდინარეობს მუშაობა მათ შორის დაკარგული კავშირის აღსადგენად.

ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის პროექტის ერთ-ერთი კომპონენტია ***დასაქმებისა და მცირე ბიზნესის განვითარების ცენტრი***. დასაქმების ცენტრის კონსულტანტები სწავლობენ და გამოავლენენ მარტოხელა დედებისა და მათი ოჯახების საჭიროებებს, პროფესიულ უნარ-ჩვევებს და მიზანმიმართულად უწევენ მათ დახმარებას. ეს დახმარება გულისხმობს შესაბამისი ხელობისა თუ ცოდნის დაუფლებასაც მათ მიერ, რათა მოხდეს მათი შემდგომი დასაქმება. ცენტრი ახალგაზრდა დედებს და მათი ოჯახის წევრებს სთავაზობს შემდეგი სახის მომსახურებას: პროფესიულ-ტექნიკური მომზადება (ან გადამზადება), ბიზნეს-ტრენინგი; კონსულტაციები დასაქმების საკითხებში; დასაქმება; მცირე ბიზნესის განვითარება.



2005 წლის ჩათვლით დახმარება გაეწია **900-მდე ბავშვს**, ამათგან **197** ბავშვი რეინტეგრირებულ იქნა ბიოლოგიურ ოჯახში, განხორციელდა **563** ბავშვის მიტოვების პრევენცია, ხოლო **140** ბავშვი განთავსდა **111** მიმღებ ოჯახში.

**რეინტეგრაციისა და პრევენციის შემთხვევაში სახელმწიფო ოჯახს თითოეულ ბავშვზე აძლევს 60 ლარს თვეში, საჭიროების შემთხვევაში ამას შესაძლოა მატერილურ-ტექნიკური და სამედიცინო დახმარებაც დაემატოს. ყოველთვიური ფულადი დახმარება კი გაგრძელდება ოჯახის მდგომარეობის გამოსწორებამდე.**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:**

**თბილისი**
**მის:** უზნაძის ქ. N52
ნუცუბიძის ქ. N3
**ტელ:** 95 99 21, 39 11 49, 39 86 66

**რუსთავი**
**მის:** დუმბაძის ქ. N38
**ტელ:** 15 75 58

**თელავი**
**მის:** დავით რექტორის ქ. N8
**ტელ:** 7 01 35, 7 25 10

**ქუთაისი**
**მის:** სადგურის მოედანი ქ. N3
**ტელ:** 5 15 17, 4 27 31

**ბათუმი**
**მის:** ტაბიძის ქ. N2
**ტელ:** 7 16 94, 7 12 62

# GWS-ს ქართული ღვინო თურქეთის ბაზარზე შეაქვს

**GWS პირველი ქართული კომპანიაა, რომელიც მასშტაბურად ახორციელებს ქართული ღვინის თურქეთის ბაზარზე გატანას**

*ეს ფაქტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ პრობლემის ფონზე, რომელიც ქართულ ღვინოს რუსეთის ბაზარზე შეექმნა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ თურქეთის ღვინის ბაზარზე დღემდე ასე მასშტაბურად არცერთი ქართული ღვინო არ იყო წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ მაღალი გადასახადებისა და ადგილობრივი წარმოების დიდი მოცულობის გამო ამ დინამიურ და გამოუცნობ ბაზარზე ოპერირება საკმაოდ რთულია. GWS- მა კი 2006 წლის დასაწყისში თურქული სადისტრიბუციო კომპანია "ევერესტის" დახმარებით თურქეთში თავისი პროდუქციის პირველი გადატვირთვა განახორციელა. საწყის ეტაპზე ქართული ღვინო სტამბულში გამოჩნდება. თურქი პარტნიორები პროდუქციის გაყიდვების და, შესაბამისად, მოთხოვნის 100%-იან ზრდას ვარაუდობენ. სამომავლოდ გასაღების რეგიონი გაფართოვდება და მოიცავს დიდ საკურორტო ქალაქებს. GWS-ის პროდუქცია გაიყიდება ისეთი მსხვილი სუპერმარკეტების ქსელში, როგორებიცაა "მიგროსი", "მეტრო", სხვადასხვა რესტორანსა და სასტუმროში, ღვინის სახლებსა და ბუტიკებში თურქეთის მთელს ტერიტორიაზე.*

ნინო ნარჩემაშვილი







ამრიგად, "ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანიის" (GWS) ღვინოები კონკურენციას გაუწევს თურქეთის ბაზარზე უკვე წარმოდგენილ მსოფლიოში ცნობილ ფრანგულ, ავსტრალიურ და ჩილეს ღვინოებს. ამ დისტრიბუციით მნიშვნელოვნად გაიზრდება ქართული ღვინის სეგმენტი მსოფლიო ბაზარზე.

ინფორმაციისათვის - "ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია" 1993 წლიდან ფუნქციონირებს. GWS აწარმოებს ღვინის ორ ბრენდს - "თამადა" და "ძველი თბილისი", აგრეთვე ჭაჭას, რომელსაც მისი ხარისხის შესაბამისად "განსაკუთრებული ჭაჭა" ჰქვია. დღეისათვის GWS ლიდერია ქართული ღვინის პრემიალურ სეგმენტში ანუ მოწინავე პოზიცია უკავია მაღალფასიან და მაღალხარისხოვან ღვინოებს შორის. კომპანიის პრიორიტეტი საუკეთესო ხარისხის პროდუქციის წარმოება, ქართული მეღვინეობის აღორძინება და ქართული ყურძნის იმ 525 ჯიშის შენარჩუნება გახლავთ, რომელიც არსებული 1000 ჯიშიდან დღემდე გადარჩა.

კომპანიის წარმატების განმსაზღვრელი მის მიერ წარმოებული ღვინის მაღალი ხარისხი გახლავთ.

## პირველად დიდი მასშტაბით თურქეთის ბაზარზე GWS გადის

GWS-ის მარკეტინგის და გაყიდვების რეგიონალური მენეჯერი ელენე ასათიანი აღნიშნავს, რომ **"ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანიამ" თურქეთის ბაზარზე ღვინის გატანის შეთავაზება ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში თურქეთში გამართულ გამოფენაზე მიიღო, სადაც ღვინის მწარმოებელი ქართული კომპანიები იყვნენ წარმოდგენილი. თურქეთის ბაზარზე სხვა ქვეყნის პროდუქციის შეტანის ნებართვა პროდუქციის ხარისხის სამ დამოუკიდებელ ინსტანციაში შემოწმების შემდეგ გაიცემა. GWS-ის ღვინოების პირველი პარტია თურქეთში უკვე წავიდა.**

**თურქეთის ბაზარი, რა თქმა უნდა, დიდია. სხვა ქვეყნის ღვინოებზე რომ არაფერი ვთქვათ, თვითონ თურქული ღვინოც საკმაოდ კონკურენტუნარიანია. თურქეთის რეგიონში ხარისხიანი პროდუქცია ფართოდ არის წარმოდგენილი, ასე რომ,** GWS **- ის ღვინოების მოხვედრა ამ ქსელში მხოლოდ მისი საუკეთესო ხარისხის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს".**

რაც შეეხება "ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანიის" (GWS) პარტნიორს, GWS-ის მარკეტინგისა და გაყიდვების დეპარტამენტის დირექტორის ლევან კობერიძის ინფორმაციით **"ეს არის ქართულ - თურქული კომპანია "ევერესტი", რომელიც თურქეთის ბაზარზე საკმაოდ დიდი ხანია მუშაობს და გააჩნია დივერსიფიცირებული პორტფელი.** ლევან კობერიძე აღნიშნავს, რომ აღნიშნული **გადატვირთვა მნიშვნელოვანია სტრატეგიული თვალსაზრისით, როგორც კომპანია GWS-ის მიერ განხორციელებული მარკეტინგული დივერსიფიცირების პოლიტიკის შედეგი. "ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია" ყოველთვის იყო ორიენტირებული ახალი ბაზრების ათვისებაზე. თურქერთის ბაზარზე GWS-ის ღვინოების გამოჩენა კი ორწლიანი მუშაობის შედეგია.**

და კიდევ, ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც ლევან კობერიძე აღნიშნავს - **"რუსეთის ბაზართან დაკავშირებულმა კრიზისულმა სიტუაციამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ მსგავსი ნაბიჯები მნიშვნელოვანია და გათვლილია გრძელვადიან სტრატეგიაზე. ამიტომ მნიშვნელოვანია მაქსიმალურად გავაფართოვოთ ჩვენი მოქმედების არეალი და გეოგრაფია, არ ვიყოთ დამოკიდებული მხოლოდ ერთი რომელიმე ქვეყნის ბაზარზე."**

## რა ღირს ქართული ღვინო თურქეთში?

ლევან კობერიძის თქმით, **"GWS-ს ეგრეთ წოდებული ერთიანი საფასო პოლიტიკა აქვს და მის ღვინოსაც სტაბილური ფასი გააჩნია. ქართული ღვინო საკმაოდ ძვირი ღირს, მაგრამ ეს მისი რეალური ღირებულება გახლავთ.** GWS **-ის ღვინოები თურქეთში ავსტრალიური, სამხრეთ აფრიკის, ფრანგული ღვინოების საფასო სეგმენტში შედის."**

თურქეთში გასაყიდი ქართული ღვინო არ არის გათვლილი არც რუს და არც სხვა ეროვნების ტურისტზე და ამდენად მისი გაყიდვები არ იქნება მხოლოდ სეზონური. თურქეთში შეტანილი GGWS -ის პროდუქცია გათვლილია თურქეთის მოქალაქეების, თურქი მომხმარებლის გემოვნებაზე. GWS -ის მარკეტინგისა და გაყიდვების დეპარტამენტის დირექტორი ლევან კობერიძე აღნიშნავს, რომ **"თურქეთის ბაზრისათვის მართებულად, მოთხოვნილების შესაბამისად შეირჩა "თამადა საფერავი", "თამადა მუკუზანი", ასევე ძველი თბილისის ასორტიმენტი - თეთრი და წითელი, ძირითადად მშრალი ღვინოები.** GWS **-ის ღვინოების დისტრიბუტორი თანამშრომლობს მსხვილი სუპერმარკეტების ქსელთან, რომელიც საკმაოდ ფართომასშტაბიანია და მოიცავს თურქეთის მთელს ტერიტორიას.**

ასე რომ, GWS-ის ღვინოები თურქეთში უკვე იყიდება და როგორც კომპანიაში აღნიშნავენ, გაყიდვები გეგმაზომიერად, გათვლების შესაბამისად მიმდინარეობს. არსებობს ორმხრივი ინტერესი, პარტნიორული შესაბამისობა და რეალურად საქმის კარგად კეთების მონდომება, ამიტომაც ზრდის ტენდენცია შესაბამისად დიდი იქნება, ზუსტად ისევე, როგორც GWS-ის ღვინოების დისტრიბუციისას იაპონიაში, აშშ-ში, ინგლისში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ყაზახეთში, ბალტიისპირეთის ქვეყნებსა თუ სხვადასხვა თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში.

# განცხადება ხელახალი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო მეტეხი", საიდენთიფიკაციო ნომერი 202889865, ქ. თბილისი, 0102, დავით აღმაშენებლის გამზ. N67, ტელეფონი: 95 10 77, ფაქსი 95 21 70, ელ.ფოსტა jvmetechi@jvmetechi.com აცხადებს საერთაშორისო ტენდერს სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასისათვის" საკვები პროდუქტების ლოტებად შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს:
2. საკვების ლოტები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | საქონლის ხორცი | საქონლის ბარკალი | კგ | 17370 |
| | Beef | საქონლის სუკი | კგ | 3500 |
| | | ხბოს ბარკალი | კგ | 3650 |
| | | ხბოს ფილე | კგ | 35 |
| 2 | ღორის ხორცი | ბეკონი | კგ | 137 |
| | Pork | ბეკონი დაჭრილი | კგ | 234 |
| | | ღორის ფილე | კგ | 1165 |
| | | ღორის ხორცი | კგ | 46 |
| | | ღორის ნეკნები | კგ | 98 |
| | | ღორის ნაჭრები | კგ | 197 |
| | | გოჭი | კგ | 45 |
| | | ღორის ბარკალი | კგ | 4456 |
| 3 | ცხვრის ხორცი – lamb | ბატკნის ბარკალი | კგ | 1840 |
| 4 | ფრინველის ხორცი | ინდაურის შაშხი | კგ | 380 |
| | Poultry | ინდაური | კგ | 16 |
| | | კვერცხი | ცალი | 170680 |
| | | ქათამი | კგ | 24930 |
| | | ქათმის კოტლეტი | კგ | 19 |
| | | ქათმის მკერდი | კგ | 14 |
| | | ქათმის ფრთები | კგ | 6 |
| 5 | თევზეული | კრევეტები გაწმენდილი | კგ | 214 |
| | Fish | ორაგული ნორვეგიული | კგ | 164 |
| | | ზუთხი | კგ | 90 |
| | | ხიზილალა წითელი | კგ | 228 |
| | | ხეკი | კგ | 673 |
| | | ხამსას ფილე | კგ | 514 |
| | | ტუნა თავის წვენში | კგ | 214 |
| | | ტუნა დაჭრილი | კგ | 14 |
| | | კალმარი | კგ | 10 |
| | | კალმახი | კგ | 24 |
| | | სკუმბრია | კგ | 862 |
| | | ორაგული ადგილობრივი | კგ | 1080 |
| | | შებოლილი სიომგა | კგ | 6 |
| | | შებოლილი ზუთხი | კგ | 30 |
| | | ქაშაყი | კგ | 96 |
| | | ორაგული შებოლილი | კგ | 229 |
| | | ტუნა თავის წვენში 1700გრ | კგ | 90 |
| | | ხამსას ფილე | კგ | 120 |
| | | კრევეტების კრეკერი | კგ | 120 |
| | | შავი კრევეტები, მოხარშული | კგ | 40 |
| | | ორაგული ნორვეგიული | კგ | 28 |
| | | ტუნა დაჭრილი | კგ | 10 |
| | | შებოლილი ორაგული | კგ | 50 |
| 6 | ძეხვეული | კოქტეილის სოსისი | ყუთი | 33 |
| | Sausages | მორტადელა | ცალი | 186 |
| | | ქათმის სოსისი | ყუთი | 166 |
| | | სარდელი | კგ | 250 |
| | | სოსისი | კგ | 2106 |
| | | სოსისი მონადირე | კგ | 22 |
| | | სალამი | ცალი | 944 |
| | | საქონლის სოსისი | კგ | 468 |
| | | დაჭრილი ბეკონი | ყუთი | 48 |
| | | კოქტეილის სოსისი | ყუთი | 25 |
| 7 | რძის ნაწარმი | არაჟანი | ქილა | 6316 |
| | Dairy Product | რძე | ლიტრი | 7970 |
| | | იოგურტის სოუსი | ქილა | 22422 |
| | | კარაქი | კგ | 4080 |
| | | იოგურტი | ქილა | 5115 |
| | | ნადუღი | კგ | 64 |
| | | ხაჭო | პაკეტი | 2865 |
| | | ნაღები | ლტრ | 2965 |
| | | შედედებული რძე | ქილა | 2160 |
| | | კარაქი პორციებით | კგ | 26509 |
| | | პარმეზანის ყველი | კგ | 20 |
| | | ქოქოსის კრემი | კგ | 420 |
| | | ქოქოსის კრემი | ყუთი | 204 |
| | | კარაქი პორციებით | ყუთი | 20 |
| | | კარაქი პორციებით | ყუთი | 300 |
| 8 | ყველი | მაზდამი | კგ | 232 |
| | Cheese | ჰოლანდიური ყველი | კგ | 980 |
| | | იმერული ყველი | კგ | 1645 |
| | | მოცარელა | კგ | 584 |
| | | ყველი-ნაღები | პკტ | 648 |
| | | კომომბერტი | პკტ | 32 |
| | | ბრაი | ქილა | 768 |
| | | ედამერი | კგ | 1055 |
| | | ემენტალერი | კგ | 223 |
| | | ფეტაკი | პკტ | 68 |
| | | სულგუნის ფურცლები | ცალი | 986 |
| | | სულგუნი შებოლილი | კგ | 60 |
| | | სულგუნი | კგ | 1810 |
| | | გუაკომოლე | კგ | 60 |
| | | ლურჯი ყველი | კგ | 45 |
| | | პარმეზანი | კგ | 7 |
| | | მოცარელა | კგ | 60 |
| 9 | ხილ-ბოსტნეული | აისბერგის სალათის ფოთლები | კგ | 808 |
| | Fruit-Vegetable | ალუჩა | კგ | 39 |
| | | ანანასი | ცალი | 115 |
| | | ატამი | კგ | 790 |
| | | ფორთოხალი | კგ | 8174 |
| | | გრეიფრუტი | კგ | 1775 |
| | | ნესვი | კგ | 2005 |
| | | კივი | ცალი | 6976 |
| | | ლიმონი | ცალი | 15302 |
| | | მანდარინი | კგ | 815 |
| | | მარწყვი | კგ | 740 |
| | | მსხალი | კგ | 1266 |
| | | მწვანე ვაშლი | კგ | 1126 |
| | | შავი ყურძენი | კგ | 1400 |
| | | საზამთრო | კგ | 5374 |
| | | თეთრი ვაშლი | კგ | 2360 |
| | | თეთრი ყურძენი | კგ | 1245 |
| | | წითელი ბალი | კგ | 365 |
| | | წითელი ვაშლი | კგ | 2645 |
| | | ბროწეული | კგ | 82 |
| | | ყვითელი ბალი | კგ | 95 |
| | | გარგარი | კგ | 347 |
| | | ქლიავი | კგ | 400 |
| | | მწვანე ლეღვი | კგ | 112 |
| | | გოგრა | ცალი | 35 |
| | | ჟოლო | კგ | 215 |
| | | ბანანა | კგ | 4905 |
| | | სატაცური-ასპარაგუს | პკტ | 42 |
| | | ახალი კარტოფილი | კგ | 1536 |
| | | კარტოფილი | კგ | 19465 |
| | | ბადრიჯანი | კგ | 1630 |
| | | ქინძი | კგ | 475 |
| | | ოხრახუში | კგ | 532 |
| | | ბულგარული წიწაკა | კგ | 2544 |
| | | კიტრი | კგ | 5107 |
| | | კომბოსტო | ყუთი | 3830 |
| | | ისპანახი | ქილა | 1535 |
| | | პომიდორი | კგ | 11480 |
| | | ნიორი | კგ | 385 |
| | | პრასი | კგ | 172 |
| | | პიტნა | კონა | 1074 |
| | | კამა | კონა | 116 |
| | | წითელი ლობიო | კგ | 916 |
| | | ყვავილოვანი კომბოსტო | კგ | 1675 |
| | | ხახვი | კგ | 6945 |
| | | ჭარხლის ფოთლები | კგ | 328 |
| | | ჭარხალი | კგ | 1487 |
| | | ტარხუნა | კგ | 309 |
| | | სტაფილო | კგ | 6395 |
| | | ტყის სოკო | კგ | 285 |
| | | სოკო | კგ | 1785 |
| | | მწვანე წიწაკა | კგ | 223 |
| | | მწვანე ხახვი | კგ | 3631 |
| | | მწვანე სალათის ფოთლები | კგ | 1804 |
| | | მწვანე ლობიო | კგ | 3800 |
| | | ყაბაყი | კგ | 988 |
| | | ბულგარული წითელი წიწაკა | კგ | 824 |
| | | მორტადელა | კგ | 140 |
| | | ბროკოლი გაყინული | კგ | 72 |
| 10 | გაყინული ბოსტნეული | გაყინული ბარდა | კგ | 454 |
| | Frozen Vegetable | გაყინული ბროკოლი | კგ | 255 |
| | | ბინ სპრაოუტი | ქან | 80 |
| | | შერეული ბოსტნეული გაყინული | პკტ | 264 |
| | | სიმინდის მარცვალი გაყინული | პკტ | 96 |
| | | ბრიუსელის კომბოსტო | პკტ | 28 |
| | | ბინ სპროუტი | პკტ | 60 |
| 11 | პური და საკონდიტრო ნაწარმი | დანიური ნამცხვრები | ცალი | 11598 |
| | Pastry | დანიური ნამცხვრები | ყუთი | 106 |
| | | კროასონი | ყუთი | 126 |
| | | ტირამისუს ფხვნილი | პკტ | 14 |
| | | კარტოფილის ფქვილი | კგ | 86 |
| | | ქოქოსისი ფხვნილი | კგ | 37 |
| | | ჟელატინი | პკტ | 835 |
| | | ქიშმიში | კგ | 330 |
| | | ბოსტნეულის სპრინგ როლი | ცალი | 217 |
| | | ბურგერის პური | ცალი | 1770 |
| | | გრისინი კონ სალე | კგ | 130 |
| | | ფენოვანი ცომი | კგ | 845 |
| | | მარილიანი ჩხირები | პკტ | 2506 |
| | | გრისინი | კგ | 110 |
| | | დანიური ნამცხვარი | ყუთი | 160 |
| 12 | ბურღულეული | ბრინჯი არბორიო რისოტო | პკტ | 14 |
| | Rice | ბრინჯი ბასმატი | ტომარა | 27 |
| | | ბრინჯი | კგ | 2240 |
| | | გლუტინიოს ბრინჯი | ტომარა | 3 |
| | | ბრინჯის ფქვილი | კტ | 80 |
| | | წიწიბურა | გ | 2866 |
| | | კვერცხის ნუდელი | გ | 707 |
| | | ლაზანია | კტ | 532 |
| | | ბრინჯის ნუდელი | კტ | 560 |
| | | სპაგეტი | კტ | 2000 |
| | | ტაგლიატელი | კტ | 264 |
| | | ვერმიშელი | კტ | 467 |
| | | ფარფალე | კტ | 135 |
| | | პენე რიგატე | გ | 872 |
| | | ჰაფერფლოკენი | კტ | 1582 |
| | | ვერმიშელი | კტ | 400 |
| | | ვონ-ტონის რულეტი მწვანე | კტ | 290 |
| | | სპრინგ როლ რულეტი | კტ | 120 |
| | | ჩინური კვერცხის ნუდლები | კტ | 600 |
| | | ბასმატი ბრინჯი | ტომარა | 20 |
| | | ბრინჯის ნუდლსები | კგ | 420 |
| | | არბორიო რისოტო ბრინჯი | კგ | 10 |
| | | ტემპურა ფქვილი | კგ | 20 |
| | | პოლენტა | კგ | 30 |
| | | გლუტინიოს ბრინჯის ფქვილი | პკტ | 160 |
| | | ბრინჯის ფქვილი | პკტ | 60 |
| | | გლუტინიოს ბრინჯი | ტომარა | 2 |
| | | ბრინჯის ფურცელი | კგ | 44 |
| 13 | სოუსი და სანელებელი | აჯიკა | ქილა | 378 |
| | Sauces | კეჩუპი | ბოთლი | 4446 |
| | | მაიონეზი | კტ | 1560 |
| | | ტაი თევზის სოუსი | ბოთლი | 112 |
| | | | | |
| | | ტერიაკი სოუსი | კტ | 64 |
| | | ტომატ პასტა | ქილა | 1248 |
| | | ტკემალი | ბოთლი | 910 |
| | | ღვინის ძმარი | ბოთლი | 642 |
| | | ძმარი ბალზამიკო | ბოთლი | 16 |
| | | ტაბასკო | ბოთლი | 132 |
| | | მდოგვი დიჟონი | ბოთლი | 688 |
| | | სოიოს სოუსი | ბოთლი | 28 |
| | | შავი ლობიოს სოუსი(226 გრ) | ბოთლი | 96 |
| | | ტერიაკი სოუსი | ბოთლი | 48 |
| | | ოისტერ სოუსი | ბოთლი | 48 |
| | | სოიო სოუსი | ბოთლი | 48 |
| | | ვასაბი | პკტ | 20 |
| | | როსმარი ფხვნილი | პკტ | 24 |
| | | მაიორანი | პკტ | 12 |
| | | ორეგანო | პკტ | 20 |
| | | მწვანე წიწაკის მარცვლები | პკტ | 12 |
| | | წიწაკა დაფქვილი | პკტ | 60 |
| | | ნორი ფირფიტა | პკტ | 20 |
| | | ტუმერიკის ფხვნილი | პკტ | 24 |
| | | უნგრული წიწაკა | პკტ | 36 |
| | | ქარი ფხვნილი | პკტ | 48 |
| | | ვანილის ესენცია | ბოთლი | 24 |
| 14 | კონსერვები | ბარდა ქილებში | ქილა | 4909 |
| | Tinned Products | ლობიო ქილებში | ქილა | 5113 |
| | | სიმინდის მარცვალი ქილებში | ქილა | 3376 |
| | | თაფლი პორციებით | ქილა | 15 |
| | | ჯემების ასორტი პორციებით | ყუთი | 40 |
| | | მზა ლობიო | ქილა | 120 |
| | | პამიდორი მთლიანი კანგაცლილი | ქილა | 300 |
| | | ბარდა გაყინული | ქილა | 72 |
| | | მწვანე ლობიო | ქილა | 72 |
| | | მწვანე ლობიო | ქილა | 180 |

გაგრძელება A7 გვერზე

# განცხადება ხელახალი ტენდერის ჩატარების შესახებ

A6 გვერდიდან

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | სიმინდის მარცვალი გაყინული | ქილა | 72 |
| | | შერეული ბოსტნეული გაყინული | ქილა | 72 |
| 15 | წნილეული | ჯონჯოლი | კგ | 418 |
| | Pickles | კაპერსი | კგ | 183 |
| | | მჟავე კიტრი | კგ | 412 |
| | | მჟავე კომბოსტო | კგ | 176 |
| | | მჟავე კიტრი ქილებში | ქილა | 161 |
| 16 | თხილეული | კაკალი | კგ | 664 |
| | Nuts | მიწის თხილი ქილებში | კგ | 1326 |
| | | თხილი | კგ | 180 |
| | | ნუში | კგ | 58 |
| | | მიწის თხილი | კგ | 37 |
| 17 | თაფლი | თაფლი | კგ | 360 |
| | Honey | თაფლი პორციებით | ყუთი | 6 |
| | | ფიჭა | კგ | 164 |
| | Oil | ზეთი თურქული | ლტრ | 15477 |
| | | ზეითუნის ზეთი | ქილა | 672 |
| 18 | კარტოფილი ფრი | კარტოფილი ფრი | ყუთი | 240 |
| 19 | კარტოფილის ჩიპსი | კარტოფილის ჩიპსი | ქილა | 1104 |
| 20 | შაქარი | კანდისინი | პკტ | 22 |
| | Sugar | შაქარი 50 კგ | ტომარა | 114 |
| | | შაქრის ფხვნილი | პკტ | 216 |
| 21 | ჩაი | სხვადასხვა ჩაი | კტ | 1458 |
| 22 | ყავა | დაფქვილი 250 გრ | კგ | 227 |
| | Coffee | ხსნადი ყავა 100 გრ | პკტ | 218 |
| | | ხსნადი ყავა | პკტ | 410 |
| | | ესპრესოს მარცვლები | კგ | 1846 |
| 23 | მარილი - Salt | მარილი | პკტ | 382 |
| 24 | ზეთისხილი - Black olives | შავი ზეთის ხილი | ქილა | 80 |
| 25 | მინერალური წყლები | | ბოთლი | 41812 |
| 26 | გამაგრილებელი სასმელები | | ბოთლი | 32032 |
| 27 | გევა | წყაროს წყალი | ბოთლი | 23333 |
| 28 | მატონიზირებელი სასმელები | | ბოთლი | 1082 |
| 29 | წვენები | ალუბლის წვენი | ლტრ | 1963 |
| | Juices | ანანასის წვენი | ლტრ | 1360 |
| | | ატმის წვენი | ლტრ | 4282 |
| | | გრეიფრუტის წვენი | ლტრ | 1626 |
| | | ვაშლის წვენი | ლტრ | 10720 |
| | | ბროწეულის წვენი | ლტრ | 121 |
| | | ტომატის წვენი | ლტრ | 4080 |
| | | ფორთოხლის წვენი | ლტრ | 15738 |
| 30 | კომპოტები | ალუბლის კომპოტი | ცალი | 321 |
| | Compotes | ანანასისი კომპოტი | ლტრ | 380 |
| | | ატმის კომპოტი | ლტრ | 785 |
| | | მსხლის კომპოტი | ლტრ | 555 |
| | | მანგოს კომპოტი | ლტრ | 550 |
| | | ხილი სიროფში | ქილა | 120 |
| | | ხილი სიროფში | ილა | 120 |
| | | ხილი სიროფში | ქილა | 120 |
| | | სიროფი | ლტრ | 4 |
| 31 | ჯემი | ჯემების ასორტი პორციებით | ყუთი | |
| | Jam | ჯემი სხვადასხვა | ყუთი | 1025 |
| | | ჯემი პორციებად (15გრ) | ყუთი | 13058 |
| 32 | ლიქიორი | ლიქიორი | ბოთლი | 128 |
| 33 | ლუდი | ლუდი | ბოთლი | 26063 |
| | | კასრის ლუდი | 30 ლ კასრი | 19 |
| 34 | არაყი | | ბოთლი | 235 |
| 35 | ჯინი | | ბოთლი | 98 |
| 36 | კონიაკი | | ბოთლი | 253 |
| 37 | რომი | | ბოთლი | 43 |
| 38 | ღვინო | მუკუზანი | ბოთლი | 192 |
| | | კაბერნე | ბოთლი | 137 |
| | | წინანდალი | ბოთლი | 474 |
| | | მშრლი წითელი ღვინო | ბოთლი | 1976 |
| | | მშრალი თეთრი ღვინო | ბოთლი | 2576 |
| | | საფერავი | ბოთლი | 384 |
| | | ქინძმარაული | ბოთლი | 48 |
| 39 | ვისკი | | | 250 |
| 40 | შამპანური | შამპანური | ბოთლი | 900 |
| 41 | სადეჭი რეზინები | სადეჭი რეზინი | ცალი | 1493 |
| 42 | შოკოლადი | შოკოლადი შავი | კგ | 125 |
| | | შოკოლადის ბატონი | ცალი | 3360 |
| | | ჰაეროვანი შოკოლადი | ცალი | 1192 |

3. მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი თელავის ქ. 20, შერატონ მეტეხი პალასი.

4. ვადები: 2006 წ. ხელშეკრულების გაფორმებიდან წლის ბოლომდე.

5. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადებები, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 3 მაისის დილის 10 საათიდან 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: 0103 ქ. თბილისი, თელავის ქ. 20, ტელ: 77 20 20 საკონტაქტო პირი ბატონი მანუჩარ გრიგოლაშვილი.

6. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები:

- იურიდიულმა პირებმა:
  - რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელ.ფოსტა, საბანკო რეკვიზიტები);
  - რეგისტრაციის მოწმობა და ცნობა საწესდებო კაპიტალის შესახებ (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან);
  - ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მისი ქონება არ არის დაყადაღებული;
  - ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
  - ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება;
  - სატენდერო წინადადება და მასში შემავალი დოკუმენტები
- ფიზიკურმა პირებმა:
  - ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.
  - ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
- ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ქსერო ასლის სახით.

7. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებმა სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შემდეგ ანგარიშზე: შპს "საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო მეტეხი", საიდენტიფიკაციო ნომერი 202889865, ს/ს გაერთიანებული ქართული ბანკი, ცენტრალური ფილიალი, კოდი 220101666, ა/ა 050609031.

8. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2006 წლის 13 აპრილის 10 საათიდან 2 მაისის 17 საათამდე .მისამართზე ქ. თბილისი, 0103, თელავის ქ N20.

9. აღნიშნულ ტენდერში შესაძლებელია ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

10. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი სატენდერო დოკუმენტაციის საბაზისო მონაცემთა ნუსხაში მითითებული სახით, ფორმითა და ოდენობით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს ბატონ მანუჩარ გრიგოლაშვილს. ტელეფონი 77 20 20, ფაქსი 77 45 16.

ელფოსტა. manuchar.grigolashvili@sheraton.com

შენიშვნა: პროდუქციის ზუსტი აღწერილობა და მახასიათებლები იხილეთ ტექნიკურ პირობებში.

სატენდერო კომისია

# განცხადება ხელახალი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო მეტეხი", საიდენთიფიკაციო ნომერი 202889865, ქ. თბილისი, 0102, დავით აღმაშენებლის გამზ. N67, ტელეფონი: 95 10 77, ფაქსი 95 21 70, ელ.ფოსტა jvmetechi@jvmetechi.com აცხადებს საერთაშორისო ტენდერს სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასისათვის" საკვები პროდუქტების ლოტებად შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს:

2. **საკვების ლოტები:**

| დანადგარი | დანადგარის ტიპი | დანადგარების რაოდენობა | | სათადარიგო ნაწილების რაოდენობა და სარემონტო ნაწილების ნუსხა | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კომპრესორი | "BITZER" 2U-3.2 | 1 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| ჰაერის გამაგრილებელი სისტემის რადიატორი | "CROCCO" | 1 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| სამაცივრო კამერები | IPG AUSTRIA GOLDSTORES Тип. A 80.564/90. | 18 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| კომპრესორი | "BOGE" Type VELA 11R-71 | 1 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| ქიმწმენდა | "BOWE" Type. P 200 4.85KW | 1 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| სარეცხი მანქანა | "GIRBAU" Type HS 2022 | 1 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| სარეცხი მანქანა | "GIRBAU" Type HS 2110 | 2 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| უთოს პრესი | "STAHL" Type M – 600 , M-500 | 3 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| საშრობი მანქანა | PASSAT Type 146. | 2 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| სარეცხი მანქანა | "GIRBAU" Type LS 207 | 1 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| საშრობი მანქანა | PASSAT Type SR-6 | 1 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| უთოს პრესი | "Kannegiesser" | 1 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| მანეკენი უთო | "S/VC" | 1 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| ლაქების ამოსაყვანი მანქანა | SILC. Type S/EX | 1 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| უთო | SILC | 2 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| სასწორი | RHEWA-WAAGENFABRIK Type 512 | 1 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| ორთქლის ქვაბები | HOVAL Type THD - U 1000 | | | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| ცხელი წყლის ქვაბები | HOVAL Type ST - PLUS 1500 | | | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| გენერატორი | Volvo Pennta Type. TD 1210G | 1 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| გენერატორი | Zordan Type. TWD 1210G | 1 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| გენერატორი | Ivego Type. GE 8281 S1 1500 A533 | 1 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| ჩილერები | "CARRIER" Type. 30GT 280 | 2 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| ფილტრი 592X592 მმ. dri pak | "HTG/SULZER" | 104 | ც | | 104 | ც |
| ფილტრი 287X592 მმ. dri pak | "HTG/SULZER" | 54 | ც | | 54 | ც |
| სამზარეულოს ფილტრები 450X400X50 მმ. | "HTG/SULZER" | 30 | ც | | 30 | ც |
| ცხელი წყლის სისტემა | "HTG/SULZER" | 4 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| ცხელი წყლის ნასოსები | "HTG/SULZER" | 10 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| ცივი წყლის სისტემა | "HTG/SULZER" | 6 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| ცივი წყლის ცირკულაციის ნასოსები | "HTG/SULZER" | 6 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| აუზის წყლის მომზადების სისტემა | "CULLIGAN" | 1 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| ხანძარსაწინააღმდეგო წყლის სისტემა | "HTG/SULZER" | 1 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| საქაჩი ტუმბოები | "HTG/SULZER" | 1 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| სასმელი წყლის მომზადების სისტემა | "CULLIGAN" | 1 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| ელ კარადები | "EBG" "SIMENS" | 45 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| ელ მოწყობილობები | "EBG" "SIMENS" | 1 | კომპ | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| მაცივრები | "FOSTER" | 33 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| ჭურჭლის სარეცხი მანქანა | KREFFT" | 22 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| საცხობები | KREFFT" | | | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| გრილები | KREFFT" | | | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| ღუმელები და ა.შ. | KREFFT" | | | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| პანორამა ლიფტი | "OTIS" | 3 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| პერსონალის ლიფტი | "OTIS" | 2 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| ჰიდრავლიკური ლიფტი | "OTIS" | 1 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| ფილტრები ფეინკოლსებისთვის 1315-210 მმ. | | 100 | ც | | 100 | ც |
| ფეინკოლსები | "COILTECH" Type. QZL, QZR | 366 | ც | მითითებულია დოკუმენტაციაში | | |
| ქლორიდ ლიქვიდი | | 600 | კგ | | | |
| პჰ - მინუს ლიქვიდი | | 600 | კგ | | | |
| ფლოცულანტ ლიქვიდი | | 792 | კგ | | | |
| ჰელამინ | | 60 | კგ | | | |
| ქლორიდ ლონგტიმე ტაბლეტები | | 100 | კგ | | | |
| პერხლორიტელენ | | 400 | კგ | | | |
| აცეტილენი ბალონებში | | 2 | ბალ | | | |

3. მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი თელავის ქ. 20, შერატონ მეტეხი პალასი.

4. ვადები: 2006 წ. ხელშეკრულების გაფორმებიდან წლის ბოლომდე.

5. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადებები, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 3 მაისის დილის 10 საათიდან 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: 0103 ქ. თბილისი, თელავის ქ. 20, ტელ: 77 20 20 საკონტაქტო პირი ბატონი მანუჩარ გრიგოლაშვილი.

6. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები:

- იურიდიულმა პირებმა:
  - რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელ.ფოსტა, საბანკო რეკვიზიტები);
  - რეგისტრაციის მოწმობა და ცნობა საწესდებო კაპიტალის შესახებ (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან);
  - ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მისი ქონება არ არის დაყადაღებული;
  - ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
  - ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება;
  - სატენდერო წინადადება და მასში შემავალი დოკუმენტები
- ფიზიკურმა პირებმა:
  - ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.
  - ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
- ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ქსერო ასლის სახით.

7. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებმა სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შემდეგ ანგარიშზე: შპს "საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო მეტეხი", საიდენტიფიკაციო ნომერი 202889865, ს/ს გაერთიანებული ქართული ბანკი, ცენტრალური ფილიალი, კოდი 220101666, ა/ა 050609031.

8. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2006 წლის 13 აპრილის 10 საათიდან 2 მაისის 17 საათამდე .მისამართზე ქ. თბილისი, 0103, თელავის ქ N20.

9. აღნიშნულ ტენდერში შესაძლებელია ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

10. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი სატენდერო დოკუმენტაციის საბაზისო მონაცემთა ნუსხაში მითითებული სახით, ფორმითა და ოდენობით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს ბატონ მანუჩარ გრიგოლაშვილს. ტელეფონი 77 20 20, ფაქსი 77 45 16.

ელფოსტა. manuchar.grigolashvili@sheraton.com

შენიშვნა: პროდუქციის ზუსტი აღწერილობა და მახასიათებლები იხილეთ ტექნიკურ პირობებში.

**სატენდერო კომისია**

## ინფორმაცია

28 მარტს ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს "დათუნა".

ქ. ქუთაისის 43-ე საჯარო სკოლის სატენდერო კომისიის თავმჯდომარე ნინო ხურციძე

## შესწორება

სს "ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი"-ს მიერ მედიკამენტების, რეაქტივებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების შესყიდვაზე ა.წ. 30 მარტს გამოცხადებულ ტენდერის განცხადებაში შესასყიდი საქონლის ნუსხაში დამატებების შეტანის შესახებ

**განცხადებაში მითითებული**

**ლოტი 4** გაიყოს და ჟღერდეს შემდეგნაირად:

**ლოტი 4ა -** სწრაფი სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემები

**ლოტი 4ბ -** ელაიზა ტესტ-სისტემები

## ცვლილება

გაზეთ 24 საათის 31 მარტის N 69-ში სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მიერ გამოცხადებულ ტენდერში ინტერნეტით მომსახურების შესყიდვაზე, შეტანილია შემდეგი ცვლილება:

1. სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება 2006 წლის 25 აპრილს 15:00 საათზე.

## განცხადება

შპს " ენგურჰესი"-ს სატენდერო კომისია გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 28 იანვარს გაზეთ "24 საათში" თაღოვანი კაშხლის სიღრმული წყალსაგდების ფარების შემჭიდროების ელემენტების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა შპს "რემენერგოდანადგარმა".

## ცვლილებები ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახურის მიერ 2006 წლის 30 მარტის გაზეთ "24 საათში" გამოცხადებულ ტენდერში ქ. ბათუმში საცხოვრებელი სახლების პოლიკარბონატული ფილებით, კომპოზიტური პანელებით მოპირკეთება და ფასადების შეღებვის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განცხადებაში **შეტანილ იქნას ცვლილებები ლოტი N3 და ლოტი N4-ში.**

**ცვლილებიდან გამომდინარე ლოტი N3 და ლოტი N4 ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:**

**ლოტი N3** ხიმშიაშვილის ქუჩაზე ოთხი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის აივნების პოლიკარბონატული ფილებით შემოსვის სამუშაოები.

**ლოტი N4** რუსთაველისა და ლ. ასათიანის ქუჩის კვეთაში მრავალსართულიანი სახლის ფასადის შეღებვა და აივნის პოლიკარბონატის ფილებით შემოსვა. 26 მაისის ქუჩა N10 საცხოვრებელი სახლის ფასადის შეღებვის სამუშაოები.

**სატენდერო კომისია**

მოკლედ

## ყველაზე დიდი წიგნი

მალაიზიის გამომცემლობამ მსოფლიოში ყველაზე დიდი წიგნი დაბეჭდა. "სარავაკის ილუსტრირებული ისტორიის" სიგრძე 3 მეტრია, სიგანე - 2,2 მეტრი. 50-გვერდიანი წიგნის დაბეჭდვას 45 დღე მოანდომეს, აკინძვას კი - თვეზე მეტი. წიგნის გამოცემა 27 ათასი აშშ დოლარი დაჯდა. მალაიზიური წიგნი გინესის რეკორდსმენთა სიაში პირველ ადგილზე მოხვდება. მეორე ადგილზე გადაინაცვლებს ბუტანის სამეფოში გამოცემული წიგნი. მისი სიგრძე 2 მეტრი და 9 სმ-ია, სიგანე - 1 მ და 50 სმ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## კინო-თეატრი გუდაუთაში

გუდაუთაში კინო-თეატრმა "კიარაზმა", რომელიც 15 წლის განმავლობაში დახურული იყო, ფუნქციონირება დაიწყო. 370 ადამიანზე გათვლილი აღდგენილი კინოდარბაზის პრეზენტაცია ორი დღის წინ გაიმართა. გახსნის დღეს ნაჩვენები იყო რეჟისორ ფაზილ ისკანდერის ახალი ფილმი "ბედნიერ აღმოჩენათა ხანა", რომელშიც მთავარ როლებს აფხაზეთის დრამატული თეატრის მსახიობები ასრულებენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სეზონის გახსნა ისევ გადაიდო

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ დრამატულ თეატრში სეზონის გახსნა 15 მაისისთვის გადაიდო. თეატრალური სეზონის გახსნა მარჯანიშვილის თეატრში ჯერ კიდევ მარტის დასაწყისისთვის იყო დაგეგმილი, თუმცა სარემონტო სამუშაოების გამო, რამდენჯერმე გადაიდო. თეატრის პრესსამსახურის ინფორმაციით, 15 მაისს პრემიერა შედგება. რეჟისორი გიზო ჟორდანია დგამს ბერტოლდ ბრეხტის პიესას "სამგროშიანი ოპერა". "თეატრში მიმდინარე სარემონტო სამუშაოები ძალიან გაჭიანურდა. ამის გამო, მსახიობები ჯერ სცენაზე არც გადასულან. სეზონის გახსნის სავარაუდო თარიღად 15 მაისი დასახელდა", - აღნიშნეს თეატრის პრესსამსახურში. **მედიანიუსი**

## ფოლკლორის დათვალიერება-ფესტივალი 14 აპრილს გაგრძელდება

14 აპრილს თბილისში საქართველოს ფოლკლორის ეროვნული დათვალიერება-ფესტივალის თბილისის 1 ტური გაგრძელდება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართული ხალხური სიმღერის, ცეკვის, ხალხურ საკრავთა ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები.

ღონისძიება, რომელზე დასწრებაც მსურველებს უფასოდ შეუძლიათ, ვაჟა-ფშაველას 43-ში მდებარე პროფკავშირების კულტურის ცენტრში გაიმართება (სიმღერა - 11 საათზე, ქორეოგრაფია - 2 საათზე).

დათვალიერების მიმდინარეობისას იმუშავებს კომპეტენტური ჟიური, რომელიც დაკომპლექტებულია ფოლკლორის სხვადასხვა დარგის ცნობილი სპეციალისტებით. ფესტივალის მიზანია ქართული, ასევე, საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნოსის, ფოლკლორის დარგებისა და ჟანრების მოძიება-გამომზეურება, ფოლკლორული მემკვიდრეობისთვის შესაბამისი პირობების შექმნა. ფოლკლორის ფესტივალი-დათვალიერება პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პატრონაჟით მიმდინარეობს და 2006 წლის შემოდგომაზე დასრულდება.

## "თბილისი - თბილისი" ოქროს შროშანის მფლობელი გახდა

გუშინ გერმანიის ქალაქ ვისბადენში დასრულდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მე-6 კინოფესტივალი Go East. კონკურსში მონაწილეობდა 10 მხატვრული და 6 დოკუმენტური ფილმი. ფესტივალის მთავარი პრიზი საუკეთესო ფილმისთვის "ოქროს შროშანი", რომელსაც "შკოდა" 10 ათასი ევროთი უზრუნველყოფს, მიენიჭა ლევან ზაქარეიშვილის ფილმს "თბილისი - თბილისი". საერთაშორისო ჟიური ულრიხ გრეგორის თავმჯდომარეობით აღნიშნავდა წარმოდგენილი ფილმების უჩვეულოდ მაღალ მხატვრულ დონეს. ჟიურის დასკვნაში ნათქვამია, რომ "თბილისი-თბილისი" საქართველოს დედაქალაქის ცვალებადი ცხოვრების ეპიზოდურ პორტრეტს წარმოგვიდგენს. "თხრობის რაფინირებული სტრუქტურა და ყოველდღიურ ცხოვრებაზე დაკვირვება შერწყმულია მინიშნებებთან ქართულ და საერთაშორისო კინემატოგრაფზე," - აღნიშნულია დასკვნაში.

## "ოკუპაციის" დარბაზი ეროვნულ მუზეუმში

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ჯანაშიას სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში "ოკუპაციის დარბაზი" განთავსდება. როგორც ეროვნული მუზეუმის აღმასრულებელი დირექტორი კახა ტრაპაიძე აცხადებს, "ოკუპაციის დარბაზში" საქართველოს ისტორიის საბჭოური პერიოდის (1921 - 1991 წ.) დოკუმენტური მასალები გამოიფინება. მისი თქმით, საექსპოზიციო მასალები ძირითადად 1924 წლის საქართველოს ოკუპაციისა და რეპრესიების დოკუმენტური ასახვაა. "გამოფენის მიზანია არა საბჭოთა ხელისუფლების დისკრედიტაცია, არამედ რეალური ისტორიის ჩვენება", - აცხადებს ტრაპაიძე. "ოკუპაციის მუზეუმი" საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის უშუალო ინიციატივით იქმნება. "ოკუპაციის დარბაზი" 26 მაისს გაიხსნება. **ჯი-ეიჩ-ენი**

# კიდევ ერთხელ...



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

პირველი გვერდიდან

დათო მაღრაძის ეს წიგნი უკვე მეორედ გახდა ქართული საზოგადოების საჯარო ყურადღების საგანი, რადგან ჩაკეტილი სივრცე გაიხსნა და გერმანულმა გამომცემლობამ გამოსცა მანანა პაჭკორიას მიერ ნათარგმნი salve, რომლის პრეზენტაცია 12 აპრილს გოეთეს ინსტიტუტის კაფეში გაიმართა, მანამდე კი - ავტორის გარეშე გერმანიაში, ლაიფციგის გამოფენა-გაყიდვაზე, სადაც დადებითი გამოხმაურება მოყვა.

პრეზენტაცია გახსნა გოეთეს ინსტიტუტის დირექტორმა უვე რიკენმა.

**- კაფე გოეთეში ძირითადად იმართება პრეზენტაციები იმ შემთხვევაში, როცა ქართულად ნათარგმნ გერმანულ ლიტერატურას წარმოგვიდგენენ. მიხარია, რომ დღეს პირიქით ხდება - წარმოდგენილია ქართველი პოეტისა და ლირიკოსის დათო მაღრაძის გერმანულად ნათარგმნი წიგნი. თარგმნა ძნელი ხელობაა, მით უფრო ძნელია ლირიკის თარგმნა. აღფრთოვანებული ვარ იმ ადამიანებით, ვინც ამ საქმეს ემსახურებიან. ბევრს აქვს თარგმანები, რომლებიც საზოგადოებისთვის უცნობია. მე გთავაზობთ ჩვენს კაფეს, რომ ეს თარგმანები საზოგადოებას გავაცნოთ. გისურვებთ სასიამოვნო საღამოს. მადლობას ვუხდი ბატონ დათოს, რომ ჩვენი კაფე აირჩია ახალი წიგნის წარსადგენად. გერმანული წიგნის ბაზარი ძალიან დიდია. შესაბამისად, დიდია კონკურენციაც, მაგრამ იმედი მაქვს, გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც დაინტერესდებიან ამ წიგნით.**

ბატონმა დათომ გაიხსენა ის დღე, როცა ერთი წლის წინ ამავე კაფეში წაიკითხეს თარგმანები, თუმცა მაშინ დღევანდელ პერსპექტივაზე არ ფიქრობდნენ. მან მადლობა გადაუხადა ქალბატონ მანანას იმისთვის, რომ დაინტერესდა მისი პოეზიით, ბატონ ალექსანდრე თავაძეს, რომელიც დაეხმარა გერმანულ მხარესთან ურთიერთობაში. აღნიშნა, რომ აუცილებელია ქართული პოეზიის პოპულარიზაცია უცხოეთში მსოფლიო ლიტერატურულ სივრცეში დასამკვიდრებლად. იმის გამო, რომ გერმანულ ენას ვერ ფლობს, უჭირს კომენტარის გაკეთება გერმანულ ვარიანტზე, თუმცა ნახევრად იუმორით ისიც აღნიშნა, რომ თუ გერმანული ენის სპეციალისტებსა და გერმანიიდან გამოგზავნილ გამოხმაურებას დავეყრდნობი, მგონი, ლექსები გერმანულად სჯობსო. ლაშა ბუღაძემ აღნიშნა, რომ დათო მაღრაძის წიგნი ქართულ ლიტერატურას ევროპაში შეუძლევა, ამიტომ მას მრავალმხრივი დატვირთვა აქვს. მწერალმა ნუგზარ შატაიძემ კი ხაზგასმით აღნიშნა მანანა პაიჭაძის დამსახურება და ისურვა, რომ ამგვარი დამოკიდებულება მთარგმნელობითი კულტურის მიმართ გაზრდილიყოს.

საღამოს განსაკუთრებული ელფერი შესძინა პოეტისა და მთარგმნელის მიერ ქართულ და გერმანულ ენაზე წაკითხულმა ლექსებმა.

დაბოლოს, ავტორთან და მთარგმნელთან პირისპირ...

**- ბატონო დათო, რას გრძნობთ, როცა წიგნს ამთავრებთ და მკითხველთან გზავნით? შინაგანად ივსებით თუ, პირიქით, დაცლილი ხართ?**

- ვივსები... ახალი ხალისი მოდის. მოაქვს მუხტი. მაქეზებს, მით უფრო მაშინ, როცა კარგი გამოხმაურება მოყვება. მშობლიური წიაღი კიდევ სხვაა, ყველა სულიერი რხევა იცი შენი ხალხის. შორეულ ქვეყანაში ცოტა ეჭვი გეპარება, როგორ მიიღებს... მაგრამ როცა ეჭვი იფანტება და მოლოდინი და იმედი გიმართლდება, შემართული ხდები.

**- ახალ წიგნს როდის შემოგვთავაზებთ?**

- ძალიან მალე. "ქარი ფოთლების ბილეთებს არიგებს"... ეს იქნება ახალი წიგნი.

**- ქალბატონო მანანა, მთარგმნელი ხომ თავისუფალია... რა ნიშნით აირჩიეთ დათო მაღრაძის პოეზია?**

- ორი ნიშნით. დათო ერთ-ერთი საუკეთესო პოეტია თანამედროვე საქართველოში. მეორე მიზეზი ჩემი პირადი დამოკიდებულებაა მისი ლექსების მიმართ. ორიგინალური არ ვიქნები თუ ვიტყვი, რომ მთარგმნელს უნდა ესმოდეს პოეტის, რათა ზუსტი ინტერპრეტაცია შეძლოს.

"მაშ ასე, salve!" - კეთილი იყოს დათო მაღრაძის შემოქმედებითი ნაბიჯები გერმანულ საზოგადოებაში.

TV5MONDE

## 13 აპრილი

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 17.15, 20.00, 00.00,** 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), **04.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** ევროპის ფაუნა. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** ეკატერინე. სერიალი. **11.35** ჟულის მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო . **12.15** ომის დროინდელი კინო. 1935-43. დოკ. ფილმი. **14.05** TV5-ის სამყარო. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** სასახლის ბაღი. სერიალი. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** არტ-რეპორტაჟი. **20.35** ლუიზას მოგზაურობა. მხ ფილმი. რეჟისორი პატრიკ ვოლსონი. 2004. **23.00** ხომალდი "ალაბარ რინცესს" ინდოეთი. მხ ფილმი. რეჟისორი ჟილ ლეგრანი. 2004. **04.40** არტ-რეპორტაჟი.

ცენტრ პოინტ ჯგუფი

## ცენტრ პოინტ ჯგუფი

**იწყებს თბილისის ელიტარულ უბნებში პატარა სახლების მშენებლობას მთაწმინდა, სოლოლაკი, ავლაბარი, ხარფუხი და სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე.**

**სხვა მიმდინარე მშენებლობებს თბილისის ყველა უბანში, ასევე ბათუმში, გუდაურში და ბაკურიანში.**

**განვადება უპროცენტოა.**

**მსურველები დაგვიკავშირდნენ: რუსთაველის პროსპექტი 48. ტელ.: 92-20-80, 99-67-69, 899 46-92-22, 899 46 51 21, 893 34 20 02, 899 96 96 57.**

## თელავის რაიონის გამგეობის ინფორმაცია

"სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ვაქვეყნებთ 2006 წლის 9 მარტს ქ. თელავში, რობაქიძის ქუჩაზე სავალი ნაწილის შეკეთების სამუშაოების და ქ. თელავში, თავისუფლების მოედანზე მდებარე ტურიზმის ცენტრის სარეკონსტრუქციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ ღია ტენდერებში გამარჯვებულ პრეტენდენტებს:

1. ქ. თელავში, რობაქიძის ქუჩაზე სავალი ნაწილის შეკეთების სამუშაოები -- შ.პ.ს "თელავის მრავლდარგოვანი საბინაო კომუნალური-მეურნეობის გაერთიანება".
2. ქ. თელავში, თავისუფლების მოედანზე მდებარე ტურიზმის ცენტრის სარეკონსტრუქციო სამუშაოები -- "თელავის მრავლდარგოვანი საბინაო კომუნალური-მეურნეობის გაერთიანება".

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## ინფორმაცია

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-15 პუნქტის, 36-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში ცვლილებების შეტანას ითხოვს:

1. შ.პ.ს. "ნ. დუმბაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი". სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით, შ.პ.ს. "თბილისის ჰუმანიტარულ ინსტიტუტს" შეეცვალა საფირმო სახელწოდება შ.პ.ს. "ნ. დუმბაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტით". შესაბამისად ყოფილი, შ.პ.ს "თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტის" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებას განაგრძობს შ.პ.ს. "ნ. დუმბაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის" სკოლა-ლიცეუმის "მომავლის" სახელით (მესამე საფეხურის სკოლის სტატუსით).

2. შ.პ.ს. "ორიონი" - ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე ინდივიდუალური საწარმოს "მარინე მჭედლიშვილის" უფლებამონაცვლეა შ.პ.ს. "ორიონი". ი/ს "მარინე მჭედლიშვილის" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებას განაგრძობს, როგორც შ.პ.ს. "ორიონის" კერძო საშუალო სკოლა "ორიონი".

**სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2006 წლის 23 მარტის N62-ში სასუქების შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებული სატენდერო განცხადების**

## შესწორება

1. განცხადების პირველ პუნქტში 9041 ტონის ნაცვლად მითითებული უნდა იყოს 9761.925 ტონა მინერალური სასუქი.
2. განცხადების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2. საქონელი არაუგვიანეს 2006 წლის 20 მაისისა მოწოდებული უნდა იქნეს FCA პირობით სადგურ "ქიმიურში" ან CIFპირობით ფოთის ან ბათუმის პორტში.

3. აღნიშნული ცვლილებით გაუქმებულად ჩაითვალოს 2006 წლის 6 აპრილის N74-ში გამოქვეყნებული შესწორებები.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატენდერო კომისია**

# განცხადება

**სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელის" მიერ ტექნიკის შესყიდვაზე გამოცხადებულ განცხადებაში ცვლილებების შესახებ**

1. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის ვადა სატენდერო მოსაკრებლის (200 ლ.) გადახდის შემდეგ გაგრძელდეს 27 აპრილის 17 საათამდე

2.სატენდერო განცხადებაში მე-4 ლოტში მოხდა ცვლილება ნაცვლად ვიდეოსამონტაჟო კომპლექსისა ვითხოვთ ქვემოთ ჩამოთვლილ სატელევიზიო ტექნიკას

| № | საქონლის დასახელება | რ-ბა |
|---|---|---|
| | ლოტი 4 | |
| 1 | რადიო პროდუქ. წარმოებისათვის ციფრული მიქშერი 24bit/96kHz, 32 არხიანი 40 შემავალი, ADAT I/O, 12 მიკრ.4სახაზო შემავალი, 1 MY Card (mini-YGDAI) სლოტი, DM2000 მიქშერის ეფექტები და მიქშერის ფუნქციები, მეხსიერება 99 სცენაზე, კომპრესორი, გეიტი, ეკვალაიზერი, დილეი, Fader Mode, 16 ანალოგური შემავალი, დიდი თხევად კრისტალიანი დისპლეი 320 x 240. (Service manual- ით დაკომპლექტება) | 1 |
| 2 | სამაუწყებლო საეთერო კონდენსატორული მიკროფონი ანტივიბრაციული სამაგრით, დაბალი სიხშირეების გათანაბრების ფილტრით, ახლო მუშაობის საშუალებით, კარდიოიდული მახასიათებლით, სიხშირეების დიაპაზონი 30-20000 ჰც, მგრძნობიარობა 20 მვ/პა, წინაღობა 200 ომი, დამახინჯების კოეფიციენტი 0,5%, სიგნალი/ხმაურის თანაფარდობა 8 დბ 1 კჰც 1 პასკალისათვის, ზომები 580X183მმ, წონა 450 გ | 5 |
| 3 | მიკროფონის აკუსტიკური POP- ფილტრი "გუსინეკზე", სიგრძე 24 სმ, დიამეტრი 13 სმ | 5 |
| 4 | პულტის ვიწრო მიმართულებიანი დინამიური მიკროფონი (შიდა კავშირისათვის) დამცავი ეკრანით და მყარი კონსტრუქციით "გუსინეკზე", მთლიანი სიგრძე 445 მმ, დინამიური სიხშირის მახასიათებლები 150-10000 Hz | 8 |
| 5 | სტერეო ყურსასმენის გამაძლიერებელი პროფესიონალური: 1 შემავალი, 8 გამომავალი რეგულირებადი | 1 |
| 6 | აქტიური ორზოლიანი სტუდიური საკონტროლო ლოკალური მონიტორი ჯამური სიმძლავრით 120 ვტ: სიხშირული დიაპაზონი 42 ჰც - 20000 ჰც, დინამიკი დაბალი სიხშირის 8" და მაღალი სიხშირის 1 ", სიმძლავრე დაბალი სიხშირის 75 ვტ და მაღალი სიხშირის 45 ვტ, შემავლები XLR და TRS-Jack - ბალანსურები, დონის რეგულირება პანელზე, სიხშირის კორექციის გადამრთველები, Control room, ზომები 50 x 332 x 390 მმ, წონა 11,3 კგ | 2 |
| 7 | აქტიური ორზოლიანი სტუდიური საკონტროლო ლოკალური მონიტორი ჯამური სიმძლავრით 70 ვტ: სიხშირული დიაპაზონი 55 ჰც - 20000 ჰც, დინამიკი დაბალი სიხშირის 6" და მაღალი სიხშირის 1 ", სიმძლავრე დაბალი სიხშირის 40 ვტ და მაღალი სიხშირის 30 ვტ, შემავლები XLR და TRS-Jack - ბალანსური/არაბალანსური, შემავალი მგრძნობიარობა 270 მვ, დაცვა რადიოსიხშირეების ზედდებისაგან, დაცვა ძაბვის ნახტომებისაგან, კროსოვერის სიხშირე 2,7 კჰც, მონიტორების ჩართვის ინდიკატორი წინა პანელზე, ზომები 200 x 280 x 223 მმ, წონა 6,5 კგ | 12 |
| 8 | კომპაქტ დისკის ფლეიერის დეკა კონსოლში ჩასამონტაჟებელი: აღწარმოება CD/ CD-R/ RW/ MP3, CD-ტექსტი, MP3-ის მოძიება პაკეტის / სახელწოდებების მიხედვით, "ანტიშოკი" - 10 წმ, ტონის სიმაღლის ცვლა +/- 12%, რეჟიმები გამეორება / შემთხვევითი / პროგრამა 99 ტრეკზე, ძიება ფრეიმების მიხედვით 1/75 წამის სიზუსტით, ანალოგურ/ციფრული გამომავალი (RCA), გამომავალი ყურსასმენებზე, ზომები 482 (W) x 88 (H) x 280 (D) მმ | 6 |
| 9 | 0,6x ფართოკუთხიანი ლინზა სპეციალური სამაგრით 85 მმ გარე დიამეტრის მქონე ობიექტივებზე 2/3" კამერებისათვის ფოკუსური მანძილით დაწყებული 8.7 მმ-დან, კომპლექტაციაში შედის ობიექტივის ბლენდა | 1 |
| 10 | მიკროფონი ვიდეოკამერებისათვის, დინამიური, ხელის: ვიწრომიმართულებიანი, სიხშირეების დიაპაზონი 50-13000 ჰც, მგრძნობიარობა (0dBm=1V/1Pa 11 კჰც-ზე) - -57.0 ± 3.0 dB, ეფექტური გამომავალი დონე 1 კჰც-ზე (0dBm=1mW/1) - -60dbm, გამომავალი იმპედანსი 1 კჰც-ზე (ბალანსური) - 500 ომი | 10 |
| 11 | კომპოზიტური ვიდეო და მონო სიმეტრიული აუდიო სიგნალების გამაძლიერებელ-განმანაწილებელი 1 შემავლით და 4 გამომავლით სატელევიზიო სტუდიებისათვის - შესაძლებლობები: ყოველი შემავალი სიგნალისათვის ცალ-ცალკე გადაცემის კოეფიციენტის რეგულირება, შემავლებზე ფონის ჩახშობა ძლიერი სინფაზური ხელშეშლების პირობებში მუშაობისათვის, ტექნიკური მახასითებლები: შემავალ/გამომავლები - 1/4, კვების ძაბვა - 220 ვ, გაბარიტები - 483x120x44 mm, მოხმარებული სიმძლავრე - არა უმეტეს 6 ვტ; ვიდეო ტრაქტი: ფორმატი - კომპოზიტური, შემავლების ტიპი - დიფერენციალური, სინფაზური სიგნალების შემავალი წინაღობა - 510 ომი, დიფსიგნალების შემავალი წინაღობა - 75 ომი, შემავალი სიგნალების ნომინალური დონე - 1 ვ, შემავალი სიგნალების მაქსიმალური დონე - 2 ვ, გადაცემის კოეფიციენტის რეგულირების დიაპაზონი - 0.8...1.2, გატარების ზოლი (-3 დბ-ს დონეზე) - არა ნაკლებ 60 მჰც, გამთიშველის ტიპი - BNC; აუდიო ტრაქტი: სიგნალების ფორმატი - სიმეტრიული, შემავალ/გამომავალის ტიპი - უტრანსფორმატორო, გამთიშველების ტიპი - XLR, შემავალი წინაღობა - 600 ომი, გამომავალი წინაღობა - არაუმეტეს 60 ომისა, შემავალი სიგნალის ნომინალური დონე - +4 დბმ/1.26 ვ, გამომავალი სიგნალის მაქსიმალური დონე (600 ომზე) - +18დბმ/6.5, გატარების ზოლი (-3 დბ-ს დონეზე) - არა ნაკლებ 100 კჰც, გადაცემის კოეფიციენტის რეგულირების დიაპაზონი - -4 დბ..+7 დბ | 10 |

24 საათი

BRITISH AIRWAYS

**შეავსე "British airways" - ის კითხვარი სწორად და მოიგე სასტუმრო შერატონ მეტეხის საცურაო აუზის ერთთვიანი აბონემენტი**

ვიქტორინისთვის საჭირო ინფორმაცია შეგიძლიათ მოძებნოთ British Airways -ის ვებ გვერდზე www.ba.com.

1. British Airways - ის მგზავრებს შეუძლიათ ელექტრონული ბილეთები ინტერნეტის საშუალებით დაჯავშნონ და შეიძინონ.

კი არა

2. British Airways - ის საიტის www.ba.com -ის მომსახურების "Manage my Booking"- ის დახმარებით მგზავრებს ბორტზე სასურველი ადგილის დაჯავშნა შეუძლიათ.

კი არა

3. თუ მგზავრმა ელექტრონული ბილეთი დაკარგა, მას შესაძლებლობა აქვს შევიდეს "British Airways"- ის ვებ გვერდზე და ნებისმიერ დროს ამობეჭდოს იგი.

კი არა

4. British Airways - ის გრძელ მარშრუტებზე მიმავალ მგზავრებს, რომლებიც Executive Club"ის ოქროს ბარათის მფლობელები არიან, შეუძლიათ ჰითროუს აეროპორტში MMolton Brown"ის სარელაქსაციო მომსახურებით ისარგებლონ.

კი არა

სახელი:
გვარი:
E-mail:
ტელეფონი
მობილური

პასუხები გამოაგზავნეთ გაზეთ "24 საათი"-ის მისამართზე: ქ. თბილისი, გამრეკელის ქ. N51. ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით: maia.chitaia@actionprgroup.com. პასუხების მიღების ბოლო ვადაა 28 აპრილი.

გამარჯვებული გამოცხადდება გაზეთ "24 საათი" - ის 2006 წლის 1 მაისის ნომერში.

გამარჯვებული დასაჩუქრდება სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასის საცურაო აუზის ერთთვიანი აბონემენტით.

British Airways - ისა და 24 საათის თანამშრომლებსა და მათი ოჯახის წევრებს გათამაშებაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ.

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



# ღია ცის ქვეშ

## ევროპისკენ სტამბოლის გავლით?

დიანა ჩაჩუა

*"თურქეთის ავიახაზები" საქართველოში პირველად პრეზიდენტმა შევარდნაძემ "შემოიყვანა" და 2001 წელს მანვე "გააგდო". თურქების ბედი მაშინ შვეიცარულმა და ბრიტანულმა კომპანიებმაც გაიზიარეს. სკანდალი ავიაკომპანიებსა და საქართველოს მთავრობას შორის იმან გამოიწვია, რომ გადამზიდავები ზომაზე დიდი შეღავათებით სარგებლობდნენ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობაში თურქული კომპანიის ჩართვამდე, 2001 წლიდან 2005 წლამდე თურქებს ქართულ ავიაციასთან შეხება არ ჰქონიათ. უკანასკნელ დღეებში საქართველოს ცაზე ატეხილი აჟიოტაჟი სწორედ "თურქეთის ავიახაზებს" უკავშირდება.*

**ქართული ავიაკომპანიები "თურქეთის ავიახაზებს" "დემპინგური ფასების" დაწესებაში ადანაშაულებენ. მათი შეფასებით, "თურქეთის ავიახაზების" მიერ ბილეთებზე დაბალი ფასების დაწესება საქართველოს ბაზარზე მომუშავე ავიაკომპანიებს გაკოტრების საფრთხის წინაშე აყენებს.**

| მარშრუტი | "თურქეთის ავიახაზების" ფასები | საქართველოში მოქმედი სხვა ავიაკომპანიები **დასახელება/ფასი** | |
|---|---|---|---|
| პარიზი | **481 დოლარი (სტამბოლის გავლით)** | "აირზენა" | **710 დოლარი** |
| ვენა | **476 დოლარი (სტამბოლის გავლით)** | "ავსტრიის ავიახაზები" | **703 დოლარი** |
| ვენა | **476 დოლარი (სტამბოლის გავლით)** | აირზენა | **550 დოლარი** |
| სტრასბურგი | **477 დოლარი (სტამბოლის გავლით)** | "აირზენა" | **735 დოლარი** |
| მიუნჰენი | ------ | "ლუფტჰანზა" | **650 დოლარი** |
| ლონდონი | **482 დოლარი (სტამბოლის გავლით)** | "ბრითიშ მედითერენიანი" | **675 დოლარი** |
| ნიუ-იორკი | **716 დოლარი (სტამბოლის გავლით)** | "ავსტრიის ავიახაზები" | 1220 დოლარი |

B2

## რითი დადიან მსოფლიოს უმდიდრესი ბიზნესმენები?

## "ოპეკის კალათის" ფასმა ახალი რეკორდი მოხსნა

## ამერიკული საფონდო ინდექსები კვლავ შემცირდა

## Nasdaq ოპერატორმა ლონდონის ბირჟის 15 პროცენტი იყიდა

## ჩინეთი 80 Boeing 737-ს ყიდულობს

B3

# "ჯენერალ მოტორსი" აღორძინებას იწყებს

- თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევაზე გაწეული ხარჯები ყოველწლიურად დაახლოებით მილარდი დოლარით უნდა შემცირდეს. სანაცვლოდ, ქარხნების თანამშრომლებს გაეზრდებათ ხელფასები.
- სამუშაო ადგილების რაოდენობა 30 000 ერთეულით უნდა შემცირდეს.
- სულ დასახურია 12 ქარხანა, რომელთაგან 4 ავტომობილების ამწყობია.
- ბაზარზე უნდა გამოვიდეს დიდგაბარიტიანი უგზოობის ავტომობილების რამდენიმე მოდელი.

B3



*ჯენერალ მოტორსის შტაბ-ბინა დეტროიტის საქმიან ცენტრ რენესანს სენტერში*

## "კავკასიური იოგურტი" იაპონიაში

## ვინ გახდება ქიათურმანგანუმის მეპატრონე?

B4

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3333 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 2,0055 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4958 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,8210 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8468 |
| 1 | ბულგარული ლევი | BGL | 1,1290 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2960 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3172 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2076 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4111 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3502 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,3620 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1537 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,1678 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1995 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2485 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,3964 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5900 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1397 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,3897 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3992 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2824 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5585 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,6118 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0658 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1302 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4033 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5666 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4985 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,5991 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8311 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2365 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1415 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4427 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2371 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,3997 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0774 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2274 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2347 |




# ვინ იყიდის "ელექტროკავშირს"?

## საწარმო 50 მილიონად არის შეფასებული

ეთერ მამულაშვილი

*ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ სახელმწიფო საწარმოს "ელექტროკავშირს" ყიდის. მისი საწყისი ფასი თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე უკვე გაყიდული "აზოტის", "მადნეულის" თუ "რუსთავის მეტალურგიული ქარხნის". საპრივატიზაციო მარათონში გამარჯვებული კომპანიის ვინაობა მაისის ბოლომდე გახდება ცნობილი.*

**შარშან, წლის ბოლომდე "ელექტროკავშირმა" 2 მილიონი ლარი გადარიცხა ბიუჯეტში, მაშინ, როცა წლის დასაწყისში მას გეგმა ამ ნაწილში მხოლოდ 500 ათასი ლარით ჰქონდა განსაზღვრული.**




B2

# ღია ცის ქვეშ

პირველი გვერდიდან

საქართველოს საჰაერო სივრცეში პირველი შემოსვლის დროს "თურქეთის ავიახაზებმა" ერთი ხერხი გამოიყენეს: სტამბულის გავლით რომში ჩაფრენაში თავდაპირველად 400 დოლარი მოითხოვეს, რამდენიმე თვეში კი ფასი 900 დოლარამდე გაზარდეს. თუმცა დღეს განსხვავებული მდგომარეობაა. პირველ შემთხვევაში არ დარღვეულა ე.წ. პარიტეტი, ანუ თურქულ ავიაკომპანიას თავისუფლება რეისების დანიშვნასთან დაკავშირებით არ მისცეს. დღევანდელ შემთხვევაში "თურქეთის ავიახაზები", სარეკლამო პერიოდში, ფასებს დააგდებს და ყოველდღიურ რეისებს დანიშნავს.

ქართული ავიაკომპანიები "თურქეთის ავიახაზებს" "დემპინგური ფასების" დაწესებაში ადანაშაულებენ. მათი შეფასებით, "თურქეთის ავიახაზების" მიერ ბილეთებზე დაბალი ფასების დაწესება საქართველოს ბაზარზე მომუშავე ავიაკომპანიებს გაკოტრების საფრთხის წინაშე აყენებს.

თბილისიდან სტამბოლში და სტამბოლიდან ევროპის ქვეყნებში გადაფრენა ორჯერ უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ნებისმიერი სხვა ავიაკომპანიით სარგებლობის შემთხვევაში. თვალსაჩინოებისათვის: "აირზენა"-ს რეისით თბილისი-პარიზი-თბილისი 710 დოლარი ღირს; ვენა - 550 დოლარი; ფრანკფურტი - 552 დოლარი; სტრასბურგი - 735 დოლარი; "ავსტრიის ავიახაზები": ვენა - 703 დოლარი; ნიუ-იორკი - 1220 დოლარი.

"ლუფტჰანზა": მიუნჰენი 650 დოლარი. "ბრითიშ მედითერენიანი": ლონდონი 675 დოლარი.

"თურქეთის ავიახაზების" შემთხვევაში ხსენებული მიმართულებები სტამბულის გავლით: თბილისი-სტამბოლი-პარიზი - 481 დოლარი; ვენა - 476 დოლარი; ნიუ იორკი - 716 დოლარი; ლონდონი - 482 დოლარი; სტრასბურგი - 477 დოლარი.

ქართული ავიაკომპანიების წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ ამ პირობებში ბაზარი შესაძლოა, იმ უცხოურმა ავიაკომპანიებმაც დატოვონ, რომლებიც საქართველოში წლების მანძილზე მუშაობენ. მათივე აზრით, თურქული ავიაკომპანია დაბალ ფასებს მხოლოდ ბაზრის მოპოვების მიზნით აწესებს და მონოპოლიის მოპოვების შემდეგ ტარიფებს გაზრდის.

თუმცა, როგორც "24 საათს" "ბრიტანეთის ავიახაზებში" განუცხადეს, კომპანია "თურქეთის ავიახაზების" მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებით უკმაყოფილებას არ გამოთქვამს. მეტიც, ავიაკომპანიაში სფეროს საბაზრო პრინციპებით რეგულირებას მიესალმებიან.

**"ჩვენ საკუთარი საფასო პოლიტიკა გვაქვს, რომელსაც განუხრელად მივყვებით. პირიქით, ავიახაზების მიერ სიხშირეების გაზრდას მივესალმებით კიდეც. სიხშირეების გაზრდას ჩვენც ვგეგმავთ. ზაფხულისთვის განსაკუთრებული შეთავაზებები გვექნება,"** - განაცხადა "ბრიტანეთის ავიახაზების" რეალიზაციის მენეჯერმა ნინო ანდრიაძემ.

"ნაციონალური ავიახაზები" კი მთავრობას სამოქალაქო ავიაციის ფუნქციების გაზრდას სთხოვს. გუშინ ამ თემაზე ავიახაზების გენერალურმა დირექტორმა დემურ ლელაძემ პრესკონფერენცია გამართა. ლელაძის თქმით, ბილეთების ფასის ქვედა ზღვარისა და რეისების სიხშირეების დარეგულირებაა საჭირო, **"წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ქართული კომპანიები დახურვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ,"** - განაცხადა დემურ ლელაძემ. მისივე ინფორმაციით, ქართულ ავიარეისებზე მგზავრების რაოდენობა უკვე 20 პროცენტით შემცირდა.

ავიაკომპანიები ხალხის ხარჯზე არ უნდა მდიდრდებოდნენ, - ამის შესახებ საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ გუშინ, მთავრობის სხდომაზე განაცხადა. მინისტრის განცხადებით, გაუმართლებელია ქართული ავიაკომპანიების პრეტენზია იმის თაობაზე, რომ **"თურქეთის ავიახაზებს" ფრენებზე ღირებულების შემცირებით სამამულო კომპანიები გაკოტრებამდე მიჰყავთ და მთვარობამ ამის საწინააღმდეგოდ რაიმე უნდა იღონოს."**

**"მათ ფასების ხელოვნურად გაზრდა და ხალხის ხარჯზე გამდიდრება სურთ. არსებობს მგზავრთა ისეთი კატეგორია, მაგალითად, სტუდენტები, რომლებიც მზად არიან, ნაკლები თანხა გადაიხადონ და აშშ-სა და ევროპაში სტამბოლიდან გადაფრინდნენ. ხოლო ვისაც შესაძლებლობა აქვს, შეუძლია, პირდაპირი რეისით იფრინოს,"** - აცხადებდა გუშინ ბენდუქიძე. ეს უკანასკნელი თურქული ავიაკომპანიის შესაძლო მონოპოლისტობას გამორიცხავს, რადგან კომპანია რეისზე დაბალ ფასებს მგზავრებს მხოლოდ თბილისიდან სტამბოლში და სტამბოლიდან სხვა სახელმწიფოში გამგზავრების შემთხვევაში სთავაზობს.

როგორც გუშინვე, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა აღნიშნული საკითხის კომენტირებისას განაცხადა, საქართველო ე.წ. "ღია ცის პოლიტიკას ახორციელებს" და მთავარი ამოცანა ტურიზმის განვითარებაა. რაც შეეხება დაბალ ტარიფებს, პრემიერ-მინისტრის თქმით, აღნიშნული საკითხი მთავრობის გადასაწყვეტი არ არის. თუმცა, ქართული ავიაკომპანიების მიერ წერილის წარმოდგენის შემთხვევაში, ნოღაიდელმა მისი განხილვისთვის მზადყოფნა გამოთქვა.

## კომერციული ბანკების აქციონერების მიერ აქციების ფლობაზე დაწესებული შეზღუდვა გაუქმდა

გაუქმებულია შეზღუდვა, რომლითაც კომერციული ბანკების აქციონერებს ხმის უფლების მქონე აქციების 25 პროცენტზე მეტის ფლობა ეკრძალებოდათ. "კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" კანონიდან ამოღებულია ამ შეზღუდვის ამსახველი პუნქტი. საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, ბანკის აქციების 100 პროცენტის ფლობის უფლება უკვე ერთ პირსაც ექნება. საბანკო კანონმდებლობის ლიბერალიზების ეს ინიციატივა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა პარლამენტს რამდენიმე თვის წინ წარუდგინა. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტ რომან გოცირიძის განცხადებით, "ხშირ შემთხვევაში, საქართველოს დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკის მიერ აქციების ფლობაზე დაწესებული ადრე არსებული მოთხოვნა ირღვეოდა. იყო შემთხვევები, როცა კომერციული ბანკების რეალური მესაკუთრეები იძულებულნი იყვნენ, ოფშორულ კომპანიებს ამოჰფარებოდნენ, მათი სახელით მონაწილეობდნენ ბანკის მართვაში და ფლობდნენ კანონით გათვალისწინებულზე მეტი ოდენობის აქციებს. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტ რომან გოცირიძის განმარტებით, "ძალაში შესული საკანონმდებლო ცვლილება ქართულ საბანკო სივრცეში ინვესტიციების შემოდინებას მნიშვნელოვნად გააადვილებს." **ჯი-ეიჩ-ენი**

## ბორჯომ-ლიკანის სანატორიუმი 10 მილიონ დოლარად გაიყიდა

ბორჯომ-ლიკანის სანატორიუმი 10 მილიონ დოლარად, პირდაპირი მიყიდვის წესით, ყაზახურ კომპანია "ყაზმუნაიგაზსერვისს" გადაეცემა. როგორც მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, სანატორიუმის პრივატიზებასთან დაკავშირებით ხუთი თვის განმავლობაში ოთხ სხვადასხვა ინვესტორთან მიმდინარეობდა მოლაპარაკება, თუმცა საბოლოოდ ყაზახური კომპანია შეირჩა. პრემიერის ინფორმაციით, პრივატიზაცია არ შეეხება სანატორიუმთან არსებულ პრეზიდენტის რეზიდენციას 7 ჰექტარ მიწის ფართობთან ერთად. ნოღაიდელის განცხადებით, სავარაუდოდ, ბორჯომ-ლიკანის სანატორიუმი ყაზახურ კომპანიას ერთ თვეში გადაეცემა. სწორედ ამ პერიოდში გაირკვევა, თუ რა რაოდენობის ინვესტიციებს განახორციელებს "ყაზმუნაიგაზსერვისი" ბორჯომში. **ინტერპრესნიუსი**

# ვინ იყიდის "ელექტროკავშირს"?

პირველი გვერდიდან













"საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია", ანუ იგივე "ელექტროკავშირი", ძველი და ახალი ხელისუფლების პირობებში არაერთ სკანდალში იყო გახვეული. ამ სახელმწიფო საწარმოს მიმართ ინტერესი როგორც ცალკეული ჩინოვნიკების მხრიდან, ისე ბიზნესწრეებიდან ყოველთვის არსებობდა, თუმცა მის გაყიდვას ხელისუფლება რატომღაც არ ჩქარობდა. "ელექტროკავშირი" ერთ-ერთი იმ საწარმოთაგანი იყო, სადაც რევოლუციის შემდეგ დირექტორის თანამდებობა რამდენჯერმე გახდა ვაკანტური. საწარმოში ხელმძღვანელობა დღემდე სამჯერ შეიცვალა.

### რა პირობებით იყიდება "ელექტროკავშირი"?

"ელექტროკავშირის" შესყიდვის მიზნით, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ განცხადებების მიღება გუშინ დაიწყო.

საწარმოთი დაინტერესებული კომპანიების ზუსტ ვინაობას სამინისტროში ამ ეტაპზე არ აკონკრეტებენ. როგორც ცნობილი ხდება, რომ "ელექტროკავშირის" შეძენის სურვილი რუსულმა, თურქულმა, ამერიკულმა და რამდენიმე ევროპულმა კომპანიამ გამოთქვა, თუმცა ამ დროისთვის სამინისტროში ოფიციალური განაცხადი არც ერთ მათგანს არ შეუტანია.

აღსანიშნავია, რომ "ელექტროკავშირით" რუსი ბიზნესმენების დაინტერესების შესახებ ჯერ კიდევ ორიოდე კვირის წინ რუსული "კომერსანტი" წერდა ამის შესახებ საქართველოს ხელისუფლებაში მაშინაც და ახლაც არანაირ ინფორმაციას არ ფლობენ.

ამერიკული "მეტრომედია" ერთ-ერთია იმ კომპანიებს შორის, რომელმაც თავის დროზე "ელექტროკავშირის" შეძენის სურვილი ღიად დააფიქსირა. ის "მაგთიკომის" ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი პარტნიორია.

"ელექტროკავშირის" საწყისი გასაყიდი ფასი ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ 50 მილიონი აშშ დოლარით განსაზღვრა. კონკურსში საუკეთესო წინადადების გამოვლენის ერთ-ერთი კრიტერიუმია მაქსიმალური საწყისი გასაყიდი ფასის დასახელება, რომელიც გამოცხადებულ საწყის გასაყიდ ფასს, ცხადია, უნდა აღემატებოდეს.

**"თუ კონკურსის პირობებს რამდენიმე მყიდველის მიერ შემოთავაზებული წინადადება ფასის და სხვა პირობების შესახებ დააკმაყოფილებს, სამინისტრო უფლებამოსილია, რიგითობის მიხედვით დაადგინოს (წინადადებების ხელსაყრელობის გათვალისწინებით) საუკეთესო წინადადებები და შემდგომში მოლაპარაკებები მათთან დადგენილი რიგითობის მიხედვით აწარმოოს,"** - ნათქვამია სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

კონკურსში გამარჯვებულ კომპანიას თანხის 50 პროცენტის გადახდა პირველ თვეში ევალება, ხოლო დანარჩენი კი მან ხელშეკრულების გაფორმებიდან მომდევნო სამი თვის განმავლობაში უნდა დაფაროს. ასეთია სამინისტროს ერთ-ერთი საკონკურსო პირობა, რაც მის მიერ წარსულში უკვე გაყიდული ობიექტების პირობებთან შედარებით საკმაოდ დამძიმებულია.

ერთი საყურადღებო დეტალი: როგორც ჩანს, ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გაითვალისწინა წარსულის გამოცდილება და ამჯერად ყველა მსურველ კომპანიას წინასწარ აფრთხილებს: **"პრეტენდენტის მიერ წარდგენილი წინადადებები უნდა იყოს კონკრეტული და, შესასყიდი თანხის ან პირობების ნაწილში, არ უნდა აპელირებდეს სხვა შემოთავაზებებზე."**

რაც შეეხება სხვა საკონკურსო წინადადებებს, ანუ რასაც სახელმწიფო პოტენციური ინვესტორებისგან ითხოვს, მომდევნო სამი წლის განმავლობაში სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" საქმიანობის შენარჩუნება და საწარმოს მომსახურების არსებული არეალის შენარჩუნებაა.

საკონკურსო პირობებში არაფერია ნათქვამია საწარმოში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობის შენარჩუნებასა და მათი ყოველთვიური ანაზღაურების შესახებ. არადა, ის მსხვილ სახელმწიფო საწარმოებში, რომლებიც დღემდე გაიყიდა (მათ შორის, "მადნეული", "საოკეანო-სანაოსნო", "რუსთავის მეტალურგიული ქარხანა", "აზოტი" და კიდევ სხვა მრავალი), ხელისუფლებამ ინვესტორებს ერთ-ერთ მთავარ პირობად გარკვეული პერიოდის განმავლობაში საშტატო ერთეულის შენარჩუნება და მათთვის ანაზღაურების ეტაპობრივად ზრდა მოსთხოვა.

დაინტერესებული პირების განაცხადების მიღება 12 მაისამდე გაგრძელდება. შესაბამისად, კონკურსში მონაწილეთა რაოდენობისა და ვინაობის შესახებ ინფორმაცია ოფიციალურად ამ დღეს გახდება ცნობილი.

### რას წარმოადგენს "ელექტროკავშირი"?

მისი საქმიანობის სფეროში შედის ფიზიკური და იურიდიული პირების უზრუნველყოფა ელექტროკავშირგაბმულობის საშუალებებით. იგი ტექნიკურ და კომერციულ ექსპლუატაციას უწევს თავის საკუთრებაში არსებულ ელექტროკავშირგაბმულობის ქსელებს.

საწარმოს საწესდებო კაპიტალი, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, 103 მილიონ ლარს ოდნავ აჭარბებს.

"ელექტროკავშირში" სახელმწიფო წილი ამ დროისთვის 90.65 პროცენტია, დანარჩენი 9.35 პროცენტის მფლობელი საწარმოს კოლექტივი და რამდენიმე ფიზიკური პირია.

"ელექტროკავშირს" 2 მილიონ 300 ათას ლარზე ოდნავ მეტი კრედიტორული დავალიანება გააჩნია; თითქმის სამჯერ მეტი, 6 მილიონ 907 ათასი ლარი კი - დებიტორული.

ბოლო რამდენიმე წელია, "ელექტროკავშირს" სახელმწიფო ბიუჯეტიდან არც ერთი თეთრი არ მიუღია, რადგან საწარმო მოგებიანად ითვლება.

საწარმო რომ მოგებიანია, ამას გასულ წლებში ბიუჯეტში გადარიცხული დივიდენდების მოცულობაც ადასტურებს. შარშან, წლის ბოლომდე "ელექტროკავშირმა" 2 მილიონი ლარი გადარიცხა, მაშინ, როცა წლის დასაწყისში მას გეგმა ამ ნაწილში მხოლოდ 500 ათასი ლარით ჰქონდა განსაზღვრული.

გასულ წელს საწარმოს მთლიანი შემოსავლები ბევრად მეტი იყო, ვიდრე მობილური კავშირგაბმულობის კომპანიების, "მაგთისა" და "ჯეოსელის". მთლიანად სატელეკომუნიკაციო ბაზრის შემოსავლების 35 პროცენტი "საქართველოს გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიაზე მოდიოდა."

2000 წლიდან მოყოლებული, "ელექტროკავშირის" შემოსავლები თითქმის გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. ასე მაგალითად: 2000 წელს - 200 მილიონი ლარი, 2003 - 400 მილიონი, ხოლო 2005 წელს - 600 მილიონი ლარი იყო.

ცოტა ხნის წინათ საწარმოში განაცხადეს, რომ "ელექტროკავშირი", სულ ცოტა, 20 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციას საჭიროებს. რამდენიმე კვირის წინ საწარმოს ხელმძღვანელების მხრიდან ისიც ითქვა, რომ ამ დროისთვის "ელექტროკავშირის" დაახლოებით 40 პროცენტი გადაიარაღებულია.

გასული წლის მონაცემებით, ფიქსირებულ სატელეკომუნიკაციო ბაზარზე "ელექტროკავშირის" მომხმარებელთა რაოდენობა მომხმარებელთა მთლიანი რაოდენობის 72 პროცენტს აღწევდა, 24 პროცენტი - "ახალ ქსელებზე", ხოლო 4 პროცენტი - დანარჩენ კომპანიებზე მოდიოდა.

საწარმოში თანამშრომელთა რაოდენობა წლიდან წლამდე მცირდება. გასული წლის სექტემბრის მონაცემებით, "ელექტროკავშირს" 5 ათასამდე პერსონალი ჰყავდა, რომელთა საშუალო ანაზღაურება რეგიონებში 60 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარებში, ხოლო თბილისში 150 დოლარს აღწევდა.

ამ საწარმოს შესახებ კიდევ ის არის ცნობილი, რომ მიმდინარეობს მისთვის შპს "საქართველოს რკინიგზის" კუთვნილი ოთხი წყვილი ბოჭკოვანი კაბელის გადაცემის პროცესი.

"ელექტროკავშირის" გენერალური დირექტორი ნანა ადეიშვილი ამჟამად ქვეყანაში არ იმყოფება და მისივე მითითებით საწარმოს არც ერთი თანამშრომელი საწარმოს პრივატიზაციასთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს.

### საინტერესო დეტალები "ელექტროკავშირის" წარსულიდან....

გასული წლის მიწურულს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტმა კონტროლის პალატას "ელექტროკავშირის" შემოწმება მოსთხოვა. კომიტეტის თავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილი მაშინ აცხადებდა, რომ "ელექტროკავშირმა" ძველი ხელმძღვანელობის დროს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონი დაარღვია და 50 მილიონი ლარის ოდენობის შესყიდვა კანონდარღვევით განახორციელა. იმ პერიოდში საწარმოს თურქულ-ებრაული და ჩინური კომპანიები უჩიოდნენ, რომლებსაც შესყიდვების აღნიშნულ პროცესში მონაწილეობის უფლება არ მიეცათ. **"კომიტეტმა "ელექტროკავშირს" მისცა რეკომენდაცია, ჩაეტარებინა ღია ტენდერი და გამოევლინა კომპანია, რომელიც აღნიშნულ თანხას დახარჯავდა. თუმცა მაშინ, როდესაც სსში ძველი ხელმძღვანელობა ახლით იცვლებოდა, ჯერჯერობით გაურკვეველ კომპანიასთან ხელშეკრულება მაინც გაფორმდა,"** - აცხადებდა ნიკო ლეკიშვილი. მისმა კომიტეტმა კონტროლის პალატას სწორედ ამ ხელშეკრულების გაფორმების კანონიერების შემოწმება სთხოვა.

როგორც "24 საათს" კონტროლის პალატიდან აცნობეს, "ელექტროკავშირის" შემოწმების პროცესი ამ ეტაპზე შეჩერებულია.

გასული წლის ზაფხულში "ელექტროკავშირის" თელაველი აბონენტები ახალ ციფრულ სადგურზე გადართვისათვის გადასახდელი 50-ლარიანი ტარიფისაგან გათავისუფლებას ითხოვდნენ და კომპანიას ტარიფის უკანონოდ, მოტყუებით, უსამართლოდ დარიცხვასა და ახალ ქსელებზე იძულებით გადართვაში ადანაშაულებდნენ.

თელაველთა ეს პრეტენზიები კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამაც შეისწავლა და შესაბამისი დასკვნაც მოამზადა. საბოლოო დასკვნა კი ასეთი იყო - 50 ლარი გადაჭარბებული და ხელოვნურად გაბერილია. აბონენტების გადართვა ახალ ციფრულ სადგურზე მათი ინფორმირების გარეშე და, ნაწილობრივ, იძულების წესით მოხდა.

მაშინ "ელექტროკავშირის" ხელმძღვანელობამ აღიარა, რომ შესაძლოა, აბონენტების ინფორმირებისას კომპანიამ მართლაც დაუშვა შეცდომა, თუმცა "ელექტროკავშირის" დირექტორმა მერაბ კაპანაძემ განაცხადა, რომ კომპანია კანონის ფარგლებში მოქმედებს და 50-ლარიანი ტარიფის განსაზღვრა კანონმდებლობის ფარგლებში მოხდა.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი პრობლემები "ელექტროკავშირს" გორის, ხაშურისა და სენაკის აბონენტებთან ჰქონდა, რამაც კომპანიას, ხელმძღვანელების განმარტებით, 10 ათასობით დოლარზე მეტი ზარალი მიაყენა.

## ქართული ღვინის რუსეთში იმპორტის აკრძალვამ შესაძლოა მშპ-ს მოცულობა შეამციროს

ქართული ღვინის საქართველოდან რუსეთში იმპორტის აკრძალვამ, შესაძლოა, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის 0,3 ან 1 პროცენტით შემცირება გამოიწვიოს. ეს გათვლები საქართველოს მთავრობის დაკვეთით საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებმა გააკეთეს. როგორც მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, თუ უახლოეს მომავალში არ გამოსწორდა რუსეთში ქართულ ღვინისთან დაკავშირებით ვითარება, საქართველოს ეკონომიკას გარკვეული დანაკარგები ექნება. **"თუმცა ამ პრობლემას გადავლახავთ და დანაკარგებს შევავსებთ. ამისი შესაბამისი გეგმა უკვე მომზადებულიც არის. საქართველო წლევანდელ წელს კარგი მაკროეკონომიკური მონაცემებით დაასრულებს,"** - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. ფინანსთა მინისტრის ალექსი ალექსიშვილის განცხადებით, ექსპორტის შემცირება ქვეყნის შემოსავლების შემცირებაზე პირდაპირ რეაგირებას არ ახდენს, მხოლოდ კონკრეტული სექტორის შემოსავლებზე მოქმედებს. **"ამიტომ ეს 0,3 პროცენტი დიდი მაჩვენებელი არ არის და ამის დაძლევა შესაძლებელია,"** - განაცხადა ალექსიშვილმა. **ინტერპრესნიუსი**

## სავალუტო ფონდი საქართველოს ეკონომიკის ზარალს ითვლის

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გამოაქვეყნა ანგარიში იმ ზარალის, რომელიც საქართველოს რუსეთში ღვინის ექსპორტის აკრძალვით მიადგება. "ცუდი სცენარით, ერთ კვირაში მთლიანი შიდა პროდუქტი 1 პროცენტი იქნება, ხოლო საშუალო სცენარით - 0, 3 პროცენტი," - განაცხადა საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ლექსი ალექსიშვილმა მთავრობის სხდომაზე. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველოში გაზისა და ნავთობის სახელმწიფო კორპორაცია დაფუძნდა

საქართველოში დაფუძნდა გაზისა და ნავთობის სახელმწიფო კორპორაცია, რომლის შემადგენლობაშიც ასი პროცენტით სახელმწიფო კაპიტალზე მყოფი კომპანიები გაერთიანდნენ. ეს კომპანიებია: "საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია", "საქართველოს საერთაშორისო გაზის კორპორაცია" და "საქნავთობი". კორპორაციის სამეთვალყურეო საბჭოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი უხელმძღვანელებს, კომპანიის გენერალური დირექტორი კი "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის" პრეზიდენტი დავით ინგოროყვა გახდა. ჰოლდინგის საწესდებო კაპიტალი 101 მილიონი ლარით განისაზღვრა. ჰოლდინგის წევრი კომპანიების აქციონერები 20 აპრილს შეიკრიბებიან და ჰოლდინგის რეორგანიზაციაზე იმსჯელებენ. კომპანიათა გაერთიანების პროცესი მაისში დასრულდება. ენერგოსექტორში უმსხვილესი სახელმწიფო სტრუქტურის შექმნას საქართველოს ხელისუფლება ჯერ კიდევ მარტში გეგმავდა. კორპორაციის მიზანი ნავთობისა და გაზის მოპოვება, მისი ტრანსპორტირება, სადენების მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების განხორციელება იქნება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საერთაშორისო სატელეფონო კოდის მისაღებად აუქციონი გამოცხადდა

საერთაშორისო სატელეფონო კოდის, "ციფრების სამნიშნა კომბინაციის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის" ლიცენზიის მისაღებად აუქციონი გამოცხადდა. როგორც "ინტერპრესნიუსს" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში განუცხადეს, აუქციონში გამარჯვებულ ნუმერაციის რესურსის აირჩევს შემდეგი ციფრების სამნიშნა კომბინაციის ნუმერაციის რესურსიდან: 8-61, 8-52, 8-54; სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა 15 000 ლარით განისაზღვრა; ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება მიმდინარე წლის 17 მაისის 17:00 საათამდე გაგრძელდება; აუქციონი 2 ივნისს გაიმართება. **ინტერპრესნიუსი**

### აშშ-ს გარემოს დაცვის სააგენტო BP-ს წინააღმდეგ ძიებას აწარმოებს

აშშ-ს გარემოს დაცვის სააგენტო მსოფლიოს უმსხვილესი ნავთობკომპანიის BP-ს წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივ ძიებას აწარმოებს. როგორც "The Wall Street Journal" იუწყება, ამერიკის სახელმწიფო უწყება კომპანიას აშშ-ს ტერიტორიაზე საწარმოებსა და მილსადენებზე არაერთი მასშტაბური ავარიის გამო უჩივის. ავარიებს ადამიანთა მსხვერპლი და გარემოს სერიოზული დაბინძურება მოჰყვა. უკანასკნელად ყველაზე მასშტაბური ავარია მარტში, ალიასკაში მდებარე საბადოზე მოხდა, სადაც ნავთობსადენის დაზიანების შედეგად 267 ათასამდე გალონი ნავთობი დაიღვარა. ამ საბადოზე ასეთი მასშტაბის დაღვრა არასოდეს დაფიქსირებულა. ალიასკის ოფიციალური წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ავარიის მიზეზი მილსადენის კოროზია გახდა. აშშ-ს ხელისუფლება აცხადებს, რომ BP-ს წინააღმდეგ სარჩელს შეიტანს და კომპანიას გამწმენდი სამუშაოების ჩასატარებლად 2 მილიონი აშშ დოლარის გადახდას დააკისრებს. გასულ წელს კომპანიის კუთვნილ ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში აფეთქება მოხდა, რასაც 15 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. შრომის დაცვის უწყებამ ამ შემთხვევის გამო უსაფრთხოების წესების დაუცველობისთვის BP 21,3 მილიონი დოლარით დააჯარიმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### საქართველო ჩინური ტექნოლოგიებით ინტერესდება

საქართველო დაინტერესებულია სოფლის მეურნეობის სფეროში ჩინური მანქანა-დანადგარებისა და ტექნოლოგიების იმპორტით. ამის შესახებ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ოთხშაბათს პეკინში გამართულ ქართულ-ჩინურ ეკონომიკურ ფორუმზე განაცხადა. მისი თქმით, საქართველოს განზრახული აქვს პრივატიზაციის შედეგად მიღებული სახსრები სოფლის მეურნეობის სფეროში მიმართოს. როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, საქართველო დაინტერესებულია ჩინეთიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, მათ შორის, ჩაის გადამამუშავებელი დანადგარების იმპორტით, ასევე ლიზინგის სქემის შექმნით, რომელიც ხელს შეუწყობს ამ მიმართულების განვითარებას.

"ამ წელს ჩვენ მივიღებთ მეტ შემოსავალს პრივატიზაციიდან, ვიდრე დაგეგმილი გვქონდა. და ამ სახსრებს სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებას მოვახმართ. ჩვენ რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოვახდინოთ ამ სფეროს რეაბილიტაცია, რათა ის კონკურენტუნარიანი გახდეს შიდა ბაზარზე," - თქვა პრეზიდენტმა.

სააკაშვილის ინფორმაციით, დღეისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია საქართველოში 10-15 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე მსგავს ქვეყნებში და ამის მიზეზი, მისი აზრით, ახალი ტექნოლოგიების უკმარისობაა. **პრაიმ-ნიუსი**

### ბათუმის პორტის კონკურსში გამარჯვებული მაისში გახდება ცნობილი

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის" მართვის უფლებით მიღების მსურველთა განაცხადების მიღება გუშინ დაიწყო. როგორც პრაიმნიუს ბიზნესს სამინისტროდან აცნობეს, ნავსადგურის 49-წლიანი მართვის უფლებით გადაცემა კონკურსის წესით მოხდება და საიჯარო ქირის საწყისი ღირებულება 35 მლნ აშშ დოლარია. სამინისტროს ინფორმაციით, სახელმწიფო შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის" 100-პროცენტიანი წილის მფლობელია. ნავსადგურის საწესდებო კაპიტალი 20 564 780 ლარია, დებიტორული დავალიანება - 4 790 010 ლარი, კრედიტორული დავალიანება - 33 649 ლარი. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადებს სამინისტრო 12 მაისამდე, კონკურსის ჩატარების დღემდე მიიღებს. როგორც სამინისტროში აცხადებენ, კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებს, ან მოქალაქეთა გაერთიანებებს, საქართველოს და საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს. საკონკურსო პირობების მიხედვით, მომავალმა მოიჯარემ მთლიანი საიჯარო თანხა 3 თვეში უნდა დაფაროს და პორტმა ყოველწლიურად არანაკლებ 6 მლნ ტონის ოდენობის ტვირთები უნდა გადაზიდოს. სამინისტროს ინფორმაციით, მომავალ მოიჯარეს ასევე დაევალება, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 თვეში სახელმწიფოს დამატებით გადაუხადოს ნავსადგურის სალაროში და საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხის ტოლფასი თანხა. **პრაიმ-ნიუსი**

# "ჯენერალ მოტორსი" აღორძინებას იწყებს

მერაბ ლორთქიფანიძე



ჯენერალ მოტორსის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი აღმასრულებელი რიკ ვაგონერი

"ჯენერალ მოტორსის" დირექტორთა საბჭოსთან წარმოებული ხანგრძლივი და დაძაბული მოლაპარაკების შემდეგ, მსოფლიოს უდიდესი ავტომწარმოებლის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ და მთავარმა აღმასრულებელმა რიკ ვაგონერმა განაცხადა, რომ საბჭომ "გენერლების" აღორძინების პროექტს მწვანე შუქი აუნთო.

დირექტორთა საბჭოსგან რეფორმების დაწყების ნებართვის მიღებისთანავე, ვაგონერმა პირველ რიგში, პრესასთან ინტენსიურ ურთიერთობებს დაუთმო ყურადღება - ზედიზედ მისცა ინტერვიუები ჟურნალებს, "ნისუიკს" და "უოლ სტრიტ ჯორნელს", გაზეთ "დეტროიტ ნიუსს", სააგენტო "დეტროტ ფრი პრესსა" და ჟურნალ "ოტომოტივ ნიუსს".

"ჯენერალ მოტორსის" აღორძინების პროცესი დაწყებულია", - ასე იწყებდა ყველა ინტერვიუს ვაგონერი და იქვე დასძენდა, რომ ავტოგიგანტის სწრაფი აღორძნების იმედი არავის უნდა ჰქონდეს. ამასთან, ის ვარაუდობს, რომ წელს "გენერლების" მიერ წარმოებული ავტომობილების გაყიდვები ან შარშანდელ დონეზე შენარჩუნდება, ან ოდნავ გაიზრდება. ესე იგი, თუ ასე მოხდა, ამერიკული გიგანტი კვლავაც შეინარჩუნებს მსოფლიოს ლიდერის პოზიციას, რომელსაც უკვე ეცილება იაპონური "ტოიოტა".

ვაგონერის სამოქმედო გეგმის ორი მთავარი მიმართულებაა გაყიდვების დროს ფასდაკლების შემცირება და გაყიდვების მოცულობის თანდათანობითი ზრდა. გარდა ამისა, ვაგონერის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იქნება აშშ-ის ავტობაზარზე ახლანდელი წილის შენარჩუნება და მომავალში მის გაზრდაზე ზრუნვა. თუმცა, ეს ძალიან ძნელი იქნება.

ცნობისათვის, ამ წლის პირველი სამი თვის განმავლობაში კომპანიის წილი აშშ-ის ბაზარზე მხოლოდ 23.9 პროცენტი იყო. ეს მაშინ, როცა შარშანდელი მონაცემებით, ის იმავე ბაზრის 26.0 პროცენტს აკონტროლებდა (ორივე შემთხვევაში, არაა გათვალისწინებული კონცერნის კუთვნილებაში მყოფი შვედური კომპანია "სააბის" გაყიდვების მონაცემები).

ვაგონერის თქმით, "ჯენერალ მოტორსის" ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა არის გაკოტრების პირას მყოფი კორპორაცია "დელფის" გადარჩენა. ეს კორპორაცია, რომელიც "გენერლების" მთავარი პარტნიორია მაკომპლექტებელი ნაწილების წარმოების საქმეში, უმძიმეს კრიზისშია ჩავარდნილი. "დელფის" ურთულესი მოლაპარაკებები აქვს დარგის პროფკავშირებთან. მოლაპარაკების თემა თანამშრომლებისთვის ხელფასების და სადაზღვევო პოლისების შემცირებაა.

ვაგონერი ამბობს, რომ თუ "დელფის" საწარმოები გაჩერდა, მაშინ "ჯენერალ მოტორსის" ქარხნები მხოლოდ ორი-სამი კვირა თუ შეძლებენ მუშაობას. ეს კი კრახით ემუქრება მსოფლიოს ლიდერს. ამიტომ, ვაგონერი იმაზეც კი ფიქრობს, რომ "დელფის" სუბსიდიები გამოუყოს. მაგრამ იმავდროულად, მან გამორიცხა ამ კორპორაციის კუთვნილი ქარხნების გამოსყიდვის შესაძლებლობა, როგორც ეს ცოტა ხნის წინ გააკეთა "ფორდმა", როცა გაკოტრებული კორპორაცია "ვისტეონის" ქარხნები შეიძინა. უფრო მეტიც, ვაგონერი არც "დელფის" მაკომპლექტებლებში გაზრდილი საფასურის გადახდას აპირებს.

"ჯენერალ მოტორსის" აღორძნების გზაზე განსახორციელებელ ქმედებათა შორის ვაგონერი შემდეგ ძირითად პუნქტებს გამოყოფს:

- თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევაზე გაწეული ხარჯები ყოველწლიურად დაახლოებით მილიარდი დოლარით უნდა შემცირდეს. სანაცვლოდ, ქარხნების თანამშრომლებს გაეზრდებათ ხელფასები;
- სამუშაო ადგილების რაოდენობა 30 000 ერთეულით უნდა შემცირდეს;
- სულ დასახურია 12 ქარხანა, რომელთაგან 4 ავტომობილების ამწყობია;
- ბაზარზე უნდა გამოვიდეს დიდგაბარიტიანი უგზოობის ავტომობილების რამდენიმე მოდელი;
- უნდა გაიყიდოს "ჯენერალ მოტორსის" კუთვნილი საფინანსო კორპორაცია "ჯენერალ მოტორს ექსეპტანს კორპორეიშნის" (GMAC) აქციების 51 პროცენტი, რაშიც "გენერლები" 14 მილიარდ დოლარს მიიღებენ.

## GMAC-ის გაყიდვა

თავისი საფინანსო შტოს გაყიდვით "ჯენერალ მოტორსი" რამდენიმე, მათ შორის, "დელფის" პრობლემას მოაგვარებს, რაც, ზოგიერთი მონაცემით, დაახლოებით 10 მილიარდი დოლარი დაჯდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მაკომპლექტებლების მიწოდების მხრივ, ავტოგიგანტს პრობლემები არ ექნება.

მეორეც, GMAC-ის აქციების მყიდველი, საინვესტიციო ჯგუფი "ცერბერუს კეპიტალ მენეჯმენტი" გარანტიას იძლევა, რომ გააგრძელებს "გენერლებთან" პარტნიორობას და GMAC-ს დამატებით ფინანსურ "გადასხმებს" ჩაუტარებს. თუმცა, ფაქტია, რომ GMAC-ის ნაწილის გაყიდვით, "ჯენერალ მოტორსი" კონტროლს კარგავს მისი ფინანსური გარანტიის განმაპირობებელ ერთ-ერთ მთავარ შტოზე.

GMAC-ის გაყიდვით მიღებული 14 მილიარდით "გენერლები" ნაწილობრივ შეავსებენ იმ დანაკლისს, რაც მათ ბიუჯეტში შარშან განცდილი 10.5 მილიარდდოლარიანი ზარალის შემდეგ დარჩა. გარდა ამისა, გაიზრდება GMAC-ის ფინანსური რეიტინგი, რაც ამ კორპორაციაში მეტი თანხების მოზიდვის გარანტია იქნება. შესაბამისად, ამით "ჯენერალ მოტორსიც" ისარგებლებს, რომელსაც GMAC-ის აქციების 49 პროცენტი რჩება.

სხვათა შორის, "ცერბერუსის" ჯგუფში შედის ისეთი ავტორიტეტული საფინანსო-საინვესტიციო ჯგუფი, როგორიცაა "სიტგრუპი" და იპონური ბანკი "აოძორა ბენკი".

ვაგონერი GMAC-ის აქციების გაყიდვას მთავარ როლს ანიჭებს თავისი კორპორაციის აღორძნების საქმეში. ის ირწმუნება, რომ ამ ოპერაციით ის "ჯენერალ მოტორსის" ლიკვიდურობის დონეს აამაღლებს, რადგან ამიერიდან GMAC-ის საქმიანობის გაფართოებით მძლავრი ფინანსური ჯგუფებიც არიან დაინტერესებულნი.

აღნიშნულ 14 მილიარდ დოლარს "გენერლები" სამი წლის განმავლობაში მიიღებენ. ამასთან, მათ ხელში დარჩება GMAC-ის ის შტო, რომლის საქმიანობასაც ავტომობილების გაქირავებისა და საცალო გაყიდვების ორგანიზება შედის. გარდა ამისა, "ჯენერალ მოტორსი" უახლოეს ათ წელიწადში ამ აქციების გამოსყდვის უფლებას იტოვებს. თანაც, გამოსყიდვა მოხდება იმავე პირობებით, რომლითაც "ცერბერუსმა" GMAC-ის აქციები შეიძინა. რა თქმა უნდა, გათვალისწინებულ იქნება ის ინვესტიციები, რომლებსაც მხარეები ამ პერიოდში განახორციელებენ.

ამიერიდან, GMAC-ის დრექტორთა საბჭოში ექვს ადგილს "ცერბერუსი" დაიკავებს, ოთხს "ჯენერალ მოტორსი", დანარჩენ სამ ადგილს კი სხვა აქციონერთა წევრები დაიკავებენ.

## "ჯენერალ მოტორსი" "ისუძუს" ჰყიდის

11 აპრილს "ჯენერალ მოტორსმა" გამოაცხადა, რომ 300 მილიონ დოლარად ჰყიდის მის ხელთ არსებულ, იაპონურ კომპანია "ისუძუს" აქციების 7.9 პროცენტს, რათა მიღებული თანხით გამოასწოროს თავისი მძიმე ფინანსური მდგომარეობა. ამით, ფაქტობრივად, მთავრდება თანამშრომლობა ორ ავტოკომპანიას შორის, რაც თითქმის 35 წელი გრძელდებოდა.

უნდა ითქვას, რომ "გენერლების" მიერ "ისუძუს" აქციების გაყიდვას ბევრი ანალიტიკოსი ელოდა. ეს მოლოდინი განსაკუთრებით მას შემდეგ გაძლიერდა, რაც "ჯენერალ მოტორსმა" გაყიდა მის კუთვნილებაში მყოფი კიდევ ორი კომპანიის, "სუბარუსა" (კორპორაცია "ფუძ ჰევი ინდასტრიზის" ნაწილია) და "სუძუკის" აქციები.

"ისუძუს" აქციების 7.9 პროცენტიდან 3.5 პროცენტს შეიძენს "მიცუბიში კორპორეიშნი", 3.5 პროცენტს - იაპონური სამრეწველო გიგანტი "იტოჩუ კორპორეიშნი", დანარჩენ 0.9 პროცენტს კი - იაპონურ ფინანსურ ჯგუფ "მიძუჰოს" კორპორატიული ბანკი.

აღსანიშნავია, რომ "ისუძუს" თითო აქციაში "ჯენერალ მოტორსი" 397 იენს აიღებს. ეს მაშინ, როცა აქციების გაყიდვის გამოცხადების მომენტში, თითო აქციის ფასი 440 იენს შეადგენდა. ხელშეკრულება გაფორმდა ბოლო ერთი თვის განმავლობაში დაფიქსირებული ფასების საშუალო მონაცემების მიხედვით.

აქციების გაყიდვის მიუხედავად, "ჯენერალ მოტორსი" აცხადებს, რომ გააგრძელებს თანამშრომლობას იაპონურ კომპანიასთან. კერძოდ, სწორედ "ისუძუსთან" ერთად იგეგმება ექსპანსია განვითარებად ქვეყნებში.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ "მიცუბში კორპორეიშნისა" და "იტოჩუსთვის" აქციების მიყიდვა თავად "ისუძუს" სურვილით მოხდა. ეს გასაგებია - "მიცუბიში" "ისუძუს" სატვირთო ავტომობილებს ტაილანდში ჰყიდის, "იტოჩუ" კი - ჩრდილოეთ ამერიკაში. გარდა ამისა, ეს ორი სამრეწველო გიგანტი "ისუძუს" აქციების პაკეტსაც ფლობს.

გაყიდვის ოპერაციის დასრულების შემდეგ, "მიცუბიშისა" და "მიძუჰოს" ხელში თავს მოიყრს "ისუძუს" აქციების 3.7-3.7 პროენტი, "იტოჩუს" წილი კი 4.2 პროცენტამდე გაიზრდება.

თუმცა, ყოველივეს მიუხედავად, ანალიტიკოსები ირწმუნებიან, რომ "ისუძუს" აუცილებლად დასჭირდება ახალი სტრატეგიული პარტნიორის მონახვა. უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ორ იაპონურ კომპანიას, რომლებიც სატვირთო ავტომობილების წარმოებაზე არიან სპეციალიზებულნი, უკვე ჰყავს სოლიდური პარტნიორი.

"ნისან დიზელმა" ცოტა ხნის წინ, პარტნიორული კონტრაქტი გააფორმა შვედურ სატვირთო ავტომობილების მწარმოებელ "ვოლვოსთან" (ამ კომპანიის მსუბუქი ავტომობლების მწარმოებელ დივიზიონს "ფორდი" აკონტროლებს). "ჰინო მოტორზმა" კი, რომელიც "ისუძუს" 1942 წელს გამოეყო, ახლა კი მის აქციებს "ტოიოტა მოტორზის" ჯგუფი აკონტროლებს, ალიანსი შექმნა კიდევ ერთ შვედურ კომპანია "სკანიასთან". გარდა ამისა, სათვალავში აღარავინ ღებულობს კომპანია "მიცუბში ფუსო ტრაკ ენდ ბას კორპორეიშნს", რომელიც უკვე დიდი ხანია, სატვირთო ავტომობილების მწარმოებელი მსოფლიო ლიდერის, "დაიმლერკრაისლერის" ხელშია.

### "ოპეკის კალათის" ფასმა ახალი რეკორდი მოხსნა

"ოპეკის კალათის" ფასი ახალ მაქსიმალურ მაჩვენებლამდე - 1 ბარელი ნავთობისათვის 63,61 დოლარამდე გაიზარდა. აპრილში, ეს უკვე მეოთხე აბსოლუტური რეკორდი გახლავთ - 3 აპრილს 1 ბარელი ნავთობისათვის დაფიქსირებული ფასი 61,82 დოლარი; 6 აპრილს 62,13 დოლარი და 10 აპრილს 62,65 დოლარი.

გუშინ Brent-ის მარკის 1 ბარელი ნავთობის ღირებულებამ 69,37 დოლარი შეადგინა, რაც სარეკორდო მაჩვენებელია და 10 აპრილს დაფიქსირებულ მაქსიმალურ ფასს 0,62 დოლარით აღემატება. Light Sweet-ის მარკის 1 ბარელი ნავთობის გუშინდელი ფასი 69,81 დოლარი გახლავთ, რაც 2005 წლის 30 აგვისტოს დაფიქსირებულ სარეკორდო ღირებულებას 0,89 დოლარით ჩამოუვარდება.

ნავთობის ფასის გუშინდელი ზრდა ირანსა და ნიგერიაში არსებული არასტაბილური სიტუაციის გარდა განაპირობა გავრცელებულმა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ აშშ-ს ბენზინის მარაგი მარტში 13 მილიონი ბარელით შემცირდა და ანალიტიკოსთა ვარაუდით, აპრილში კიდევ, სულ მცირე, 8 მილიონი ბარელით შემცირდება.

### ამერიკული საფონდო ინდექსები კვლავ შემცირდა










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე კვლავ ძირითად ინდექსთა კლება დაფიქსირდა, რაც ნავთობის ფასის კატასტროფული მომატების გარდა ინფლაციის მოსალოდნელმა ზრდამაც განაპირობა. პროცესის გასაკონტროლებლად, ანალიტიკოსთა ვარაუდით, აშშ-ს ფედერალური სარეზერვო ფონდი იძულებული იქნება საპროცენტო განაკვეთები კვლავ გაზარდოს. გარდა ამისა, ინვესტორთა განწყობაზე გავლენა მოახდინა აშშ-ს ვაჭრობის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულმა ქვეყნის სავაჭრო ბალანსის თებერვლის მონაცემებმა, რომელმაც 68,5 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც 1 მილიარდით ნაკლებია, ვიდრე იანვრის მონაცემები.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,46 პროცენტით, 11.089,63 პუნქტამდე შემცირდა, Nasdaq Index-მა კი 0,98 პროცენტით დაიკლო და 2.310,35 პუნქტი შეადგინა. ხოლო S&P500 Index 0,77 პროცენტით შემცირდა და 1.286,57 პუნქტი შეადგინა.

### Nasdaq ოპერატორმა ლონდონის ბირჟის 15 პროცენტი იყიდა

ამერიკულმა საბირჟო ოპერატორმა Nasdaq Stock Market Inc-მა ლონდონის ბირჟის London Stock Exchange (LSE)-ის აქციების 14,99 პროცენტი შეიძინა. ამერიკულმა მხარემ თითოეულ აქციაში 11,85 ფუნტი სტერლინგი (20,73 დოლარი) გადაიხადა, სულ კი გუშინდელი გარიგების ღირებულებამ 781,7 მილიონი დოლარი შეადგინა და Nasdaq LSE-ს უმსხვილესი აქციონერი გახდა.

10 მარტს LSE-ს ხელმძღვანელობამ Nasdaq-ის წინადადება ბირჟის აქციების 100 პროცენტის შეძენის და ერთ აქციაში 9,5 ფუნტი სტერლინგის (16,62 დოლარის) გადახდის შესახებ უარყო. იმ შესაძლო გარიგების ღირებულება 4,2 მილიარდი დოლარი გახლდათ. 11 აპრილის ვაჭრობის შემდეგ Nasdaq-ის აქციები 3,5 პროცენტით LSE-ს კი 1 პროცენტით გაძვირდა.

Nasdaq-ის წარმომადგენელთა განცხადებით, ისინი არ აპირებენ ბირჟასთან სრულად გაერთიანების იდეაზე უარის თქმას და განმეორებითი წინადადებით მომავალშიც მიმართავენ. თანაც, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ LSE ამერიკულ საბირჟო ოპერატორს თავის აქტივებს ბოლოს მაინც მიყიდის.

1773 წელს დაარსებული LSE მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი საფონდო ბირჟაა. აქ განლაგებულია 3 ათას კომპანიაზე მეტი, რომელთა საერთო საბაზრო კაპიტალიზაცია 4,1 ტრილიონ ფუნტ სტერლინგს შეადგენს. მაღალტექნოლოგიური კომპანიების აქციებით ვაჭრობაზე ორიენტირებული, სიდიდით ამერიკის მეორე საბირჟო ოპერატორი Nasdaq კი 1971 წლიდან მუშაობს და მისი საბაზრო კაპიტალიზაცია 3,6 ტრილიონ დოლარს შეადგენს.

### ჩინეთი 80 Boeing 737-ს ყიდულობს

Boeing Co-ს წარმომადგენლის განცხადებით, ჩინეთი Boeing 737-ის ტიპის 80 თვითმფრინავს შეიძენს. მისი თქმით, გარიგების მინიმალური ღირებულება 4,6 მილიარდი დოლარია, თუმცა, საბოლოო მყიდველებთან - ჩინურ ავიაკომპანიებთან მოლაპარაკებების პროცესში იგი შეიძლება ცოტათი შემცირდეს.

ჩინეთმა Boeing Co-სთან 70 თვითმფრინავის შეძენის შესახებ 2005 წლის ნოემბერში კონტრაქტი გააფორმა. გარდა ამისა, გასული წლის ბოლოს ჩინეთმა Boeing Co-ს მთავარ კონკურენტის, ევროპული ავიამშენი კონცერნის Airbus SAS-ისაგან 9 მილიარდ დოლარად 150 თვითმფრინავი შეიძინა.

საერთოდ, 2006-დან 2010 წლამდე პერიოდში, ჩინეთი ყოველწლიურად 100 ახალი თვითმფრინავის ყიდვას აპირებს. ეს ქვეყანა მაღალი ტემპით ვითარდება და მსოფლიოს წამყვანი ავიამშენებლებისათვის კარგ ბაზარს წარმოადგენს. Boeing Co-ს წარმომადგენელთა თქმით, კომპანია ჩინეთისათვის 2600 თვითმფრინავის 213 მილიარდ დოლარად მიყიდვას აპირებს.



# რითი დადიან მსოფლიოს უმდიდრესი ბიზნესმენები?

ამერიკული ჟურნალის "Forbes"-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგად დადგინდა, რომ მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანების უმეტესობა უპირეტესობას "Rolls-royce"-ის მარკის ავტომობილებს ანიჭებს, ნაწილი კი, ძველი მოდელის იშვიათი ავტომობილებით მოძრაობს. მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ადამიანს, ბილ გეიტსს, დღეს "Porsche"-ს მარკის ორი ავტომობილი ყავს - "Porsche"- კაბრიოლეტი და "Porsche 959".`ეს უკანასკნელი კი მისთვის ყველაზე საყვარელი ავტომობილია.

კიდევ ერთ მილიარდერს უორენ ბაფეტს, რომლის საინვესტიციო და საბირჟო შემოსავალიც 48 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს, "Lincoln Towncar"-ის 2001 წლის მოდელი ემსახურება. მილიარდერი სულაც არ ფიქრობს ავტომობილის შეცვლას, რადგან მიაჩნია, რომ მისი მანქანა საუკეთესო მდგომარეობაშია და კიდევ დიდხანს იმუშავებს.

"Forbes"-ის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში მეხუთე ადგილზე არაბეთის პრინცი მოხვდა, რომელსაც ძვირადღირებულ ავტომობილებზე უარის თქმა ყველაზე მეტად უჭირს. მის ავტოფარეხში ისეთ ავტომობილებს ნახავთ, როგორიცაა "Rolls-royce", "Hummer h1", Bentley GT Continental", "Daewood Matiz" და სხვები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პოტენციური მკვლელების დაბნევის მიზნით, არაბეთის პრინცი დაცვის თანამშრომლებისთვისაც იმ მარკის ავტომობილებს ყიდულობს, რაც თვითონ ჰყავს.

მექვსე ადგილზეა კომპანია "ikea"-ს დმფუძნებელი შვედი ბიზნესმენი ინგვარ კამპარდი. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, მას 1993 წლის "Volvo 240 Gl"-ის მარკის ავტომობილი ყავს. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანი ძვირადღირებული ავტომობილებისადმი დიდი ინტერესით არ გამოირჩევა. ძალინ ხშირად ის საზოგადოებრივი ტრანსპორტითაც მგზავრობს.



მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანის საყვარელი ავტომობილი.

## ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი გაიზრდება

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 162 მილიონი ლარით გაიზრდება, - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა. მისი თქმით, შემოსავლების მოცულობა მკვეთრად გაიზარდა, მათ შორის, საგადასახადო შემოსავლები - 48 მილიონ 150 ათასი ლარით, ხოლო არასაგადასახადო შემოსავლები - 41,5 მილიონი ლარით. შესაბამისად, ცვლილებები განიცადა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითმა ნაწილმაც და მისმა მოცულობამ 162 მილიონი ლარით მოიმატა. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, 72 მილიონი ლარი 2005 წლის საბიუჯეტო დეფიციტის დაფარვას მოხმარდება. აქედან, ჯანდაცვის სამინისტრო 20 მილიონი ლარით, საგზაო დეპარტამენტი თბილისის ქუჩების რეაბილიტაციისთვის 17 მილიონ 300 ათასი ლარით, ენერგეტიკის სამინისტრო 46 მილიონ 200 ათასი ლარით, იუსტიციის სამინისტრო გლდანის ახალი საპყრობილის მშენებლობისთვის 25 მილიონი ლარით, კულტურის სამინისტრო 3,8 მილიონი ლარით, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტრო შიდა შესყიდვებისთვისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის 20 მილონი ლარით დაფინანსდება. ნოღაიდელის თქმით, მომავალ კვირას გაირკვევა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის გამოყოფილი თანხის მოცულობაც. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "მრეწველები" საბაჟო კოდექსში ცვლილებებს ეწინააღმდეგება

საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქციის რეიმპორტს ითვალისწინებს საბაჟო კოდექსში ცვლილებების პროექტი, რომელსაც საპარლამენტო ფრაქცია "მრეწველები" მხარს არ დაუჭერს. როგორც ფრაქციის ლიდერმა ზურაბ ტყემალაძემ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე ოთხშაბათს განაცხადა, შესაძლოა, ამ კეთილშობილური გადაწყვეტილებით არაკეთილსინდისიერმა მეწარმეებმა ისარგებლონ და რუსეთში გადატვირთული საქონელი, რეიმპორტის რეჟიმით უკან საქართველოში დააბრუნონ. ეს კი, ფაქტობრივად, კონტრაბანდის ხელშეწყობა იქნება. ტყემალაძეს რეიმპორტის რეჟიმში ღვინის, არყისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების მოქცევა და ამ რეჟიმის დსთ-ზე გავრცელება დაუშვებლად მიაჩნია, რადგან პრობლემა მხოლოდ რუსეთთან მიმართებაშია. ფინანსთა მინისტრის მოადგილის გიორგი გოდაბრელიძის განცხადებით, კონტრაბანდის საშიშროება არ არის, რადგან საკანონმდებლო ცვლილება მხოლოდ საქართველოდან 2006 წლის 1 აპრილამდე გატანილ ტვირთებს შეეხება. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის დავალებით ამ საკითხს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროები შეისწავლიან. **პრაიმ-ნიუსი**

## მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა საკანონმდებლო ჩარჩოებში მოექცევა

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა საკანონმდებლო ჩარჩოებში მოექცევა. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა გუშინ, პირველი მოსმენით განიხილა კანონპროექტი "მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ", რომელიც საქართველოში არსებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობას დაარეგულირებს. როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი კოვზანაძემ განაცხადა, ამჟამად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები არასამეწარმეო საქმიანობას ახორციელებენ, რადგან ისინი ფონდები არიან და მათ საქმიანობას კანონმდებლობა არ არეგულირებს. **"კანონის მიღების შემთხვევაში, ეროვნულ ბანკს ექნება ინფორმაცია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ, აგრეთვე, კანონის მიღებით დავიცავთ იმ მომხმარებელთა უფლებებს, რომლებიც მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მომსახურებით სარგებლობენ. აღნიშნული ორგანიზაციები ვალდებულები იქნებიან, საკუთარი საქმიანობა გამჭვირვალედ განახორციელონ და მომხმარებლის უფლებები დაიცვან,"** - განაცხადა კოვზანაძემ.

ფრაქცია "მრეწველების" თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძე შიშობს, რომ თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები სამეწარმეო საქმიანობას დაიწყებენ და მოგებაზე ორიენტიერებული გახდებიან, ისინი სესხებზე საპროცენტო განაკვეთებს გაზრდიან. ამიტომ, ტყემალაძე მთავრობას მოუწოდებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს გარკვეულ შემთხვევაში, არასამეწარმეო საქმიანობის უფლებაც მისცეს.

ახალი კანონის მიხედვით, იმისთვის, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ ეროვნული ბანკიდან საქმიანობისთვის საჭირო სერტიფიკატი მიიღოს, საწესდებო კაპიტალი მინიმუმ 250 ათასი ლარი უნდა ჰქონდეს. ორგანიზაციის მიერ გაცემული ერთი სესხის მოცულობა კი საწესდებო კაპიტალის 15 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს.

ამჟამად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს უფლება აქვთ, მაქსიმუმ 10 ათასი ლარის მოცულობის სესხი გასცენ. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემული სესხის ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი 2-3 პროცენტია. **ინტერპრესნიუსი**

## ამინდი

| | 13/04 | 14/04 | 15/04 |
|---|---|---|---|
| კიევი | 13 | 8 | 11 |
| რიგა | 10 | 8 | 5 |
| ვილნიუსი | 6 | 3 | 5 |
| მოსკოვი | 12 | 10 | 8 |
| მინსკი | 5 | 6 | 10 |
| პარიზი | 8 | 16 | 12 |
| რომი | 17 | 20 | 18 |
| ლონდონი | 7 | 13 | 13 |
| მადრიდი | 24 | 23 | 21 |
| ბონი | 6 | 13 | 13 |
| ვარშავა | 10 | 4 | 12 |
| ათენა | 18 | 21 | 19 |
| ბერნი | 13 | 23 | 15 |
| ამსტერდამი | 5 | 8 | 10 |
| ოსლო | -2 | 2 | 2 |
| ანკარა | 24 | 22 | 15 |
| ვარნა | 11 | 19 | 23 |
| დელი | 40 | 39 | 37 |
| ტოკიო | 18 | 12 | 18 |
| კოპენჰაგენი | 1 | 1 | 6 |
| ბაქო | 23 | 26 | 25 |
| ერევანი | 25 | 25 | 29 |
| ასტანა | 9 | 11 | 10 |
| ჰელსინკი | -2 | 0 | 1 |
| დუბლინი | 3 | 6 | 5 |
| ლისაბონი | 25 | 21 | 20 |
| პრაღა | 3 | 7 | 9 |
| სოფია | 10 | 11 | 20 |
| ბუდაპეშტი | 6 | 11 | 18 |
| ბუხარესტი | 13 | 16 | 20 |

# "კავკასიური იოგურტი" იაპონიაში

### "სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტისა" და "კიოდო მილკის" ერთობლივი პროდუქტი "კავკასიური იოგურტი" ერთი წელია, იაპონურ ბაზარზე დამკვიდრდა

სალომე ძაძამია

"სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტებისა" და "კიოდო მილკის" ერთობლივი პროდუქტი კავკასიური იოგურტი, უკვე ერთი წელია, რაც იაპონიის ბაზარზე დამკვიდრდა.

გასული წლის აპრილში იაპონიის სავაჭრო ქსელში გამოჩნდა ახალი პროდუქტი "კავკასიური იოგურტი" (სავაჭრო ნიშნით "მეიტო"), რომლის წარმოების ტექნოლოგია იაპონურმა რძის პროდუქტების მწარმოებელმა "კიოდო მილკმა" "სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტისგან" შეიძინა.

თანამშრომლობა დაახლოებით 5 წლის წინ დაიწყო. "კიოდო მილკის" სპეციალისტთა ჯგუფმა შეისწავლა ამიერკავკასიაში არსებული, რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანიები, მათი პროდუქცია და არჩევანი "სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტებზე" შეაჩერა. მათი განცხადებით, შერჩევის კრიტერიუმები გულისხმობდა პროდუქციის წარმოების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობასა და ასორტიმენტში იოგურტის მსგავსი მაღალი ხარისხის პროდუქტის (საქართველოს შემთხვევაში, მაწონი) არსებობას.

"სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები" აღნიშნულ მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებდა. საწარმოო პროცესების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა ასევე აღიარებულია სერტიფიცირების საერთაშორისო ორგანოს IQ NET-ის მიერ. კომპანია რძისა და რძის პროდუქტების პირველი მწარმოებელია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სამხრეთ კავკასიაშიც, რომელსაც ISO და HACCP-ის სერტიფიკატი მიენიჭა.



"სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტებისა" და "კიოდო მილკის" ერთობლივი პროდუქტის პრეზენტაციაზე.

"სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტებისა" და "კიოდო მილკის" წარმომადგენლების შეხვედრაზე მოხდა წარმატებული პროექტების შედეგების შეჯამება და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების გაგრძელება.

"სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტების" პრეზიდენტი კახა კავთუაშვილი აცხადებს, რომ "კიოდო მილკთან" წარმატებული თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ქართულ-იაპონური ურთიერთობის გაღრმავებას. "სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები" ყველაზე დიდი, ყველაზე ძლიერი და პროგრესული კომპანიაა საქართველოში. ამ კრიტერიუმებიდან გამომდინარე, დაინტერესდნენ იაპონელები და ჩვენი თანამშრომლობაც წარმატებულად შედგა," - განაცხადა კახა კავთუაშვილმა.

იაპონური მხარე კმაყოფილებას არ მალავს. "კიოდო მილკის" წარმომადგენელი ჰიროკაძუ საიტო: " ჩვენი კომპანიების თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას იაპონიასა და საქართველოს შორის. ძალიან მიყვარს თქვენი ქვეყანა. იაპონიაში საქართველოს შესახებ როდესაც იგებენ, საქართველო ყველას ამერიკის "ჯორჯია" ჰგონია. ჩვენი ერთობლივი პროდუქციით კი იაპონელები საქართველოს გაიცნობენ. ჩვენმა კომპანიამ რძის მწარმოებელი კომპანიები მოიწვია. მათგან საუკეთესო "სანტე" აღმოჩნდა და ჩვენც გადავწყვიტეთ, სწორედ საუკეთესო კომპანია აგვერჩია პარტნიორად. ჩვენი ერთობლივი პროდუქტის სავაჭრო ნიშანი "მეიტოა." საქართველო ცნობილია თავისი ასაკოვანი ხალხით. ამის მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ ქართველი ხალხი ყოველდღე მაწონს მიირთმევს. მაწვნის იაპონიაში წარმოება ვერ მოხერხდებოდა. კონტრაქტის შემდეგ "კიოდო მილკმა" პროდუქტის მოდიფიცირება მოახერხა და ამ პროდუქტს "კავკასიური იოგურტი" ვუწოდეთ. ამ ნაწარმზე სამი წელი ვმუშაობდით და ორი წელია, რაც "კავკასიური იოგურტი" იაპონიაში იწარმოება. ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ იაპონიაში საქართველოდან წარმოშობილი პროდუქტი არსებობს. იაპონელებმაც გაიგეს, რომ საქართველო ამერიკის "ჯორჯია" არ არის და იქ ბევრი ჯანმრთელი მოხუცი ცხოვრობს. კონტრაქტი გავაგრძელეთ, რითაც უფრო გავამყარებთ ურთიერთობებს. ქართულმა მაწონმა და იაპონურმა იოგურტმა ორი ქვეყანა დაამეგობრა."

"სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები" არის რძის ნაწარმისა და ნატურალური წვენების უდიდესი მწარმოებელი საქართველოში, ყოველდღიურად კომპანიის მიერ წარმოებული დაახლოებით 50 000 ერთეული სხვადასხვა დასახელების პროდუქტი იყიდება.

"სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტების" მიერ დამზადებული რძე, კარაქი, არაჟანი, ხაჭო, მაწონი, მდნარი ყველი და სხვადასხვა დასახელების წვენი დიდი ხანია, მომხმარებელთათვის საკვების რაციონის უცვლელ ნაწილად იქცა.

კომპანიის წარმატებას განაპირობებს რამდენიმემილიონიანი ამერიკული ინვესტიცია და პროფესიონალი მენეჯერების მიერ განხორციელებული მართვა. საწარმოში დასაქმებულია 300 თანამშრომელი.

"სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები" არის "ჯი-ემ-თი ჯგუფში" შემავალი კომპანია. "ჯი-ემ-თი ჯგუფი" საქართველოს კერძო სექტორში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიაა, რომელსაც 80 მილიონი აშშ დოლარი აქვს დაბანდებული სხვადასხვა პროფილის 4 კომპანიაში.

"ჯი-ემ-თი ჯგუფის" საკუთრებაში ირიცხება სასტუმროები: "თბილისი მარიოტი" და "ქორთიარდ მარიოტი". საოფისე ფართი "ჯი-ემ-თი პლაზა", ყოფილი რესტორანი "მთაწმინდა" (რუსთაველის №7).

"კავკასიური იოგურტის" პაკეტზე კავკასიონის მთებია გამოსახული და იაპონურად აწერია: იოგურტს 2000 წლის ისტორია აქვს, მისი ყოველდღიური მოხმარება ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა, ის არის კავკასიიდან, საქართველოდან.

# ვინ გახდება ჭიათურმანგანუმის მეპატრონე?

თინა შავაძე

ორი ინდუსტრიული ქალაქის, ზესტაფონისა და ჭიათურის პერსპექტიული განვითარება უდავოდ დამოკიდებულია ორი მსხვილი საწარმოს გამართულ მუშაობაზე. 2005 წლიდან "ფეროს" აქციები მთლიანად გადავიდა კერძო პირების ხელში. როგორც ამბობენ, განხორციელებული კაპიტალდაბანდებების შედეგად საწარმო, ფაქტობრივად, მოგებაზე მუშაობს. თუმცა, ამას საწარმოს ადმინისტრაციის ოფიციალური ანგარიში არ ადასტურებდა. მიმდინარე წელს "ფეროში" ფინანსური პოლიცია შევიდა და იქ აღმოჩენილი დარღვევების გამო საწარმოს აქციები დააყადაღა. როცა მოკვლევის პროცესი დასრულდება და საწარმოს მეწილეებს შორის არსებული კონფლიქტი ამოიწურება, მაშინ სს "ჭიათურმანგანუმის" სარფიანად გაყიდვა შესაძლებელი გახდება. ფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ "24 საათს" ესაუბრა საწარმოს ერთ-ერთი მსხვილი აქციონერის, "დეკომეტალის" ნდობით აღჭურვილი პირი გიგა ბედინეიშვილი.

**- თქვენი და ფინანსური პოლიციის გამოჩენა საწარმოში რატომ დაემთხვა ერთმანეთს?**

- ფინანსურმა პოლიციამ წერილობით მიმართა "დეკომეტალს", სადაც განმარტავდა: "ფეროში" სერიოზული ფინანსური დარღვევებია. ამდენად, საჯარიმო სანქციების დადება მოსალოდნელი იყო. საწარმოს გენერალურ დირექტორს ვთხოვეთ თანამშრომლობა, მაგრამ ის გაიქცა." ამას ამბობდა ფინანსური პოლიცია და ასეთ ვითარებაში, როგორც "დეკომეტალის" წარმომადგენელმა, კომპანიისგან მივიღე დავალება, პოლიციის თხოვნას დავთანხმებოდი, რადგან საწარმოში არსებული მდგომარეობის შესახებ რეალური ინფორმაციის მიღებით "დეკომეტალიც" დაინტერესებული იყო.

**- ამბობენ, რომ გიგა ბედინეიშვილი შეიარაღებული ხალხით შევიდა ქარხანაში.**

- ისინი ჩემი კი არა, ფინანსური პოლიციის შეიარაღებული ხალხი იყო, და როცა მიმდინარე წლის თებერვალში ქარხანაში ჩავედი, პოლიცია იქ უკვე ერთი თვის წინ შესული იყო.



გიგა ბედინეიშვილი

**- ქარხნის მუშები მაშინ გენერალურ დირექტორად თქვენს სავარაუდო დანიშვნასაც აპროტესტებდნენ.**

- ასეთ წინააღმდეგობას ველოდი. ისინი ქარხნის თანამშრომლები კი არა, შმაგი ქემერტელიძის ბიზნესინტერესების დამცველები არიან. შმაგი ქემერტელიძე ფსევდოპროფკავშირების, "სოლიდარობის" ხელმძღვანელია. მუშების ინტერესების დაცვის მაგივრად, შმაგი ქემერტელიძე ილია კოკაიასთან შეთანხმებით, ქარხნის ერთ-ერთი მსხვილი მომწოდებელია და ფაქტიურ შეთქმულებაშია ქარხნის გაქცეულ ხელმძღვანელობასთან. კოკაიამ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს მე ჩავედი ქარხანაში და გენერალური დირექტორის თანამდებობა მოვითხოვე, რაც სიცრუეა. თუმცა, დღესაც მშვიდად ვარ და ასეთ ბინძურ კამპანიას ყურადღებას არ ვაქცევ, რადგან ვიცი, სიმართლე მაინც გამომჟღავნდება.

**- როგორ მოხდა, რომ ორ წელიწადში ფეროს ფაქტობრივი მმართველი და მსხვილი მეწილე ილია კოკაია გახდა?**

- 2003 წლის ზაფხულში, როცა ავსტრიულ კომპანია "დეკომეტალს" სახელმწიფოსგან 7 მილიონ დოლარად ფეროს აქციების 51 პროცენტი პირობით საკუთრებაში გადაეცა, მაშინ გახდა ილია კოკაია "დეკომეტალის" ნდობით აღჭურვილი პირი. ორი წლის განმავლობაში მან სხვადასხვა გზებით შალიკაშვილისგან აქციების 20 პროცენტი, ხოლო "პრომიშლენიე ინვესტორისგან" 25 პროცენტი გამოისყიდა. ამასთან, ილია კოკაიამ გამოიყენა მის ხელთ არსებული უფლება და 3 მილიონ 500 ათას დოლარად "დეკომეტალისგან" შეიძინა "ფეროს" აქციების 25,5 პროცენტი. ეს ბოლო გარიგება რუსული კომპანია "ევრაზჰოლდინგის" მიერ "ჭიათურმანგანუმისა" და ვარციხეჰესის შესყიდვის ხელშესაწყობად მოხდა. ამ გარიგების განსახორციელებლად, მოგვიანებით, "დეკომეტალმა" და კოკაიამ საკუთარი აქციები კვიპროსულ კომპანია "სელრომექსს" გადასცეს და მასში პროპორციული წილები აიღეს. ამჟამად კოკაია ფლობს "სელრომექსის" 73 პროცენტს, ხოლო "დეკომეტალი" - 27 პროცენტს. "სელრომექსი", თავის მხრივ, "ფეროს" 96 პროცენტს ფლობს.

**- რა გახდა კოკაიასა და "დეკომეტალს" შორის არსებული კონფლიქტის საფუძველი?**

- კოკაიამ მომგებიანი საწარმო "ფერო" წაგებაზე ამუშავა. 2004 წელს კოკია და მისი ოჯახი გერმანული კომპანია "ბეტაკონტაქტის" მეშვეობით 380 დოლარად ქარხნიდან ყიდულობდა საქონელს, (სილიკომანგანუმს და ფერომანგანუმს - ეს არის ის, რასაც ქარხანა უშვებს) და მას ბაზარზე 1000-1500 დოლარად ყიდდნენ.

**- და რა არის აქ მიუღებელი, ეს ხომ სარფიანი გარიგებაა.**

- არსებობს იმის დოკუმენტაცია, რომ გერმანული კომპანია "ბეტაკონტაქტის" (კოკაიას კომპანიაა) მეშვეობით იყიდებოდა ბაზარზე პროდუქცია და, ამდენად, 380 დოლარის ზემოთ მიღებული შემოსავალი, "ფეროს" ნაცვლად, კოკაიას ფირმაში შედიოდა. ამასთან, ხდებოდა ისე, რომ კოკაია საკუთარი ფირმის საშუალებით კოქსი შემოჰქონდა 500-600 დოლარად, როცა ის, ფაქტობრივად, 200-300 დოლარი ღირდა. ეს არ არის კომერცია, არამედ ეს არის ოფშორული კომპანიის დახმარებით გადასახადების დამალვა და, ამასთან, სხვა აქციონერებისაგან დივიდენდების დამალვა.

**- მაშინ "დეკომეტალი" "ფეროს" საკონტროლო პაკეტს ფლობდა, ამიტომაც დაუჯერებელია, საწარმოში არსებული რეალური მდგომარეობის შესახებ არ სცოდნოდა.**

- "დეკომეტალი" საწარმოს ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშებს ვერ იღებდა, თუმცა ასეთი ანგარიშები ბევრჯერ მოითხოვა. "ფეროს" გენერალური დირექტორი ნიკო ჩიქოვანი იყო, რომელიც კოკაიამ გადაიბირა. თუმცა მოხდა ისე, რომ ჩიქოვანმა გონიერება გამოიჩინა და უარი თქვა, სილიკომანგანუმის 380 დოლარად გაყიდვის გადაწყვეტილებაზე ხელი მოეწერა, რასაც აკეთებდა ილია კოკაიას ძმა, საწარმოს აღმასრულებელი დირექტორი კორნელი კოკაია.

**- ცნობილია თუ არა, ფეროდან გაყიდული პროდუქციით მიღებული შემოსავლები სად იყრიდა თავს?**

- კოკაიას ფირმა "ბეტაკონტაქტში" გროვდებოდა. ქარხნის აქციონერები ვერაფერს იღებდნენ. მან დაგროვილი კაპიტალით "ფეროს" წილები გამოისყიდა. ამას ადასტურებს ისიც, რომ 2004 წლის განმავლობაში საწარმომ, 40-50 მილიონი დოლარის მოგების ნაცლად, 13 მილიონი დოლარის ზარალი ნახა. ამავე დროს "ფეროს" "ბეტაკონტაქტის" მიმართ 20 მილიონ დოლარზე მეტი ვალები დაუგროვდა

**- თქვენი ზეწოლის შედეგად რა კონტრაქტს მოაწერა ხელი ვასილ გველესიანმა?**

- მიმდინარე წლის თებერვალში კოქსი თავდებოდა. ჩემს ინტერესებში შედიოდა, რომ ქარხანა არ გაჩერებულიყო. კოკიას ჯგუფს პირიქით სურდა. მათ შევთავაზე, რომ 259 დოლარის ნაცვლად, ერთი ტონა კოქსი 189 დოლარად შეგვესყიდა, და ამ ფასად ნედლეულის რეალური მომწოდებელიც არსებობდა. ამ შეთავაზებაზე წინააღმდეგობა გამიწიეს და არ აწერდნენ ხელს კონტრაქტს, არსებობს დამადასტურებელი დოკუმენტები იმისა, რომ კოკაია კოქსს მაღალ ფასში საკუთარი კომპანიის და არა "ფეროს" ინტერესების დასაცავად ყიდულობდა. ახლა ნედლეულ კოქსს "ფერო" 189 დოლარად ყიდულობს. თუმცა ამ გადაწყვეტილების მიღებამდე კოკაიას ჯგუფმა დიდი აჟიოტაჟი ატეხა.

**- "სტემკორი" ამბობს, რომ "ფეროს" საკონტროლო პაკეტი შეისყიდა.**

- ასეთი გარიგება გამორიცხულია, რამდენიმე მიზეზის გამო. დღემდე საგადასახადო პოლიციას "ფეროს" აქციები დაყადაღებული აქვს. "სტემკორი" ვერც "სელრომექსის" აქციებს შეიძენდა, რადგან "დეკომეტალს" აქვს ეგრეთწოდებული "პირველი ღამის უფლება", ანუ "დეკომეტალმა" პირველმა უნდა იცოდეს აქციების გაყიდვის შესახებ, და მსგავსი შეტყობინება მას არ მიუღია. მე ხელთ მაქვს დოკუმენტები, რომ "სტემკორს" არც კოკაიას კონტროლში მყოფი "სელრომექსის" 73 პროცენტის მფლობელი კომპანიები არ შეუძენია. ანუ, "სტემკორს" არც "ფერო" შეუძენია, არც რომელიმე კომპანია, რომელიც წილს ფლობს "ფეროში". "სტემკორი" მსხვილი ინგლისური კომპანიაა. მეც ვერ გამიგია, რატომ იჩემებს "სტემკორი" "ფეროს" შეძენას. ალბათ, ილია კოკაიას და მის პარტნიორებს თუ უსმენს იმაზე მეტად, ვიდრე საჭიროა.

**- რა მოხდება უახლოეს მომავალში?**

- "დეკომეტალი" ძალიან მალე საინტერესო წინადადებას შესთავაზებს საქართველოს მთავრობას ჭიათურისა და ვარციხეჰესის შესყიდვის შესახებ. ეს წინადადება არა მარტო ბიუჯეტისათვის იქნება სარფიანი, არამედ საქართველოში სამთო მეტალურგიის განვითარების ახალ ეტაპსაც გულისხმობს. "დეკომეტალი" ოპტიმისტურადაა განწყობილი და იმედოვნებს, რომ პროექტის განსახორციელებლად ამჯერად ბიზნეს-პარტნიორებს სწორად შეარჩევს.

# ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის
# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



**N1/1-03 30.03.2006წ.**
**ქ. თბილისი**

**ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ**

"საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულების 59-ე მუხლისა და "ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერიის 2006 წლის 28 თებერვლის N15 ბრძანების მე-20 მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის თანდართული რეგლამენტი;
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გამგებლის მოვალეობის
შემსრულებელი **გიორგი ქველაძე**

**დამტკიცებულია**
ვაკე-საბურთალოს რაიონის
გამგებლის მოვალეობის
შემსრულებლის 2006 წლის
30 მარტის N1/1-03 ბრძანებით

ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის

**რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი**

**თავი I.**
**ზოგადი დებულება**

**მუხლი 1. ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობა**

1. ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის (შემდგომში გამგეობა) რეგლამენტი განსაზღვრავს გამგებლის და გამგეობის საგანმკარგულებლო დოკუმენტების მომზადებისა და გაფორმების, გამგეობის სხდომების, გამგებლის თათბირების მომზადებისა და ჩატარების წესს.

2. გამგეობა არის ქალაქ თბილისის მმართველობის ტერიტორიული ორგანო, რომელიც "საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის შესახებ" საქართველოს კანონით, "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებით, "ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2006 წლის 28 თებერვლის N15 ბრძანებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხის გადაწყვეტას და ადმინისტრაციული ერთეულის - რაიონის მართვას.

3. გამგეობას ხელმძღვანელობს გამგებელი, იგი განსაზღვრავს გამგეობის საქმიანობის მიმართულებებს და ორგანიზებას უწევს მის მუშაობას, ახორციელებს გამგეობის წევრთა საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს. გამგეობის საქმიანობისათვის გამგებელი ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტის, ქ.თბილისის მერის, საკრებულოსა და რაიონის მოსახლეობის წინაშე.

**თავი II.**
**გამგეობის მუშაობის დაგეგმვა**

**მუხლი 2. გამგეობის სამუშაო გეგმა და ამოცანები**

1. გამგეობა თავის საქმიანობას წარმართავს სამუშაო გეგმის საფუძველზე, რომელსაც გამგეობის სამსახურებთან (განყოფილებებთან) ერთად შეიმუშავებს გამგეობის აპარატი. გამგებლის მითითების საფუძველზე გამონაკლის შემთხვევაში საკითხი გამგეობის სხდომაზე შეიძლება დამატებით იქნეს გამოტანილი.

2. გამგეობის სამუშაო გეგმის ხანგრძლივობა მოიცავს ერთწლიან პერიოდს და იგი იყოფა კვარტლებად.

3. გამგეობის სამუშაო გეგმის შემუშავების პროცესს უზრუნველყოფს გამგეობის აპარატი.

4. გამგეობის სამუშაო გეგმა უნდა უზრუნველყოფდეს რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული ამოცანების გადაწყვეტას, ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას საბაზრო ეკონომიკის პრინციპებისა და ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინებით, ადგილობრივ საზოგადოებრივ მომსახურებათა ორგანიზებას და საერთოდ რაიონის გამგეობის ფუნქციათა განხორციელებას.

5. გამგეობის კალენდარული სამუშაო გეგმის შესამუშავებლად საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე არაუგვიანეს 10 დღისა, გამგებლის მოადგილეები, გამგეობის სამსახურები (განყოფილებები) აპარატს წარუდგენენ გამგეობის სამუშაო გეგმაში გასათვალისწინებელ საკითხებს.

6. აპარატის მიერ მომზადებულ სამუშაო გეგმის პროექტს ითანხმებს გამგებელი.

**მუხლი 3. გამგეობის სამუშაო გეგმის დამტკიცება, კონტროლი მის შესრულებაზე.**

1. გამგეობის სამუშაო გეგმის პროექტს აპარატის უფროსი წარუდგენს გამგებელს საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე 5 დღით ადრე.

2. გამგებელი მისთვის წარდგენილი სამუშაო გეგმის საბოლოო ვარიანტს წარადგენს გამგეობის უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად. დამტკიცებული გეგმა ეგზავნებათ შესაბამის სამსახურებს (განყოფილებებს).

3. სამუშაო გეგმის შესრულებას, ფუნქციების განაწილების შესაბამისად, აკონტროლებენ გამგეობის წევრები, ხოლო შესრულების კონტროლს ორგანიზაციულად უზრუნველყოფს აპარატი.

**თავი III.**
**გამგეობის სხდომის ორგანიზაცია**

**მუხლი 4. გამგეობის სხდომაზე განსახილველ საკითხთა მომზადება**

1. გამგეობის სხდომაზე განსახილველი საკითხები წარმოდგენილ უნდა იქნეს გამგეობის დადგენილების პროექტის ფორმით.

2. გამგეობის სხდომაზე საკითხის შემომტან პირს ეკისრება პასუხისმგებლობა განსახილველად წარმოდგენილი დადგენილების პროექტის (პროექტების) ხარისხის, თანდართული მასალების უტყუარობისა და სისრულისათვის.

3. გამგეობის სხდომაზე განსახილველ საკითხთა პროექტები, შეთანხმებული შესაბამის სამსახურებთან, თანდართულ მასალებთან ერთად უნდა ჩაბარდეს აპარატს სხდომამდე სულ ცოტა 15 დღით ადრე, ხოლო ნორმატიული აქტის პროექტი - სულ ცოტა 20 დღით ადრე.

4. გამგეობის სხდომაზე საკითხი შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მას გავლილი აქვს სათანადო ექსპერტიზა შესაბამის სამსახურებში.

**მუხლი 5. გამგეობის სხდომის მომზადებისა და გამართვის წესი.**

1. გამგეობის სხდომას ამზადებს აპარატი.

2. გამგეობის ცალკეული სხდომებისათვის აპარატი ადგენს დღის წესრიგის პროექტს, რომელსაც თანდართულ მასალებთან ერთად 10 დღით ადრე წარუდგენს შესათანხმებლად გამგებელს.

3. გამგეობის სხდომამდე არაუგვიანეს 3 დღისა, დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგის პროექტი და თანდართული მასალები გადაეცემა გამგეობის წევრებს.

4. გამგეობის სხდომის დღის წესრიგის პროექტში ცვლილებების შეტანა შეუძლია მხოლოდ გამგებელს.

5. გამგეობის სხდომამდე სულ ცოტა ერთი კვირით ადრე აპარატი აქვეყნებს ინფორმაციას სხდომის, მისი ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას - აგრეთვე მისი დახურვის შესახებ.

6. გადაუდებელი აუცილებლობისას, გამგეობა უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა ამ მუხლის მე-5 პუნქტში გათვალისწინებული წესების დაუცველად. ამ შემთხვევაში აპარატი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოაცხადოს სხდომის, მისი ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას - აგრეთვე მისი დახურვის შესახებ.

7. გადაუდებელი აუცილებლობისას, სხდომის ჩატარების ან სხდომის დახურვის შემთხვევაში აპარატი ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში განმარტოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი. აპარატს რეესტრში შეაქვს სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად გამართული სახელობითი კენჭისყრის შედეგები, აგრეთვე სხდომის ოქმის მონაცემები საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 33-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

**მუხლი 6. გამგეობის სხდომები.**

1. გამგეობის სხდომას იწვევს და თავმჯდომარეობს გამგებელი.

2. გამგეობის მორიგი სხდომა მოიწვევა თვეში ერთხელ, თვის ბოლო ოთხშაბათს 11 საათზე. ცალკეულ შემთხვევაში გამგებელი უფლებამოსილია გამგეობის სხდომა ჩაატაროს სხვა დროს, აგრეთვე მოიწვიოს რიგგარეშე სხდომა.

3. გამგეობის სხდომას ესწრებიან გამგეობის წევრები. სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლები 3 წევრისა.

4. გამგეობის სხდომაზე განსახილველი საკითხების გამო, როგორც წესი მომხსენებელს ეძლევა რეგლამენტით 15 წუთამდე. თანამომხსენებელსა და კამათში გამომსვლელთ 5 წუთი. ცნობისათვის (განცხადებისათვის) - 3 წუთამდე.

5. გამგეობის გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია.

6. გამგეობის სხდომაზე დადგენილებები, როგორც წესი, მიიღება ღია კენჭისყრით (ხელის აწევით). გამგებლის წინადადებით და სხდომის გადაწყვეტილებით შესაძლოა მოეწყოს ფარული კენჭისყრა, რომელიც უნდა ჩატარდეს ფარული კენჭისყრისათვის დადგენილი წესით.

7. გამგეობის სხდომებზე მიღებული დადგენილებებისა და სხდომის ოქმის გაფორმებას, ტექნიკურად უზრუნველყოფს აპარატის შესაბამისი თანამშრომელი.

**მუხლი 7. გამგეობის სხდომის ოქმი.**

1. გამგეობის სხდომის ოქმს, სპეციალური ფორმის ბლანკზე აფორმებს და ხელმოსაწერად ამზადებს აპარატი. ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და აპარატის უფროსი.

2. აპარატი გამგეობის სხდომაზე მიღებულ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს აფორმებს არაუგვიანეს 7 დღის ვადაში, ხოლო ნორმატიულ აქტებს - 3 დღის ვადაში.

3. გამგეობის სხდომის ოქმში შეიტანება:

ა) კოლეგიალური ადმინისტარციული ორგანოს დასახელება;

ბ) სხდომის დრო და ადგილი;

გ) სხდომის თავმჯდომარის და წევრების ვინაობა;

დ) განხილვის საგანი;

ე) კენჭისყრის შედეგები;

ვ) მიღებული გადაწყვეტილება;

ზ) კამათში გამომსვლელთა მოთხოვნით, განხილულ საკითხებზე მათი განსაკუთრებული აზრი;

თ) მონაცემები ქვორუმის შესახებ.

**თავი IV.**
**გამგებლის თათბირების გამართვის ორგანიზაცია**

**მუხლი 8. თათბირის მომზადება და გამართვა**

1. გამგეობაში თათბირს იწვევს და თავმჯდომარეობს გამგებელი.

2. თათბირის ჩატარებას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს აპარატი.

3. თათბირის მონაწილეთა შემადგენლობას, თათბირზე განსახილველ საკითხებს, მათ მომზადებაზე პასუხისმგებელ პირებს და თათბირის ჩატარების დროს განსაზღვრავს გამგებელი.

4. ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით შეიძლება ჩატარდეს გამგეობის და სხვა შესაბამისი სამსახურების ოპერატიული თათბირი.

ოპერატიულ თათბირს ატარებს გამგებელი ან მისი დავალებით მისი ერთ-ერთი მოადგილე.

5. თათბირზე პირთა მოწვევის ორგანიზაცია ევალება აპარატს.

**მუხლი 9. თათბირის (ოპერატიული თათბირის) ოქმი.**

1. თათბირის (ოპერატიული თათბირის) ოქმის შედგენას უზრუნველყოფს აპარატი.

2. თათბირის (ოპერატიული თათბირის) ოქმში შეიტანება:

ა) თათბირის (ოპერატიული თათბირის) ჩატარების დრო;

ბ) თათბირის (ოპერატიული თათბირის) მონაწილეთა შემადგენლობა;

გ) განხილულ საკითხთა ჩამონათვალი;

დ) დავალების შინაარსი;

ე) დავალების შესრულებისათვის პასუხისმგებელი პირი და შესრულების ვადა.

3. თათბირის ოქმს ხელს აწერს გამგებელი. ოპერატიული თათბირის ოქმს ხელს აწერს ამ რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული პირი.

4. თათბირის (ოპერატიული თათბირის) ოქმის ასლები აპარატის მიერ ეგზავნებათ დავალებათა შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს.

5. თათბირის ოქმი ფორმდება გამგეობის სხდომის ოქმის გაფორმებისათვის დადგენილი წესით.

**თავი V.**
**გამგეობის და გამგებლის სამართლებრივი აქტების მომზადებისა და გაფორმების წესი**

**მუხლი 10. გამგებლის სამართლებრივი აქტები.**

1. გამგებლის სამართლებრივი აქტებია:

ა) ნორმატიული აქტები: გამგებლის ბრძანება და გამგეობის დადგენილება;

ბ) ინდივიდუალური აქტები: გამგებლის განკარგულება და გამგეობის დადგენილება.

2. ნორმატიული აქტების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის წესი რეგულირდება საქართველოს კანონით "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ", საქართველოს კანონით "ნორმატიული აქტების შესახებ", "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულებით", "ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის დებულებით", ამ რეგლამენტით და სხვა ნორმატიული აქტებით.

3. გამგებლის ბრძანება გამოიცემა გამგებლის მიერ გამგეობის წევრებთან კონსულტაციის შემდეგ, ხოლო განკარგულება - ერთპიროვნულად გამგებლის მიერ.

4. გამგეობის დადგენილება მიიღება გამგეობის სხდომაზე კენჭისყრის შედეგად. გამგეობის ნორმატიული ხასიათის დადგენილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმა მისცა გამგეობის სრული შემადგენლობის უმრავლესობამ, ხოლო ინდივიდუალური ხასიათის სამართლებრივი აქტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმა მისცა სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობამ, მაგრამ არანაკლებ წევრთა სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.

5. ნორმატიული აქტი გამგებლის ხელმოწერიდან 5 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრში გასატარებლად.

**მუხლი 11. გამგეობის და გამგებლის სამართლებრივი აქტების პროექტების წარდგენა.**

1. გამგეობის სხდომაზე განსახილველად შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის გამგეობის აპარატში წარდგენის უფლება აქვთ:

ა) გამგებელს;

ბ) გამგებლის მოადგილეებს:

გ) გამგეობის სამსახურებს (განყოფილებებს)

2. პროექტს თან უნდა ახლდეს:

ა) პროექტის წარმდგენის მიერ ხელმოწერილი წერილი პროექტის წარდგენის თაობაზე;

ბ) განმარტებითი ბარათი, რომელშიც უნდა აისახოს პროექტის მიღების საფუძველი, მოკლე ანოტაცია, საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, სამართლებრივი აქტის ამოქმედების მეშვეობით მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები;

გ) შეთანხმებები დაინტერესებულ სამსახურებთან, დაწესებულებებთან და თანამდებობის პირებთან;

დ) საცნობარო ფურცელი, რომელსაც ადგენს აპარატი;

ე) დრეკად მაგნიტურ დისკოზე ჩაწერილი სამართლებრივი აქტის პროექტის ტექსტი (ელექტრონული ვერსია. AcadNusx 14).

**მუხლი 12. ადმინისტრაციული წარმოება გამგეობისა და გამგებლის ნორმატიული აქტების გამოსაცემად.**

1. ადმინისტრაციული წარმოება გამგეობის (გამგებლის) ნორამატიული აქტის გამოსაცემად იწყება შესაბამისად გამგეობის (გამგებლის) დადგენილებით (განკარგულებით).

2. წარმოების დაწყებისთანავე აპარატი აქვეყნებს ნორმატიული აქტის პროექტსა და ცნობას წარმოების დაწყების შესახებ.

3. ცნობაში წარმოების დაწყების შესახებ აღინიშნება:

ა) წარმოების დაწყების შესახებ გადაწყვეტილების შინაარსი;

ბ) ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომელშიც მიმდინარეობს წარმოება;

გ) იმ ადმინისრაციული ორგანოს მისამართი, რომელშიც შესაძლებელია მოსაზრებების წარდგენა;

დ) მოსაზრებების წარდგენის ვადა;

ე) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადა.

4. იმ შემთხვევაში თუ წარმოების დაწყების დროს არ არსებობს ნორმატიული აქტის მომზადებული პროექტი, ქვეყნდება მხოლოდ ცნობა წარმოების დაწყების შესახებ, რომელშიც ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ ინფორმაციასთან ერთად მიეთითება პროექტის გამოქვეყნების ვადა.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მითითებულ ვადაში გამოქვეყნებულ პროექტთან ერთად აღინიშნება იმ საინფორმაციო საშუალებების რეკვიზიტები (დასახელება, გამოსვლის თარიღი, ნომერი), რომელშიც გამოქვეყნდა ცნობა წარმოების დაწყების შესახებ.

6. გამგეობის აპარატი ვალდებულია უზრუნველყოს ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებული შემდეგი დოკუმენტების (ინფორმაციის) წარდგენა საჯარო გაცნობისათვის:

ა) განცხადება (რომლის საფუძველზეც დაიწყო წარმოება) და მასზე დართული დოკუმენტები, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება წარმოების დაწყების თაობაზე;

ბ) დასკვნა ან მოსაზრება, რომელიც ამ წარმოებასთან დაკავშირებით იქნა წარდგენილი ადმინისტრაციულ ორგანოში;

გ) მოცემულ ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებული იმ დოკუმენტების ნუსხა, რომლებიც არ არის წარდგენილი საჯარო გაცნობისათვის.

**მუხლი 13. გამგეობის და გემგებლის სამართლებრივი აქტების გაფორმება.**

1. გამგეობის და გემგებლის სამართლებრივი აქტები ფორმდება შესაბამის ბლანკზე.

2. გამგეობის და გემგებლის ნორამატიული აქტები მომზადებულ და გამოცემულ უნდა იქნეს "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

**მუხლი 14. პასუხისმგებლობა გამგეობის და მთავრობის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებისათვის.**

გამგეობისა და გემგებლის სამართლებრივი აქტების პროექტების შინაარსისა და შესრულების ხარისხისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება პროექტის შემომტანს, პროექტის სტილისტურ შესწორებასა და სამართლებრივ შესაბამისობას უზრუნველყოფს აპარატი.

**მუხლი 15. გამგეობისა და გემგებლის სამართლებრივი აქტების გამოცემა (მიღება).**

1. გამგეობის და გემგებლის მიერ გამგეობის სხდომაზე პროექტის მიმართ შენიშვნებისა და წინადადებების გამოთქმის შემთხვევაში პროექტი, გამგებლის მიერ მითითებულ (დადგენილ) ვადაში უბრუნდება შემომტანს დამატებით დასამუშავებლად და დასაზუსტებლად. პროექტის საბოლოო ვარიანტი შესაბამისი თანამდებობის პირის ხელმოწერით უბრუნდება გამგებელს მოსაწერად.

2. ხელმოწერილი სამართლებრივი აქტი გადაეცემა აპარატს, რომელიც 3 დღის ვადაში უზრუნველყოფს მათ სათანადოდ გაფორმებას რეგისტრაციის ნომრისა და თარიღის მითითებით და ნორმატიული აქტის იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციისათვის გაგზავნას. იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციისა და დადგენილი წესით გამოქვეყნების შემდეგ, აპარატი უზრუნველყოფს დოკუმენტის ასლების დანიშნულებისამებრ გადაგზავნას.

**მუხლი 16. გამგეობისა და გემგებლის სამართლებრივი აქტების აღსრულების კონტროლი.**

1. გამგეობის და გემგებლის სამართლებრივი აქტების აღსრულების კონტროლს ორგანიზაციულად უზრუნველყოფს აპარატი.

**თავი VI.**
**გამგეობის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის და ბიუჯეტის პროექტის, მათი შესრულების ანგარიშების შედგენა და დასამტკიცებლად წარდგენა**

**მუხლი 17. რაიონის გამგეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის პროექტი.**

1. გამგეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების პროექტი დგება რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატური გეგმისა და რაიონის განვითარების ეკონომიკური სტრატეგიის გათვალისწინებით.

**მუხლი 18. რაიონის გამგეობის ბიუჯეტის პროექტი.**

1. გამგეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის გათვალისწინებით ბიუჯეტის პროექტის შედგენა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ქ.თბილისის მთავრობის რეგლამენტის შესაბამისად.

**მუხლი 19. რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადების ორგანიზაცია.**

1. რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის პროექტების შესადგენი სამუშაოების ორგანიზაციას გამგებლის დავალებით ახორციელებს გამგეობის ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური (განყოფილება) რაიონის საფინანსო განყოფილებასთან ერთად. პროექტის მომზადება იწყება ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე 8 თვით ადრე მაინც.

2. გამგეობის სამსახურები (განყოფილებები) შესაბამისი დარგების მიხედვით შეიმუშავებენ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის ძირითად მიმართულებებს.

3. გამგეობის ბიუჯეტის პროექტს და სოციალურ - ეკონომიკური განვითარების პროგრამას ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე სულ ცოტა 5 თვით ადრე გამგეობა წარუდგენს განსახილველად ქ.თბილისის მთავრობას.

**მუხლი 20. რაიონის გამგეობის სოციალურ - ეკონომიკური განვითარების პროგრამებისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შედგენა და მერიისათვის წარდგენა.**

1. გამგეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს ადგენს ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური (განყოფილება) რაიონის საფინანსო განყოფილებასთან ერთად.

2. გამგეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის პროექტების ანგარიშს პრემიერს წარუდგენს რაიონის გამგებელი საბიუჯეტო წლის დასრულებიდან 2 თვის ვადაში.

**თავი VII.**
**მოქალაქეთა მომართვების განხილვის წესი**

**მუხლი 21. მოქალაქეთა მომართვებზე მუშაობა და საჯარო ინფორმაციის გაცემა.**

1. გამგეობაში მოქალაქეთა წერილობით მომართვებზე (განცხადება, საჩივარი) მუშაობისა და საჯარო ინფორმაციის გაცემას უზრუნველყოფს გამგეობის აპარატი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

2. მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის ვადა, როგორც წესი განისაზღვრება ერთი თვით.

**თავი VIII.**
**დასკვნითი დებულებანი**

**მუხლი 22. დასკვნითი დებულებანი.**

გამგეობის საქმიანობის ყველა საკითხი, რომელიც არ არის მოწესრიგებული ამ რეგლამენტით, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ატარებს ღია ტენდერს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ტერიტორიაზე გზების, ტროტუარების კაპიტალური შეკეთების და ქვაფენილის აღსადგენი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:**

**ლოტი N1**

კაპიტალურად შესაკეთებელია რაიონის სამი ქუჩა.

საერთო ფართია - 5610 კვმ.

ტროტუარების საერთო ფართია - 3738 კვმ.

**ლოტი N2**

ქვაფენილი აღსადგენია 8 ქუჩაზე, რომლის სავარაუდო საერთო ფართია 8000 კვმ.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2007 წლის 1 იანვრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, სატენდერო კომისიას უნდა წარმოუდგინოს ერთად, ერთ დალუქულ კონვერტში, ქართულ ენაზე 2006 წლის 03 მაისის 10 საათიდან 05 მაისის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის გამზირი N140ა, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობებს სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

ბ) ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**4.2 ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**4.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური სამუშაოს განხორციელების შესახებ;

ა) ინფორმაციას სამუსაოს შესრულებისათვის საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ;

ბ) ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

გ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (ამონაწერი სამეწარმო რეესტრიდან).

5. თუ იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6. 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონის მიხედვით) აN200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი: დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; დანიშნულება-ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 13 აპრილიდან 2006 წლის 03 მაისამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N140ა, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან:

მაია გოგოლაძე - ეკონომიკური პოლიტიკის განყოფილები მთ.სპეციალისტი, სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 95.99.85;

პაატა პატარაია - ეკონომიკური პოლიტიკის განყოფილები მთ.სპეციალისტი, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 95.76.27

თემური ოქრომელიძე - საბინაო-კომუნალური განყოფილების წმ.სპეციალისტი,

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 95.66.01.

მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 140ა. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის გამართვის თაობაზე

სს "თბილგაზის" გაკოტრების მმართველი აცხადებს ტენდერს სს "თბილგაზის" ქონებაზე. ტენდერი ჩატარდება 2006 წლის 12 მაისს სს "თბილგაზის" ადმინისტრაციულ შენობაში მდებარე ქ. თბილისი, მიცკევიჩის 18ა. ტენდერის ჩატარების დრო 17:00

ტენდერში მონაწილეობის მსურველი ყველა დაინტერესებული პირი ვალდებულია 2006 წლის 12 მაისის 14:00 საათამდე განაცხადი შეიტანოს გაკოტრების მმართველთან შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მიცკევიჩის 18ა ტელ: [+995 32 387625 ]

ტენდერის საწყისი ფასი: 12 500 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში.

ტენდერზე გამოტანილი აქტივების ადგიმლდებარეობა: ქ. თბილისი

ტენდერში მონაწილე პირებმა უნდა წარმოადგინონ:

- განცხადება;
